თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა

2018 – 2020 წლების სამთავრობო პროგრამის მიმდინარეობის შესრულების შესახებ ანგარიში

სექტემბერი, 2018

სარჩევი

წინასიტყვაობა 4

ქვეყნის განვითარების სამთავრობო ხედვა 4

1. საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვა 7

1.1. საგარეო პოლიტიკა 7

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება 17

2. ძირეული და ინოვაციური რეფორმები 25

2.1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა 25

2.2. საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა 28

2.3. დასაქმება 28

2.4. ბიზნესგარემო 29

2.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა 32

2.5.1. კაპიტალის ბაზრის რეფორმა 33

2.5.2. საპენსიო რეფორმა 34

2.5.3. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება და სახელმწიფო ინვესტიციების მართვა 34

2.5.4. პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეფორმა 34

2.5.5. ლარიზაცია 35

2.5.6. ხარისხობრივი და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა 35

2.5.7. ინდუსტრიალიზაცია 35

2.6. საქართველო - რეგიონალური ჰაბი 35

2.7. საგარეო სავაჭრო ურთიერთობები 37

2.8. სივრცითი მოწყობა 37

2.9. ინფრასტრუქტურული განვითარება 38

2.10. დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა 40

2.10.1. ენერგეტიკა 40

2.10.2. მშენებლობა 43

2.10.3. მწვანე ეკონომიკა 43

2.10.4. გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა 44

2.10.5. ტურიზმი 51

2.11. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა 52
2.12. ბუნებრივი რესურსების მართვა 53
3. მცირე მთავრობა 54
4. განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 58
4.1. განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა 58
4.1.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება 58
4.1.2. ზოგადი განათლება 58
4.1.3. პროფესიული განათლება 60
4.1.4. უმაღლესი განათლება 61
4.1.5. მეცნიერება 62
4.1.6. ახალგაზრდული პოლიტიკა და ინოვაციები 64
4.2. კულტურა და სპორტი 65
4.2.1. კულტურა 65
4.2.2. სპორტი 67
5. ადამიანი და მასზე ზრუნვა 68
5.1. ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა 68
5.2. ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები 74
5.2.1. ჯანმრთელობის დაცვა 82
5.2.2. სოციალური დაცვა 84

წინასიტყვაობა

საქართველოს მთავრობა აგრძელებს თანმიმდევრულ მუშაობას ყველა სტრატეგიული მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა დარგში გადადგა ქმედითი ნაბიჯები, პროგრამით განსაზღვრული განვითარების ხედვის დროული და ეფექტიანი განხორციელების მიზნით. საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართულია სხვადასხვა ძირეული და სექტორული რეფორმების განხორციელებისკენ, რომლებიც ქმნიან ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ეკონომიკური ზრდის მყარ საფუძვლებს.

აღნიშნული ძალისხმევა და რეფორმები ემსახურება თითოეული მოქალაქის ინტერესს და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობის სტანდარტების გაუმჯობესებას, ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, მცირე და საშუალო ბიზნესის დასაქმების ხელშეწყობას, მეტი დასაქმების შესაძლებლობებსა და ამ ამოცანათა შესასრულებლად მცირე, მოქნილი და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ფორმირებას.

მიმდინარეობს მუშაობა ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების, საქართველოს რეგიონული პოზიციების გამყარების, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის, ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებისა და აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგისა და შერიგების პროცესის გაღრმავების მიზნით.

ქვეყნის განვითარების სამთავრობო ხედვა

- ქვეყნის განვითარების სამთავრობო ხედვა წარმოადგენს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების ქვაკუთხედს. ამ მხრივ, წარმოუდგენლად მოკლე დროში, საქართველოს მთავრობამ დაგეგმა და ხედვის კვალდაკვალ გეგმაზომიერად ახორციელებს სტრატეგიულ და შედეგზე ორიენტირებულ ქმედებებს. საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში მეტი ინტეგრაციისა და ახალი შესაძლებლობების მიღწევისთვის, მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკაზე, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის სისტემურობის, თანმიმდევრულობის, პროგნოზირებადობისა და გამჭვირვალობის ამაღლებას. მიმდინარეობს ყველა სექტორის ჰარმონიზაცია ევროპულ და ევროატლანტიკურ სტანდარტებთან. თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება ხორციელდება ერთიანი, სინქრონიზებული მიდგომით.
- განხორციელების აქტიურ ფაზაშია ქვეყნის ძირეული და ინოვაციური რეფორმები, რომელთა პროგრესი მნიშვნელოვანწილად ახდენს გავლენას მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე. გადაიდგა არაერთი ნაბიჯი ბიზნესგარემოს შემდგომი

გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობისათვის. წელს იანვარ-ივლისის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 5.5 პროცენტი შეადგინა. ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესსექტორის განვითარების პარალელურად, მცირდება უმუშევრობის დონე ქვეყანაში. 2018 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონემ 12.1 პროცენტი შეადგინა და წინა კვარტალთან შედარებით 1.9 პროცენტით შემცირდა. 2018 წლის ივლის-აგვისტოს მდგომარეობით, საქართველოს პოზიციები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა რამდენიმე ავტორიტეტულ საერთაშორისო რეიტინგებში.

- მცირე, ეფექტიანი და მოქნილი მთავრობის კონცეფციის ფარგლებში, განხორციელდა საქართველოს მთავრობის სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები. საქართველოს მთავრობის განახლებული სტრუქტურის თანახმად, 14-იდან 11-მდე შემცირდა მთავრობის სამინისტროების/სახელმწიფო მინისტრის აპარატის რაოდენობა. საქართველოს მთავრობა მუშაობს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ზრდაზე, ფისკალური დეცენტრალიზაციის გზით. შემუშავდება კონკრეტული საჯარო სამართლის იურიდიული პირების გაერთიანება-ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული კონცეფცია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2018 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევის მიხედვით, საქართველო ელმმართველობის განვითარების ინდექსით როგორც რეგიონის, ისე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს და უახლესი, 2018 წლის კვლევის მიხედვით, მე-60 ადგილზეა მსოფლიო ქვეყნებს შორის. იქმნება პოლიტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც ეფექტიანსა და მოქნილს გახდის უწყებათაშორის თანამშრომლობას, საქმიანობის დაგეგმვასა და შესრულების შეფასებას.

- განათლება სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროა ჩვენი ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის. გრძელდება განათლების სისტემის რეფორმირება, რომელიც ორიენტირებული იქნება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე. განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ამოქმედდა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან თავსებადი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული რეგულაციები. მუშავდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები. ხორციელდება პროგრამები, ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად. მიმდინარეობს დამწყები მეწარმეების ცოდნისა და ინოვაციის კომერციალიზაციის ხელშეწყობა, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება ეკონომიკის ყველა დარგში. ამ მხრივ, ხორციელდება მაღალტექნოლოგიური და გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპების დაფინანსება.

- საქართველოს მთავრობის ამოცანაა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის ინტეგრირება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და კანონშემოქმედების პროცესში. ამ მხრივ, გრძელდება სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელება, დაიგეგმა და განხორციელების ფაზაშია არაერთი ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების ამაღლებას. საანგარიშო პერიოდში ხელშესახები შედეგები იქნა მიღწეული, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და

სოციალური დახმარების სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების მხრივ.

1. საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება და თავდაცვა

1.1. საგარეო პოლიტიკა

საქართველოს **ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაციის** მიმართულებით საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკაზე, რომლის დასრულება წლის ბოლომდე იგეგმება. საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკით განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებების განხორციელება, რომლებიც სრულ თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის 5 პრიორიტეტთან, ახალ დინამიზმს შესძენს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს და უზრუნველყოფს ევროკავშირთან ინტეგრაციის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევას.

საგზაო რუკის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წარმატებით მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

- **ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელება –** ასოცირების შეთანხმების განხორციელების კუთხით, არსებული პროგრესი განხილულ იქნა საქართველო-ევროკავშირის ასოციირების კომიტეტის მეოთხე სხდომაზე, რომელიც გაიმართა ბრიუსელში 26 ივნისს. საგულისხმოა, რომ შეხვედრაზე ევროკავშირის მხარემ საქართველო შეაფასა, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ყველაზე წარმატებული ქვეყანა.
- **„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობა** – საქართველოს მთავრობა აქტიურად იღებდა მონაწილეობას მრავალმხრივ ღონისძიებებში, მათ შორის, თემატური პლატფორმებისა სექტორული მინისტერიალების შეხვედრებში. ამ კუთხით, აღსანიშნავია 2017 წლის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე მიღებული დოკუმენტის „2020 წლისთვის 20 შედეგის“ განხორციელება. ამ კონტექსტში აღსანიშნავია ქ. თბილისში ევროპული სკოლის გახსნა, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთობლივი წარმატების ყველაზე თვალსაჩინო მიღწევა.
- **ევროკავშირის ჩარჩოპროგრამებში ERASMUS+, CREATIVE EUROPE; HORIZON 2020 მონაწილეობის მიღება** – ევროკავშირის ჩარჩოპროგრამებში საქართველოს ჩართულობის გაზრდის მიზნით, ამჟამად მიმდინარეობს, დამატებით, ახალ ჩარჩოპროგრამებში ჩართულობის შესაძლებლობებისა და სარგებლიანობის შესწავლა.
- **შენგენის სივრცეში უვიზო მიმოსვლის ფუნქციონირების მონიტორინგი (სტატისტიკური მონაცემების ჩათვლით)** – გაიმართა კონსულტაციები, წევრ ქვეყნებთან საქართველოს უსაფრთხო წარმოშობის ქვეყნად აღიარების მიზნით, რაც ავტომატურად გულისხმობს თავშესაფრის მაძიებელთა განცხადებების დაჩქარებული პროცედურით განხილვას (დღესდღეობით, საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარებს ევროკავშირის/შენგენის 10 ქვეყანა: **ბულგარეთი, საფრანგეთი, ლიხტენშტაინი, ავსტრია, ბელგია, ნიდერლანდები, ისლანდია, ლუქსემბურგი, ირლანდია, ესტონეთი**). ამასთან, საქართველოს მთავრობა მჭიდრო კოორდინაციით განაგრძობს საჭირო ზომების მიღებას, ევროკავშირის/შენგენის სივრცეში უკანონო მიგრაციის აღკვეთისა და უვიზო რეჟიმის შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაციის კუთხით, საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობამ აქტიურად იმუშავა ნატოს ბრიუსელის სამიტისთვის საქართველოსთვის სასურველი შედეგების მისაღწევად. სამიტის დასკვნით დოკუმენტში საქართველოსთან დაკავშირებული თემატიკის ადეკვატურად ასახვისა და სამიტზე ჩვენი ქვეყნის სათანადოდ წარდგენის მიზნით, გაიმართა მაღალი დონის შეხვედრები და კონსულტაციები ქ. თბილისში, ქ. ბრიუსელსა და ალიანსის წევრი ქვეყნების დედაქალაქებში.

2018 წლის 11-12 ივლისს ქ. ბრიუსელში გაიმართა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის სამიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით. სამიტის ფარგლებში, გაიმართა ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურების შეხვედრა საქართველოსა და უკრაინასთან.

აღნიშნული შეხვედრის შედეგად მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია, რომელიც მოიცავს საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებს და ხაზს უსვამს ნატოს ურყევ მხარდაჭერას ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი. როგორც სამიტის დასკვნით დოკუმენტში, ასევე ნატო-საქართველოს ერთობლივ დეკლარაციაში ალიანსის მხრიდან გამოხატულია საქართველოსადმი პოლიტიკური მხარდაჭერა ღია კარის პოლიტიკის კონტექსტში. დოკუმენტში კიდევ ერთხელ დადასტურებულია ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და ასპირანტ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ალიანსში გასაწევრებლად. ასევე სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცების კუთხით, ნატო-საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე. დაისახა და შეთანხმდა თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები, გადაწყდა საქართველოსა და შავ ზღვაზე მოქმედ ნატოს საზღვაო დაჯგუფებას შორის ურთიერთობის გაღრმავება.

ნატოს სამიტის ფარგლებში, საქართველომ ასევე მონაწილეობა მიიღო „მტკიცე მხარდაჭერის მისიისა“ და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ კოალიციის წევრების შეხვედრებში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ნატოს შტაბ-ბინაში 19 ივლისის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და ნატოს გენერალურ მდივანს შორის. შეხვედრის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნატო სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო საქართველოს 2018 წლის წლიური ეროვნული პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავების პროცესი.

აღსანიშნავია პირველ-15 აგვისტოს ნატოს 13 პარტნიორი და წევრი ქვეყნის მონაწილეობით გამართული აშშ-საქართველოს „ღირსეული პარტნიორის“ წვრთნები, რომელიც საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდასა და ალიანსთან თავსებადობის გაუმჯობესებას ემსახურება.

საქართველოს მთავრობა ინტენსიურად მუშაობდა **საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებისა და ტერიტორიული მთლიანობის** მშვიდობიანი გზით აღდგენის კუთხით: ძალისხმევა მიმართული იყო რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის თემის საერთაშორისო დღის წესრიგში გააქტიურების, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ანექსიისაკენ მიმართულ ქმედებებთან დაპირისპირებისა და დეოკუპაციის მიმართულებით.

გრძელდებოდა მუშაობა, რუსეთის მხრიდან 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების მიზნით, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მობილიზებისა და განმტკიცებისთვის. აღნიშნული საკითხები აქტიურად იდგა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში (გაერო, ეუთო) გამართული სხვადასხვა შეხვედრებისას.

ამასთან, საქართველოს მთავრობა აგრძელებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებული ვითარების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემატურ ინფორმირებასა და მათი მხარდაჭერის მობილიზებას.

საქართველოში რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის 10 წლის თავზე საერთაშორისო თანამეგობრობამ დააფიქსირა ერთსულოვანი პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და მკაფიო შეფასებები მისცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე უკანონო პროცესებს. 30-მდე სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან გაკეთდა საქართველოს მხარდამჭერი განცხადება და კომენტარი. ასევე, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, 7 აგვისტოს ქვეყანას ესტუმრა იმ 4 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი (ლატვიის, ლიეტუვას, პოლონეთის) და ვიცე-პრემიერი (უკრაინის), რომლებმაც მსგავსი ერთობლივი ვიზიტით მხარდაჭერა გამოხატეს 2008 წლის ომის დროს. მათ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში „ხანგრძლივი მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის – 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლის შემდეგ“.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 44-ე რაუნდი, რომელზეც განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საკითხი არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობის საქმეზე მართლმსაჯულების აღსრულებისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების აუცილებლობაზე. დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვა საკითხებთან ერთად, აქტიურად განიხილებოდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების, მათ შორის, ქართველების ეთნიკური დისკრიმინაციის კუთხით შექმნილი მძიმე ვითარება. გაიმართა ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმების შეხვედრები გალსა და ერგნეთში, რომლის ფარგლებშიც, დღის წესრიგის მთავარ საკითხს არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშარულის სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები წარმოადგენდა.

საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით, დაიწყო აქტიური მუშაობა მთელ რიგ ქვეყნებში, რათა ამოქმედებულ იქნეს ყველა შესაძლო ბერკეტი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების მიერ „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილ პირთა მიმართ შემზღუდავი ზომების დასაწესებლად. აღსანიშნავია, რომ ლიეტუვის რესპუბლიკამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში შემავალ პირებზე ქვეყანაში შესვლასთან დაკავშირებული სანქციების დაწესების შესახებ.

2018 წლის 23 მაისს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატში გაიმართა ზეპირი მოსმენა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის საქმეზე. იუსტიციის სამინისტრომ ეფექტიანად დაიცვა საქართველოს სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესები. 2018 წლის 21 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ სტრასბურგის სასამართლოში რუსეთის ფედერაციის

წინააღმდეგ საქართველოს სახელით შეიტანა ახალი სახელმწიფოთაშორისი საჩივარი, რომელიც ეხება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ საქართველოს მოსახლეობის მასობრივი შევიწროების, დაკავებების, თავდასხმებისა და მკვლელობების ადმინისტრაციულ პრაქტიკას, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 2008 წლის ომის შემდეგ და კრიტიკულ ზღვარს მიაღწია მიმდინარე წლის თებერვალში არჩილ ტატუნაშვილის წამებისა და მკვლელობის დროს. საქართველოს მთავრობა განაგრძობს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან აქტიურ თანამშრომლობას, რათა დადგინდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 2008 წლის ომის დროს საქართველოს მოქალაქეების მიმართ ჩადენილი კაცობრიობის წინააღმდეგ და ომის დანაშაულებისთვის. საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე პროცესები მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების ინტერესების სამართლებრივი გზებით დაკმაყოფილებასა და რუსეთის მიერ ჩადენილი მასობრივი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საანგარიშო პერიოდში ძალისხმევა ასევე მიმართული იყო საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებისაკენ. გაგრძელდა პრევენციული მუშაობა, საზღვარგარეთ საოკუპაციო რეჟიმების უკანონო კონტაქტების აღკვეთის მიზნით.

მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი სამშვიდობო პოლიტიკის ინიციატივა - „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“. სამშვიდობო ინიციატივა არის ცალსახად კონსტრუქციული და ემსახურება ჰუმანიტარულ მიზნებს. ის იძლევა სხვადასხვა საკითხის ჰუმანიტარული პრინციპების გათვალისწინებით გადაჭრის შესაძლებლობას – გარკვეულ შემთხვევებში, სტატუს-ნეიტრალური ინსტრუმენტებისა და ფორმატების გამოყენებით. აღნიშნული სამშვიდობო ინიციატივის – „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ თანმდევი საკანონმდებლო პაკეტი საქართველოს მთავრობამ განსახილველად წარუდგინა საქართველოს პარლამენტს 2018 წლის 4 აპრილს. საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო პაკეტი, ფართო კონსესუსის საფუძველზე, სამივე მოსმენით მიიღო 2018 წლის ივნისში. ინიციატივამ მოიპოვა ფართო საერთაშორისო მხარდაჭერა ევროკავშირის, ცალკეული წევრი სახელმწიფოების, სახელმწიფოს მეთაურებისა და აშშ-ის მხრიდან.

აქტიურად გრძელდება მუშაობა დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის, ნდობის აღდგენის პროექტების განხორციელებისა და სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერის მიმართულებით.

2018 წლის განმავლობაში განხორციელდა არაერთი ნდობის აღდგენის პროექტი განათლების, აფხაზური ენის განვითარების, ჯანდაცვის, ახალგაზრდების ურთიერთობის, ადამიანის უფლებათა დაცვის, არქივების, კულტურული მემკვიდრეობისა და სხვა მიმართულებით.

საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე და სხვადასხვა ჰუმანიტარული და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული პროექტის განხორციელებაში. რეგულარული თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებთან განიხილება ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები, მათ შორის, თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შეზღუდვის, ჯანდაცვისადმი წვდომის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხები და მათი გადაჭრის კუთხით გადასადგმელი ნაბიჯები.

გრძელდება მუშაობა გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით.

ორმხრივი დიპლომატია

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობდა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორსა და მოკავშირესთან – **ამერიკის შეერთებულ შტატებთან** თანამშრომლობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით.

ამერიკის შეერთებული შტატები

მიმდინარეობდა მუშაობა აშშ-ის წარმომადგენელთა პალატასა და სენატში არსებული მტკიცე ორპარტიული მხარდაჭერის შენარჩუნებისა და კიდევ უფრო გაზრდის მიმართულებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018 წლის 13 ივლისს მიღებული აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი (FY19NDAA), რომელიც განსაზღვრავს 2019 ფისკალური წლისათვის აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ბიუჯეტის პრიორიტეტებს. მასში დაფიქსირებულია უმნიშვნელოვანესი ჩანაწერები საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების, ასევე რეგიონული უსაფრთხოების მხარდაჭერის კუთხით. კერძოდ, საქართველო, ევროპის უსაფრთხოების კონტექსტში, შავი და ბალტიის ზღვის ქვეყნებთან ერთად, მოაზრებულია როგორც აშშ-ის მოკავშირე, რომლის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება ამერიკის ეროვნულ ინტერესშია.

საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს მხარდამჭერი განცხადება გააკეთა საქართველოში აშშ-ის საელჩომ. ოკუპაციის 10 წლისთავის კონტექსტში მნიშვნელოვანია 2018 წლის 18 ივლისს აშშ-ის კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თავმჯდომარის, კონგრესმენ ტედ პოს (ტეხასის შტატი) მიერ კონგრესის პლენარულ სესიაზე საქართველოს მხარდამჭერი სიტყვით გამოსვლა. გარდა ამისა, აშშ-ის კონგრესის ჰელსინკის კომისიაში გაიმართა მოსმენა – „RUSSIA'S OCCUPATION OF GEORGIA AND THE EROSION OF THE INTERNATIONAL ORDER“.

ასევე აღსანიშნავია აშშ-ის კონგრესის წევრების მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ვიზიტები. ამ მიმართულებით ხაზგასასმელია 11-13 აგვისტოს ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, რომელსაც წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის მუდმივმოქმედი კომიტეტის თავმჯდომარე, დევინ ნუნესი ხელმძღვანელობდა.

ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებები, რაც სხვადასხვა დონეზე სავაჭრო, ბიზნეს და საინვესტიციო მისიების გაცვლებს გულისხმობს. ამ მხრივ, აღსანიშნავია მიმდინარე წლის 14-15 აგვისტოს, აშშ-ის საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციის (OPIC) აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტის, დავით ბოჰიგანის ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ფარგლებში, კორპორაციის წარმომადგენლების მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს მათი ინვესტიციები საქართველოში.

ტრადიციულად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-საქართველოს თანამშრომლობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში. ამ მხრივ, აღსანიშნავი იყო 2018 წლის პირველ-15 აგვისტოს გამართულ მრავალეროვნულ სწავლებაში – „ღირსეული პარტნიორი“ აშშ-ის აქტიური მონაწილეობა.

ევროპა

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობა ახორციელებდა აქტივობებს, **დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან** ორმხრივი პარტნიორობის სტრატეგიულ დონეზე აყვანის, ასევე **ტრადიციულად მოკავშირე ევროპულ ქვეყნებთან** პარტნიორული ურთიერთობის გაგრძელებისა და შემდგომი გაღრმავების მიზნით.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს 23-24 აგვისტოს გერმანიის ფედერალური კანცლერის, ანგელა მერკელის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. გერმანულმა მხარემ კიდევ ერთხელ გამოხატა მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კურსის, ასევე რეფორმების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ეკონომიკისა და დუალური განათლების სფეროებში. აღსანიშნავია ის კონკრეტული სიახლეები და სამომავლო გეგმები, რაც ეკონომიკისა და ინვესტიციების გაზრდის მიმართულებით გამოიკვეთა. ამის გარდა, გერმანიასთან ფინანსური თანამშრომლობის კუთხით, ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას: საქართველოში მიწისქვეშა გაზსაცავის მოწყობისა და აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების განხორციელების შესახებ.

ასევე მნიშვნელოვანია 21 ივნისს ირლანდიის პარლამენტის საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და თავდაცვის გაერთიანებული კომიტეტის მიერ ერთხმად მიღებული უკვე მეორე რეზოლუცია, რომელიც ამჯერად უკავშირდება საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავს. ეს რეზოლუცია, სადაც ასახულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროპული ინტეგრაციის მხარდაჭერა, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავისი შინაარსითა და ძლიერი ფორმულირებებით.

საანგარიშო პერიოდში, 6 ივლისს, ბელგიის ვიცე-პრემიერი, საგარეო და ევროპულ საქმეთა მინისტრი დიდიე რეინდერსი სტუმრობდა. მან დადებითად შეაფასა საქართველოში გატარებული რეფორმები და კვლავ დაადასტურა ჩვენი დასავლური ინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერა.

16-17 ივლისს, ქართულ-იტალიური ურთიერთობების ისტორიაში პირველად განხორციელდა იტალიის პრეზიდენტის, სერჯო მატარელას სახელმწიფო ვიზიტი, რომელიც ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ განმტკიცებას ემსახურებოდა. ვიზიტის ფარგლებში, ხელი მოეწერა კონკრეტულ სფეროებში (თავდაცვა, პოლიცია, განათლება, ინოვაციები, კულტურა, ჯანდაცვა) ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმებს.

მნიშვნელოვანი იყო, 17-18 ივლისს, სერბეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის, ანა ბრნაბიჩის მიერ განხორციელებული სამუშაო ვიზიტი საქართველოში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) გლობალური სამიტის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ სერბეთის მთავრობის მეთაური პირველად ესტუმრა საქართველოს, რაც ორ ქვეყანას შორის გააქტიურებული ურთიერთობების მორიგი დადასტურებაა და თვისობრივად ახალ დონეზე გადაიყვანს ორმხრივ თანამშრომლობას. ვიზიტის ფარგლებში, ხაზი გაესვა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებასა და დარგობრივი თანამშრომლობის განვითარებას.

ახლო აღმოსავლეთი, აზია და ოკეანეთი, აფრიკის ქვეყნები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა საქმიანობას **ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების მიმართულებით**. აქტიური სამუშაოები ჩატარდა მთელ რიგ ქვეყნებთან ორმხრივი სამართლებრივ-სახელშეკრულებო ბაზის გაფართოების მიმართულებით, აფრიკის კონტინენტზე არაღიარების პოლიტიკის უზრუნველყოფისა და არსებული საფრთხეების გათვალისწინებით. მათ შორის, დასრულდა პროცედურები და ხელმოსაწერად მომზადდა მემორანდუმი ანგოლისა და საქართველოს საგარეო უწყებებს შორის ორმხრივი კონსულტაციების შესახებ, მემორანდუმი კენიისა და საქართველოს საგარეო უწყებებს შორის თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე მემორანდუმი ბოცვანის მთავრობასთან პოლიტიკური კონსულტაციების შესახებ, რომელთა ხელმოწერაც დაგეგმილია მიმდინარე წელს გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის ფარგლებში.

ქართულმა მხარემ განიხილა და დაასრულა პროცედურები არაბთა გაერთიანებული საემიროების მიერ შემოთავაზებულ ურთიერთგაგების მემორანდუმის ტექსტზე, რომელიც გადაეცემა საემიროების მხარეს, შესაძლო ხელმოწერის მიზნით, გაეროს გენ. ასამბლეის 73-ე სესიის ფარგლებში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არაბთა გაერთიანებული საემიროების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში საელჩოს გახსნის თაობაზე, დანიშნულია საემიროების რეზიდენტი ელჩი. ქ. თბილისში საელჩოს გახსნის გადაწყვეტილება მიიღო საუდის არაბეთმაც.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობდა **აზიისა და ოკეანეთის ქვეყნებთან** თანამშრომლობის გაღრმავების მიმართულებით ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში.

იაპონიისა და საქართველოს მთავრობებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმება, იაპონიის მთავრობის მხრიდან, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (Japan International Cooperation Agency, JICA) მეშვეობით, 38.735.000.000 იაპონური იენის (დაახლოებით, 343 მლნ აშშ დოლარი) გამოყოფის თაობაზე, აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტისთვის (ფაზა 2). იაპონიასა და საქართველოს შორის შეთანხმება დაიდება ნოტების გაცვლის გზით. საქართველოს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტებში იაპონიის მონაწილეობა ითვალისწინებს არა მხოლოდ ფინანსურ დახმარებას, არამედ მშენებლობის განხორციელებას, იაპონური ტექნოლოგიებისა და სტანდარტების შესაბამისად.

კორეის რესპუბლიკასთან დასრულდა მუშაობა და ხელმოსაწერად მომზადდა შეთანხმება „კორეის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდიდან სესხების გამოყოფის შესახებ“. კორეის მხარესთან ბოლო პერიოდში ჩატარებული ინტენსიური მუშაობის შედეგად, 17 ივლისს კორეის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება ორდინარული პასპორტების მფლობელი საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ.

დინამიკურად ვითარდებოდა თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან. მიმდინარეობს აქტიური მზადება 2018 წლის 5-10 ნოემბერს ჩინეთის ქალაქ შანხაიში დაგეგმილ პირველ „იმპორტ-ექსპოში“ მონაწილეობის მისაღებად და ექსპოს ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დაგეგმვის მიზნით.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციასთან (Association of Southeast Asian Nations, ASEAN) საქართველოს

თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით. გრძელდება მუშაობა ასეანის საპარლამენტო ასამბლეაში – AIPA (ASEAN Inter-Parliamentary Assembly) საქართველოსთვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებისა და „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ხელშეკრულებასთან (Treaty of Amity and Cooperation in Southeast Asia, TAC) საქართველოს მიერთების საკითხებზე.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა ინდონეზიის რესპუბლიკასთან თანამშრომლობის მზარდი დინამიკა, რაც ასევე აისახა ინდონეზიის მთავრობის გადაწყვეტილებაში ქ. თბილისში ინდონეზიის საელჩოს ოფისის (დაექვემდებარება უკრაინაში ინდონეზიის რესპუბლიკის საელჩოს) გახსნის შესახებ, რომლის შედეგად ინდონეზია იქნება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონის პირველი სახელმწიფო, რომელსაც ექნება დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში. ასევე გრძელდება ორ ქვეყანას შორის აქტიური თანამშრომლობა საქართველოში გატარებული წარმატებული რეფორმების გაზიარების მიმართულებით. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფო სერვისებისა და პოლიციის სფეროებში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა.

გააქტიურდა ურთიერთობები ოკეანეთის მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებთან, რაც მნიშვნელოვანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკისა და IDP რეზოლუციის მხარდაჭერის მოპოვების/გაზრდის კუთხით. სექტემბერში, გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიაზე იგეგმება საქართველოსა და ფიჯის შორის ორდინალური და დიპლომატიური/სამსახურებრივი პასპორტების მფლობელებისთვის უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების ხელმოწერა პრემიერ-მინისტრების დონეზე.

მრავალმხრივი დიპლომატია

საქართველოს მთავრობა მრავალმხრივი დიპლომატიის მიმართულებით აგრძელებს **საერთაშორისო ორგანიზაციებში** (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) აქტიური ჩართულობის პოლიტიკასა და ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის გატარებას/პოზიციონირებას.

19-21 ივნისს გაიმართა ეუთოს მონაწილე ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში. ეუთოს ელჩების მსგავსი ფორმატის ვიზიტი უკანასკნელად 2008 წელს შედგა.

2018 წლის 17-19 ივლისს საქართველომ, როგორც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) თავმჯდომარე ქვეყანამ, უმასპინძლა გლობალურ სამიტს, სადაც მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გაიზიარეს საქართველოს, როგორც რეგიონის აღიარებული ლიდერის, მიღწევები.

2018 წლის 16-18 ივლისს შედგა გაეროს უშიშროების საბჭოს კონტრტერორისტული კომიტეტის აღმასრულებელი დირექტორატის (CTED) დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საქართველოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების შესრულების მონიტორინგი; ტერორიზმის გლობალურ საფრთხეებზე ინფორმაციის გაცვლა; 2007 წლის სექტემბერში, კომიტეტის ბოლო ვიზიტის შემდეგ, ქვეყნის მიერ განხორციელებული ცვლილებების მიმოხილვა და იმ სფეროების განსაზღვრა, რა მიმართულებითაც საქართველოს შეუძლია საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სხვა ქვეყნებისათვის.

საანგარიშო პერიოდში გაგრძელდა მუშაობა 2019-2020 წლებში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეობის მოსამზადებელი სამუშაო გეგმის შემუშავების/დახვეწის მიზნით.

სტრატეგიული კომუნიკაცია

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა **სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით,** მთავრობის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებთან დაკავშირებით ქვეყნის საგარეო კურსის მიმართ მოსახლეობის მაღალი და გაცნობიერებული მხარდაჭერის შენარჩუნების მიზნით.

გრძელდებოდა 2017-2020 წლებისთვის ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის იმპლემენტაცია და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება. დამტკიცდა მეთოდოლოგია ორი მთავარი მიმართულებით: საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის შესახებ პოზიტიური გზავნილების პროაქტიული კომუნიკაცია და ანტიდასავლური პროპაგანდის შედეგად შექმნილი მითების გაქარწყლება.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის ორგანიზებითა და მონაწილეობით გამართული სხვადასხვა სახის ღონისძიების/აქტივობის შედეგად 4 800-მდე ადამიანმა პირდაპირი კომუნიკაციის გზით მიიღო ინფორმაცია ნატოსა და ევროკავშირის, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ.

გრძელდება ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მესამე ტალღა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობას კიდევ ერთხელ გააცნოს ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ უვიზო რეჟიმის პირობებში და საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის პროცედურის ბოროტად გამოყენების შესაძლო შედეგების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობდა, კულტურული დიპლომატიის მიმართულებით, საქართველოს, როგორც სტაბილური, თანამედროვე, დემოკრატიული და თვითმყოფადი კულტურის მქონე ქვეყნის, იმიჯის გასამყარებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიური ჩართულობა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 100 წლისთავის მიძღვნილ ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში საზღვარგარეთ გაიმართა 100 წლისთავთან დაკავშირებული 50-მდე კულტურული ღონისძიება.

დიასპორა

საანგარიშო პერიოდში საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა საქმიანობას **დიასპორის ხელშეწყობის** მიმართულებით.

დასრულდა მუშაობა პროგრამა „მომავლის ბანაკზე“, რომლის მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრები მოზარდების ისტორიულ სამშობლოსთან კავშირების განმტკიცება. 2018 წელს ანაკლიაში არსებულ „მომავლის ბანაკის“ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 14-იდან 18 წლამდე ასაკის 144 მოზარდმა, საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან (აზერბაიჯანის რესპუბლიკა, რუსეთის

ფედერაცია, ბელგიის სამეფო, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო, უკრაინა, საფრანგეთის რესპუბლიკა, ისრაელის სახელმწიფო და სომხეთის რესპუბლიკა).

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა ასევე პროგრამაზე – „იყავი შენი ქვეყნის ახალგაზრდა ელჩი“, რომელიც მიზნად ისახავს საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებთან მდგრადი ინსტიტუციური ურთიერთობის განვითარებისა და სახალხო დიპლომატიაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას.

„საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიული და კულტურული ქართულ-ფრანგული მემორიალური ცენტრის – ქართული აკადემიის“ მშენებლობა-რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა სამუშაოთა განსაზღვრა. პირველი რიგის ამოცანათა შესაბამისად განხორციელდა ლევილის კვლევითი და საპროექტო სამუშაოების პირველი ეტაპი საფრანგეთის კანონმდებლობის და გეგმის შესაბამისად. საპროექტო და სამშენებლო სტადიების შემდეგ, საქართველო ევროპაში შეიძენს ქართულ-ფრანგული კულტურის და განათლების უმნიშვნელოვანეს კერას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის განსაზღვრისა და თანამემამულის დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან გრძელდებოდა თანამემამულის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის ფუნქციონირება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა კომისიის 2 სხდომა, თანამემამულის სტატუსის მინიჭებაზე დადებითი დასკვნა გაიცა 41 პირზე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აგრძელებდა საქმიანობას **საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების** დაცვის მიზნით.

შემუშავდა ინოვაციური პროექტი – საქართველოში დასაბრუნებელი ელექტრონული მოწმობა, რომელიც მნიშვნელოვნად გაამარტივებს და დააჩქარებს საქართველოს მოქალაქის ქვეყანაში დაბრუნების პროცედურებს. ელექტრონული მოწმობის დანერგვა განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ევროკავშირთან გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ აქციით და შეღავათიან ფასად აეღოთ საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი (130 $-ის ნაცვლად 50 $-ად. აქცია დაიწყო 15.05.2018-ში და გაგრძელდა 15.07.2018-მდე. აღნიშნული აქციით ისარგებლა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან/და საკონსულო დაწესებულებას მიმართა 5056-მა პირმა.

15.05.2018-ში დაიწყო და 15.08.2018-მდე გაგრძელდა აქცია, რომელიც ითვალისწინებდა საზღვარგარეთ მყოფი პირებისათვის პირადობის ელექტრონული მოწმობის უფასოდ გაცემას. აღნიშნული აქციის ფარგლებში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან/და საკონსულო დაწესებულებას მიმართა 1602-მა მოქალაქემ.

შემუშავდა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ საზღვარგარეთ გადაუდებელ/გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევის წესის პროექტი.

1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, თავდაცვის ტრანსფორმაცია ხორციელდება ერთიანი, სინქრონიზებული მიდგომით, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს ყველა არსებული საერთაშორისო დახმარების ფორმატის ჰარმონიზაციას საქართველოს თავდაცვის პრიორიტეტებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ეროვნულ დონეზე თანამშრომლობის გააქტიურებას უწყებათაშორის ფორმატებში.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაცია

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კოორდინაციის განმახორციელებელი ორგანოს ჩამოყალიბების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 6 აგვისტოს №302 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა უწყებათაშორისი საბჭო. საბჭოს ფარგლებში მომზადდა შესაბამისი კონცეფცია და უახლოეს მომავალში პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერით იგეგმება შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტის შემუშავება და საქართველოს პარლამენტში ინიციირება.

სტრატეგიული სწავლებები

მიმდინარე წლის პირველ-15 აგვისტოს ჩატარდა მრავალეროვნული სწავლება „ღირსეული პარტნიორი 2018“ (Noble Partner). ასევე, 2018 წლის პირველ-11 სექტემბერს დაგეგმილია საერთაშორისო სწავლება Agile Spirit 2018-ის ჩატარება. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა სწავლების დაგეგმვის ფაზა.

პარალელურად მიმდინარეობს სტრატეგიული დონის სამეთაურო-საშტაბო უწყებათაშორისი სწავლების – „დიდგორი 2018“-ის მოსამზადებელი სამუშაოები. „დიდგორი 2018-ის“ ჩატარება იგეგმება მიმდინარე წლის დეკემბერში.

უწყებათაშორისი თანამშრომლობა და ეროვნული თავდაცვის სტრატეგია 2020-2030

უწყებათაშორისი თანამშრომლობის მიმართულებით, 2018 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიისა და სამუშაო ჯგუფის დებულება. კომისიის მუშაობის ფარგლებში, ეროვნული თავდაცვის მზადყოფნისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ეროვნული დონის კონცეპტუალურ დოკუმენტად განისაზღვრა **საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია**. დოკუმენტი, ტოტალური თავდაცვის პრინციპის საფუძველზე, განსაზღვრავს სახელმწიფო უწყებების ამოცანებს. საანგარიშო პერიოდში დაიწყო ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის შემუშავება და დასრულება იგეგმება 2019 წლის პირველ კვარტალში. სტრატეგიის საფუძველზე შეიქმნება **ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა** – სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტი, რომელიც გააერთიანებს, საომარი ვითარების გამოცხადების შემთხვევაში, არა მხოლოდ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების, არამედ ქვეყნის თავდაცვაზე პასუხისმგებელი ყველა სახელმწიფო უწყების შესაბამის სამოქმედო გეგმას (მზადყოფნის გეგმებს). ეროვნული თავდაცვის სტრატეგიისა და მზადყოფნის გეგმის შემუშავების პროცესში, უწყებათშორის ფორმატში და

საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით მომზადდა ეროვნული უსაფრთხოების გარემოს შეფასების ანალიზი და იგეგმება შესაძლებლობების ანალიზის პროცესის ინიციირება.

მართვის, კონტროლისა და კოორდინაციის საკანონმდებლო მექანიზმების განახლება

საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის შესაბამისად, ჰარმონიზაციის პაკეტის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ცვლილებები შეიტანა თავდაცვის სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივ აქტებში, რაც ითვალისწინებს სამინისტროს სამოქალაქო ოფისისა და თავდაცვის ძალების (შეიარაღებული ძალების) ფუნქციებისა და უფლებამოსილებების მკაფიო გამიჯვნას და ერთობლივი ამოცანების განსაზღვრას. პროექტის მიხედვით, მკაფიოდ განისაზღვრა ეროვნული და უწყებრივი დონის კონცეპტუალური, ასევე ორგანიზაციული დონის დოკუმენტების იერარქია და მათ დამტკიცებაზე უფლებამოსილი ორგანოები. სულ, ჯამში შემუშავებული ჰარმონიზაციის პაკეტი ითვალისწინებს 49 მომზადებულ კანონპროექტს.

ასევე, შემუშავდა თავდაცვის კოდექსის პროექტი, რომელშიც გაერთიანდა თავდაცვის სფეროში მოქმედი როგორც საკანონმდებლო, ასევე კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები. დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ტერმინთა განმარტებებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულ სუბიექტებს, სამოქალაქო ოფისის, თავდაცვის ძალებისა და მათი ერთობლივი ფუნქციების, სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ორგანიზების საკითხებს, თავდაცვის ძალების სტატუსს, სახეობას, შემადგენლობასა და სტრუქტურულ მოწყობას და აწესრიგებს მრავალ სხვა საკითხს.

დამტკიცდა „საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ტოტალური თავდაცვა – სამხედრო მიმართულება

ტოტალური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სამხედრო თავდაცვა. თავდაცვითი შესაძლებლობების გაძლიერების თვალსაზრისით, მიმდინარეობს სამანევრო, საჰაერო თავდაცვის, ავიაციის, ჯავშანსაწინააღმდეგო, დაზვერვის, არტილერიის, მართვის, კონტროლის კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემების, სპეციალური დანიშნულების ძალების შესაძლებლობების, კიბერუსაფრთხოებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროების განვითარება.

სამანევრო შესაძლებლობების განვითარება

შეირაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია სამანევრო ბატალიონების მზადყოფნის დონის ამაღლება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP), რომლის ფარგლებშიც, 2020 წლის ჩათვლით, სრულად დაკომპლექტდება, აღიჭურვება და გაიწვრთნება შეიარაღებული ძალების ცხრა ბატალიონი.

პროგრამის ფარგლებში, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში (JTEC) 2018 წლის 18 მაისს დაიწყო 43-ე ბატალიონის მომზადება, რომელიც ოფიციალურად 25 ივლისს დასრულდა. 13-კვირიანი მომზადების ფარგლებში, 43-ე ბატალიონმა საბრძოლო მომზადების სრული ციკლი მაქსიმალურად მიახლოებული ბრძოლის პირობებში ვაზიანისა და

ნორიოს საწვრთნელ რაიონებში გაიარა. 43-ე ბატალიონმა შეიმუშავა GDRP-ის ფარგლებში მიღებული საბრძოლო გამოცდილების დახვეწისა და გაუმჯობესებისთვის შიდამოსამზადებელი სწავლების გეგმა (homestation training plan).

განხორციელდა GDRP-ში მონაწილე 43-ე ბატალიონის ინდივიდუალური და ათეულის დონის შეფასების ანალიზი. განსაზღვრული გამოცდილების პირველადი ანალიზი გაეგზავნა 32-ე ბატალიონს, რომელიც 2018 წლის მეორე ნახევარში აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მომზადდება.

რეზერვისა და სამხედრო სავალდებულო სამსახურის სისტემა

მიმდინარე წლის აგვისტოში დაიწყო **სარეზერვო გაწვევის** საპილოტე პროგრამა. პროგრამის ფარგლებში, აქტიურ რეზერვში 336 პირი, მათ შორის, 96 სტუდენტი იქნება მიღებული. მომზადებას ასევე გაივლის 8 სპეციალისტი.

შემუშავდა სამხედრო ძალების რეზერვის ოფიცრებისა და სერჟანტების მომზადებისა და განვითარების კონცეფციის პროექტი, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს რეზერვის ოფიცერთა და სერჟანტთა პროფესიული განვითარების თანმიმდევრობას; შემუშავდა და დამტკიცდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩარიცხულ პირთა სპეციალური მომზადების პროგრამა“.

ეროვნული გვარდია

ეროვნულ გვარდიაში დასრულდა სტრუქტურული რეორგანიზაციის პირველი ეტაპი, რომელიც შეესაბამება რეზერვისა და მობილიზაციის ახალ სისტემას. ჩამოყალიბდა მობილიზაციისა და რეზერვის სამმართველო, რომლის ამოცანად განისაზღვრა სამხედრო ძალების რეზერვისა და მობილიზაციის მართვის ღონისძიებათა დაგეგმვა, კომპეტენციის ფარგლებში, სამხედრო ძალების რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დაგეგმვა, კოორდინაცია და განვითარების მხარდაჭერა. ჩამოყალიბდა სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველო, რომლის ამოცანაა სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციაში ომით, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებით გამოწვეული კრიზისული ვითარების დროს სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და აღსრულებაში მონაწილეობის მიღება.

შემუშავების პროცესშია საგანგებო სიტუაციებზე შეიარაღებული ძალების რეაგირების სისტემა – „პეგასი“, რომლის პირველადი ტესტირება განხორციელდა ეროვნული გვარდიის საშტაბო-სამეთაურო სწავლება „შამქორი – 2018-ზე“.

საჰაერო თავდაცვა და ავიაცია

საჰაერო თავდაცვის მიმართულებით, შესყიდული იქნა UH-1H შვეულმფრენის დეტალები. იგეგმება UH-1H ტიპის შვეულმფრენების მოდერნიზაცია და ან-2 ტიპის თვითმფრინავების შეკეთება; 2018 წლის ივნისის თვეში, საკუთარი ძალებით აღდგენილ იქნა ესკადრილიის ტერიტორიაზე არსებული საფრენი აპარატების ტექნიკური მომსახურების საცავი.

საანგარიშო პერიოდში ასევე დასრულდა კომპანია THALES LAS FRANCE SAS-თან გაფორმებული კონტრაქტით განსაზღვრული ღონისძიებები.

ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობები

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჯავშანსაწინააღმდეგო შესაძლებლობების გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების ახალი სტრუქტურა. ასევე, ჩატარდა ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს JAVELIN-ის მემიზნე-ოპერატორის, კომპლექსების შენახვისა და ტექნიკური მომზადების კურსები აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გადმოცემული გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსის JAVELIN შესწავლის მიზნით.

ლოგისტიკა და ინფრასტრუქტურა

შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური მხარდაჭერის განვითარება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. სანგარიშო პერიოდში შეიქმნა მიღების, განთავსებისა და გადაადგილების ცენტრი (NMCC). შემუშავდა შესაბამისი კონცეფცია და ინსტრუქცია, ცენტრი დაკომპლექტდა პირადი შემადგენლობით; მიმდინარეობს მუშაობა ლოგისტიკის დოქტრინის შემუშავებაზე.

ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის (ჯლუს) შტაბის პირად შემადგენლობასთან ჩატარდა სამეთაურო მომზადება. განხორციელდა ინფრასტრუქტურის მართვის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი ბრიტანეთის თავდაცვის ინფრასტრუქტურის ორგანიზაციის (DIO) წარმომადგენლებისა და ამერიკის მრჩეველთა ჯგუფის (VALIANT) დახმარებით.

მიმდინარეობს ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის – სორტას (ქ. სენაკი) და მე-20 კადრირებული ბრიგადის პალდოს (საგარეჯო) სასროლეთების პროექტებზე მუშაობა. საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის მუდმივი დისლოკაციის ადგილზე, ქ. ახალქალაქში გრძელდება საწყისი საბრძოლო მომზადების საწვრთნელი ბაზის მშენებლობა.

საინჟინრო შესაძლებლობები

ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, კონტრმობილურობის ინიციატივის ლიდერი ქვეყანა გახდა გერმანია, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს კონტრმობილურობის შესაძლებლობის განვითარებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. ასევე მომზადდა საინჟინრო ოცეულის სახელმძღვანელო.

გამნაღმველთა ასეულისთვის ჩატარდა ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ სწავლება სკანერის/რენტგენის მოხმარებაში; ასევე იგეგმება საინჟინრო ბრიგადის საშტატო რეორგანიზაცია.

სპეციალური ოპერაციების ძალები

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, 2018 წელს ჩატარდა ორი ერთობლივი სწავლება.

მიმდინარეობს მზადება 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში პოლონეთში საერთაშორისო სწავლება FORT-18-ში მონაწილეობის მიღებისთვის.

დაზვერვის შესაძლებლობები

სადაზვერვო შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით, გრძელდება ახალი, მაღალტექნოლოგიური საშუალებების დანერგვა და მათი ეტაპობრივი განვითარება. ამასთან, ყურადღება მახვილდება სამხედრო დაზვერვის პერსონალის მომზადება-გადამზადებაზე, დაზვერვის სხვადასხვა მიმართულებით. შემუშავდა დაზვერვის ქვედანაყოფების სტრუქტურული განვითარების პროექტი. აშშ-ის ევროპის სარდლობის (EUCOM) წარმომადგენლების მიერ ჩატარდა სადაზვერვო სწავლება – Intel Fusion და Targeting; განხორციელდა საერთაშორისო სადაზვერვო სწავლება – Cambrian Patrol 2018-ის წინამოსამზადებელი სწავლება ბრიტანელი ინსტრუქტორების მონაწილეობით.

მართვა, კონტროლი, კავშირგაბმულობა და კომპიუტერული სისტემები (C4I)

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციული სისტემების სუბიექტების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, გრძელდება კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის განვითარება. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის ქვედანაყოფების სწავლება – „კავშირი 2018“. მიმდინარეობს NATO-სთან თავსებადი C2 პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა.

კიბერუსაფრთხოება

მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციის დაცვისა და ინციდენტების მართვის სისტემის (SIEM) შეძენასთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდის შეღწევადობის აუდიტი. მიღებული შედეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.

კიბერუსაფრთხოების ბიურო მონაწილეობას იღებს სპეციალისტთა რეზერვის პროექტში. პროექტის ფარგლებში, იგეგმება 4 სპეციალისტის რეკრუტირება. კიბერრეზერვის შექმნის პროცესში, როგორც მოსამზადებელი პროგრამის შემუშავებაში, ისე გამოცდილების გაზიარების კუთხით, მოხდა ამერიკელი კიბერექსპერტების ჩართვა. დამატებით, საანგარიშო პერიოდში, ესტონურ მხარესთან ერთად, მიმდინარეობდა მუშაობა ტექნიკურ კიბერსწავლება Cyber Range-ის დაგეგმვაზე.

წვრთნა და სამხედრო განათლება

განათლება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში ამ მიმართულებით დასრულდა საერთო საჯარისო ცენტრის (კრწანისი) მშენებარე ბაზაზე სხვადასხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობა. პარალელურად, მიმდინარეობს საერთო საჯარისო ცენტრის ბაზის მშენებლობა.

დაბა ვაზიანში დასრულდა ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC) საბრძოლო მომზადების ცენტრის – CTC-ის მშენებლობა და მიმდინარეობს ცენტრის სასწავლო, მატერიალური და საყოფაცხოვრებო ავეჯით მოწყობა. აღსანიშნავია, რომ JTEC-ის შემდგომი განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის თავდაცვის შეფასების შესაძლებლობებს და

ხელს შეუწყობს ნატოს „პარტნიორობის თავსებადობის ინიციატივის“ (Partnership Interoperability Initiative) განხორციელებას.

სამხედრო-სამეცნიერო კვლევების ღონისძიებები

მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ღონისძიებები სამხედრო-სამეცნიერო კვლევების, სამხედრო მრეწველობის განვითარებისა და მისი საექსპორტო პოტენციალის გაზრდისთვის.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა ჯავშანმანქანა „დიდგორის“ შემდგომი დახვეწა და განვითარება ისეთი საბრძოლო და დამხმარე ფუნქციების შესასრულებლად, როგორებიცაა: კავშირგაბმულობა, სამედიცინო, სახანძრო, სადაზვერვო და საცეცხლე მხარდაჭერა (მობილური ნაღმტყორცნი).

მიმდინარეობს მუშაობა ცეცხლის მართვის მოდულის, მიზნის იდენტიფიკაციის, ჩაჭერისა და მიყოლის სტაბილიზებული სისტემის, უპილოტო ვერტმფრენის პლატფორმის, მძიმე საბრძოლო მანქანისა და სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტის შექმნისთვის. პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართული წარმოების სამხედრო პროდუქცია წარმოდგენილ იქნა უმსხვილეს სამხედრო გამოფენაზე – EUROSATORY.

სტრატეგიული კომუნიკაციები

ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვანია შესაბამისი გარე საკომუნიკაციო არხების გაძლიერება. საანგარიშო პერიოდში ჟურნალისტებისთვის ჩატარდა სემინარი – „მედია და ხელისუფლება ჰიბრიდული გამოწვევების პირისპირ“. გრძელდება პროექტი – „წერილები ჯარისკაცებს“.

მიმდინარეობს კვლევა შეიარაღებულ ძალებში, რაც არსებული პრობლემებისა და რუსული ნარატივის გავრცელების ხარისხის იდენტიფიცირებას ემსახურება.

ასევე შეიქმნა საქართველოს სამხედრო ისტორიის გვერდი – www.history.mod.gov.ge, სადაც განთავსებულია ინფორმაცია საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, ქართული იარაღ-საჭურველისა და ღვაწლმოსილი სამხედრო პირების შესახებ.

საერთაშორისო თანამშრომლობა

<u>ნატოსთან თანამშრომლობა</u>

საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მტკიცე და ურყევ პრიორიტეტად რჩება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია. საქართველო, როგორც ნატოს გაძლიერებული პარტნიორობის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფო, ზედმიწევნით ასრულებს ალიანსის წინაშე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, რაც დადებითად ფასდება ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ და აისახება სხვადასხვა შეფასების დოკუმენტსა თუ განცხადებაში. ნატოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველო აქტიურად განაგრძობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელებას, რომელიც ეროვნული დონის პრიორიტეტსა და ნატოსთან პრაქტიკული თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს.

პაკეტის ფარგლებში, საქართველო მასპინძლობს ნატოს 22 მაღალკვალიფიციურ ექსპერტს, რომლებიც როტაციული პრინციპით არიან მოვლენილნი საქართველოში, ხოლო 19 ექსპერტი პერიოდულად ახორციელებს ვიზიტებს.

საერთაშორისო მისიები

საქართველო აგრძელებს სხვდასხვა საერთაშორისო მისიაში მონაწილეობის მიღებას, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში.

საქართველო 870 სამხედრო მოსამსახურით წარმოდგენილია ნატოს **„მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM)** ავღანეთში. საქართველო გააგრძელებს აღნიშნულ მისიაში იგივე რაოდენობით მონაწილეობის მიღებას 2018 წლის განმავლობაში. ამ დროისათვის მისიას ავღანეთში ასრულებს მე-4 მექანიზებული ბრიგადის ასეული (მაზარ-ი-შარიფი 2018 წლის იანვარ-ივლისი) და პირველი ქვეითი ბრიგადის მე-11 ქვეითი ბატალიონი (ბაგრამი 2018 წლის მაის-ოქტომბერი); 2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილია მე-4 ბრიგადის ნაკრები ასეულის (173 სამხედრო მომსახურე) გადასროლა ქაბულში.

2018 წლის თებერვალში, **ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA)** განხორციელდა ქართული ოცეულის (სულ, 35 სამხედრო მსახურის) მე-3 როტაცია, ხოლო მე-4 როტაცია განხორციელდა 2018 წლის 14 აგვისტოს. მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელი მისიის (EUTM Mali) მეკავშირე ოფიცრის პოზიციაზე 2018 წლის მაისში განხორციელდა ქართველი ოფიცრის მე-6 როტაცია.

ორმხრივი ურთიერთობები

თავდაცვის სისტემის განვითარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს პარტნიორ ქვეყნებთან ეფექტიანი თანამშრომლობა წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პარტნიორების მხრიდან გაწეული დახმარების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება. მიმდინარე ეტაპზე თავდაცვის სამინისტრო ორმხრივ ურთიერთობებს აწარმოებს 23 პარტნიორ ქვეყანასთან (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, თურქეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, საფრანგეთი, იტალია, ჩეხეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, შვედეთი, ფინეთი, დანია, ნორვეგია, უკრაინა, აზერბაიჯანი, სომხეთი, კანადა).

საქართველოს მთავრობა **აშშ**-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში აგრძელებს 2016 წლის 6 დეკემბერს გაფორმებული უსაფრთხოების სფეროში 2016-2019 წლებისთვის თანამშრომლობის ჩარჩოხელშეკრულების წარმატებით განხორციელებას.

2018 წლის 13 ივლისს მიღებული აშშ-ის ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტის (FY19NDAA) თანახმად, აშშ გააგრძელებს უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას, მათ შორის, ლეტალური თავდაცვითი შესაძლებლობებით, რაც გაამლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და გააუმჯობესებს ნატოს ძალებთან თავსებადობას.

მიმდინარეობს მუშაობა ქ. ვაშინგტონში, სექტემბერ-ოქტომბერში დაგეგმილი საქართველო-აშშ-ის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრასთან დაკავშირებით.

31 ივლისს ს. წეროვანში საფუძველი ჩაეყარა მარო მაყაშვილის სახელობის სამხედრო მოსამსახურეთა სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე აშშ-ის დაფინანსებით ახალი შენობის მშენებლობას.

2018 წელს საქართველომ აშშ-ის საგარეო სამხედრო დაფინანსების (FMF) ფარგლებში მიიღო 35 მილიონი აშშ დოლარი. საგარეო სამხედრო დაფინანსების ფარგლებში გამოყოფილი თანხები

სრულად არის გადანაწილებული წვრთნებისა და აღჭურვის პროგრამებისა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებაზე.

მიმდინარეობს მუშაობა, **გერმანიის** საგარეო საქმეთა სამინისტროს Enable and Enhance Initiative-ის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ, რომლის დამტკიცების შემთხვევაშიც, მოხდება საქართველოსთვის პრიორიტეტული ტექნიკის შესყიდვის დაფინანსება.

გრძელდება თანამშრომლობა სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებთან როგორც NORDEFCO-ის ფორმატში, ისე ორმხრივად.

ინსტიტუციური განვითარება

<u>ადამიანური რესურსების მართვა</u>

თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში ადამიანური რესურსების ეფექტური და ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პერსონალის მართვის სამსახურების რეორგანიზაცია. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ორგანიზაციული კლიმატის შესწავლისა და გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო პროექტის – „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება საქართველოს შეიარაღებულ ძალებში: ორგანიზაციული შეფასება“ განხორციელება. შემუშავდა შესრულებული სამუშაოს ხარისხის შეფასების სისტემა, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დამატებით მიმდინარეობს მუშაობა სამხედრო კარიერის ტრანზიციის პროგრამის განსახორციელებლად, რომლის მიზანია სამხედრო კარიერის შემდგომ, სოციალური ადაპტაციისა და სამოქალაქო საზოგადოებაში სრულფასოვანი რეინტეგრაციის მხარდაჭერა, დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა მაღალი სოციალური რისკის კატეგორიაში მოხვედრის პრევენცია და მაღალი პოტენციალის პერსონალის მოზიდვისა და შეიარაღებული ძალების საჭიროებათა მიხედვით შენარჩუნების პროცესების მხარდაჭერა. გრძელდება გენდერული თანასწორობის საკითხებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება.

<u>რესურსების მართვა</u>

შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესურსების ეფექტიან განკარგვას. ამ ეტაპზე კვლავ მთავარ ამოცანად რჩება შეზღუდული ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გადანაწილება. საანგარიშო პერიოდში, ფინანსური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიმართულებით, შემუშავდ**ა** „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო“, ასევე დასრულდა მუშაობა „თავდაცვის რესურსების მართვის სახელმძღვანელო“ დოკუმენტის პროექტზე. შემუშავდა და დანერგვის პროცესშია სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა.

საანგარიშო პერიოდში დაიწერა და დამტკიცდა „შეიარაღების სისტემების შესყიდვების 2019-2025 წლების სტრატეგიის“ დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს გრძელვადიანი შეიარაღების სისტემების შესყიდვების ძირითად მიმართულებებს და მოიცავს თავდაცვის შესაძლებლობების ძირითად მიმართულებებს 2019-2025 წლების თავდაცვის მოდერნიზაციის პროცესში.

თავდაცვის სისტემის მომსახურეთა სოციალური მხარდაჭერა და ჯანმრთელობის დაცვა

თავდაცვის სისტემის თითოეული მოსამსახურისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაცვა და მათთვის ღირსეული სოციალური პირობების შექმნა საქართველოს მთავრობის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალებში გასაწვევად წარმოდგენილი კანდიდატების ფსიქოლოგიური შერჩევა და მისიაში წამსვლელი და მისიიდან დაბრუნებული პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი.

დაჭრილ სამხედრო მოსამსახურეთა მხარდაჭერის ფონდის საქმიანობაში უფრო აქტიურად ხდება კერძო სექტორის ჩართულობა და მხარდაჭერა. ფონდი აქტიურად ეხმარება დაჭრილ მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს სხვადასხვა მიმართულებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეები მუდმივად იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო თამაშებსა და ღონისძიებებში;

დაჭრილი/დაშავებული/დაღუპული და მისიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილები (50 ბავშვი) მონაწილეობას იღებენ სსიპ – ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ბანაკებში ანაკლიასა და ქ. ქუთაისში. მიმდინარეობს მუშაობა დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების დასაქმების პროგრამის განვითარებაზე.

2. ძირეული და ინოვაციური რეფორმები

2.1 მაკროეკონომიკური სტაბილურობა

2018 წელს იანვარ-ივლისის საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 5.5 პროცენტი შეადგინა. 2018 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური ზრდა 5.3 პროცენტი იყო, ხოლო მეორე კვარტალში – 6.0 პროცენტი.

ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანი პოზიტიური გავლენა საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესებამ იქონია. 2018 წლის იანვარ-ივლისში ექსპორტის 28.8-პროცენტიანი ზრდა (417.9 მლნ აშშ დოლარით) დაფიქსირდა და 1 871.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წლის ივლისში საქონლის ექსპორტის 31-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 278.5 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდა. საქონლის ექსპორტის ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად გაიზარდა მომსახურების ექსპორტი. თავის მხრივ, მომსახურების ექსპორტის 60 პროცენტზე მეტი ტურიზმის სექტორზე მოდის და 2018 წლის იანვარ-ივლისში ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად 21.6 პროცენტით (318.7 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა და 1,791.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ივლისში ტურიზმიდან შემოსავლების 13.7-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 430.8 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2018 წლის პირველ კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 18.6 პროცენტით გაიზარდა და 18.0 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნესსექტორის გამოშვება 8.7 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაც 16.0 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. 2018 წლის პირველ კვარტალში სამუშაო ადგილების რაოდენობა 5.3 პროცენტით გაიზარდა და 637.0 ათასი შეადგინა, რაც 32 ათას ახალ სამუშაო ადგილს ნიშნავს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზით, საქართველოს ექნება ყველაზე მაღალი ზრდა რეგიონის ქვეყნებს შორის შემდგომ წლებში. 2018 წლის 28 ივნისს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა 2018 წლის საქართველოს ეკონომიკის შეფასება „შეთანხმების

მეოთხე მუხლით გათვალისწინებული კონსულტაციების“ ფარგლებში და ასევე საქართველოში „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი მიმდინარე პროგრამის მეორე მიმოხილვა. განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასება არის პოზიტიური, მისიის პირველ შეფასებასთან შედარებით, 0.6 პროცენტით გაუმჯობესდა საქართველოს 2018 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი და 4.8 პროცენტს შეადგენს. 21 აგვისტოდან 27 აგვისტოს ჩათვლით მიმდინარეობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის შუალედური ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში დადებითად შეფასდა არსებული ეკონომიკური ტენდენციები და შედეგად, მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ზრდის საფუძველზე, ფონდმა კიდევ ერთხელ განახორციელა 2018 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესება უკვე 5.5 პროცენტამდე. ფონდის შეფასებით, ამასთან, სტრუქტურული რეფორმების შედეგად, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია საშუალოდ 5.2-პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიზნით, გრძელდება მუშაობა დაბალი საბიუჯეტო დეფიციტის შესანარჩუნებლად. მიმდინარე წელს საბიუჯეტო დეფიციტი იქნება მშპ-ის 2,8%, ხოლო 2019 წლის ბიუჯეტი დაიგეგმება დეფიციტის 2,6%-იან ნიშნულზე.

დეფიციტის აღნიშნული მაჩვენებლები უკვე ასახულია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD 2019-2022) დოკუმენტში.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, 2019 წელს ნაერთი ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები მშპ-სთან მიმართებაში 2018 წელს არსებული 23,3%-იდან მცირდება 22,7%-მდე. კლების ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდება და 2022 წლისთვის მშპ-ის 20%-ის ფარგლებში იქნება.

მიმდინარე ხარჯების შემცირების მიუხედავად, 2019-2020 წლებში გათვალისწინებულია პენსიების ზრდა, კერძოდ, 2019 წელს ამ მიზნით გათვალისწინებულია დამატებით 200,0 მლნ ლარი, ხოლო 2020 წელს – 400,0 მლნ ლარი (2018 წელთან შედარებით) და ჯამში 2019-2020 წლებში პენსიების ზრდაზე მიიმართება 600,0 მლნ ლარი.

კონკრეტული წლის დეფიციტის გარდა, მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის აუცილებელია მშპ-სთან მიმართებაში სახელმწიფო ვალის სტაბილური და უსაფრთხო დონის შენარჩუნება. ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოზიდვა, მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად. თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ თუნდაც შეღავათიანი სესხების მოზიდვა ზრდის მთავრობის ვალის ოდენობას, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოზიდული სესხებით დაფინანსებული პროექტების შერჩევას, მათი პრიორიტეტულობისა და მიზნობრიობის გათვალისწინებით.

სახელმწიფო ვალის მართვის პოლიტიკის გაუმჯობესების კუთხით და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა მთავრობის საშუალოვადიანი ვალის მართვის სტრატეგიის პროექტი, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე იქნება მიღებული.

საქართველო აფართოებს თავის, როგორც რეგიონული ცენტრის მნიშვნელობას და აგრძელებს კონსულტაციებს სხვადასხვა დონორთან/განვითარების პარტნიორთან საქართველოში საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისა და ადგილობრივი წარმომადგენლობების/ოფისების გახსნისა თუ გაფართოების შესახებ. ზემოაღნიშნული საქართველოს შესაძლებლობას აძლევს, გააფართოოს მუშაობა დონორებთან/პარტნიორებთან და მეტი არჩევანი ჰქონდეს შეღავათიანი ფინანსური რესურსით საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული

პროექტებისა და პროგრამების დასაფინანსებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიმდინარეობს მუშაობა დონორებთან/პარტნიორებთან სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულების საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის გრანტებისა და გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების მოსაზიდად.

2018 წლის III კვარტალში, საჯარო შენობებში ენერგოეფექტიანობის ზომების განხორციელების დაფინანსებისთვის, გაფორმდა 2 სასესხო/საგრანტო შეთანხმება დაახლოებით 4.7 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსზე.

მიმდინარე წლის აგვისტოში ხელი მოეწერა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (KfW) – აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამას (სასესხო და დაფინანსების ხელშეკრულებები).

მომზადდა და უახლოეს პერიოდში იგეგმება ხელმოწერა:

- ევროკავშირთან – მაკრო-ფინანსური დახმარების პროგრამა (ურთიერთგაგების მემორანდუმი, სასესხო და საგრანტო შეთანხმებები).
- აზიის განვითარების ბანკთან (ADB) – აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი (ხევი-უბისა) (სასესხო შეთანხმება).
- იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოსთან (JICA) – აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი (ფაზა 2) (შორაპანი-არგვეთა) (სასესხო ხელშეკრულება).

ასევე მიმდინარეობს ინტენსიური კონსულტაციები სხვადასხვა საინვესტიციო პროექტის/პროგრამის დაფინანსების მიზნით, მათ შორის:

- გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW) და საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) – ენერგეტიკის სექტორის რეფორმასთან დაკავშირებით.
- საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD) – სოციალური კეთილდღეობის პროგრამა.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) – თბილისის მყარი ნარჩენების მართვა.
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) – საქართველოში სახიფათო ნარჩენების მართვა.

2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის ვალმა მშპ-სთან მიმართებაში 40.2% შეადგინა, მათ შორის, საგარეო ვალმა – 31.2%. 2018 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის პორტფელი მთლიანი მთავრობის ვალის 78%-ს შეადგენს, ამ რესურსის დიდი ნაწილი მიღებულია მრავალმხრივი და ორმხრივი დონორებისგან/პარტნიორებისაგან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტების/პროგრამების დაფინანსებისათვის. მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის შედეგებით მთავრობის ვალის პორტფელი საშუალოვადიან პერიოდში ინარჩუნებს ხელსაყრელ ფინანსურ პარამეტრებს.

მიუხედავად რეგიონში განვითარებული ეკონომიკური პროცესებისა, სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი შეინარჩუნა „BB-“ დონეზე, პოზიტიური პერსპექტივით. სარეიტინგო სააგენტო ხაზს უსვამს ბიზნესისათვის ხელსაყრელ გარემოსა და ხელშესახებ პროგრესს საგარეო შოკებისადმი ეკონომიკის მოქნილობის

მიმართულებით. ასევე პოზიტიურად აფასებს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან წარმატებით მიმდინარე პროგრამის მნიშვნელობას. სარეიტინგო კომპანიის შეფასებით, საქართველომ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება აჩვენა საჯარო ფინანსების მიმართულებითაც.

2.2 საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობა

2017 წლის ღია ბიუჯეტის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 112 ქვეყანას შორის „ყველაზე გამჭვირვალე" ქვეყნების რიგში მე-5 ადგილს იკავებს და ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობის (International Budget Partnership) ორგანიზებით და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, 2018 წლის 18 ივლისს, გაიმართა მაღალი რანგის რეგიონული დიალოგი თემაზე: „ბიუჯეტის გამჭვირვალობა და ჩართულობა".

2017 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელდა სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების (PEFA – Public Expenditure and Financial Accountability) თვითშეფასება საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ჩართული უწყებების მონაწილეობით. ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი ძალისხმევით, 2018 წლის ივლისში დასრულდა 2017 წლის PEFA-ის ვალიდაცია. შეფასების შედეგებით საქართველოს შეფასება მნიშვნელოვნად აღემატება იმ ქვეყნების საშუალო შეფასებას, რომლებიც 2016 წლის PEFA-ის მეთოდოლოგიით არის შეფასებული (24 ქვეყანა).

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფისკალური გამჭვირვალობის შეფასების (Fiscal Transparency Evaluation) ანგარიშის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების ფარგლებში დასრულდა მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის შეფასების ანგარიშზე და მომზადდა 2018-2021 წლების სამოქმედო გეგმა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობით მომზადდა ფისკალური წესების მარეგულირებელი ნორმების განახლებული ვარიანტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია მსოფლიოში არსებულ საუკეთესო პრაქტიკასთან. აღნიშნული დოკუმენტი, 2019 წლის ბიუჯეტთან ერთად, განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ფისკალური რისკების შეფასების მიზნით, გრძელდება მუშაობა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საწარმოებიდან გამომდინარე პოტენციური რისკების შეფასების მიმართულებით. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოწვეული ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, გაფართოვდა სახელმწიფო საწარმოებიდან მისაღები ინფორმაცია და მასალები, რომელმაც უნდა მოიცვას საწარმოთა საქმიანობის 5-წლიანი პერიოდი, ფინანსური მაჩვენებლების ფართო სპექტრი და მათი პირობითი ვალდებულებები.

2.3 დასაქმება

დასაქმების ზრდისა და უმუშევრობის შემცირების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობა ახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს. კერძოდ, „აწარმოე საქართველოში" პროექტის ფარგლებში, როგორებიცაა: მიკრო და მცირე ბიზნესის, ინდუსტრიული, სასტუმროს, კინოინდუსტრიის

განვითარების პროგრამები, სულ მხარდაჭერილია 364 პროექტი და აღნიშნული პროექტებით შეიქმნება **14,000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.**

სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ განხორციელებული 4 პროექტის ფარგლებში – სტარტაპ საქართველო, თანადაფინანსების გრანტი, ბიზნეს ინკუბატორი და მიკროგრანტი, სულ **შეიქმნა 1000-მდე ახალი სამუშაო ადგილი.**

შედეგად, ეკონომიკური ზრდისა და ბიზნესსექტორის განვითარების პარალელურად, მცირდება უმუშევრობის დონე ქვეყანაში. 2018 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონემ 12.1 პროცენტი შეადგინა და წინა კვარტალთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა. წინა კვარტალთან შედარებით გაზრდილია როგორც მოსახლეობის აქტიურობის დონე, ისე დასაქმების დონე, შესაბამისად 0.2 და 1.4 პროცენტული პუნქტით. დასაქმების ზრდა დაქირავებით დასაქმებულების რაოდენობის ზრდით არის გამოწვეული. ბოლო წლებში ფიქსირდება თვითდასაქმებულთა წილის შემცირების ტენდენცია. 2018 წლის II კვარტალში თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში 48.7 პროცენტს შეადგენდა, რაც 1.9 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული წინა კვარტალთან შედარებით.

2.4 ბიზნესგარემო

ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით, განხორცილდა და შემუშავების პროცესშია არაერთი რეფორმა, კერძოდ:

- საშემოდგომო სესიაზე საგადასახადო კოდექსში ცვლილებების სახით წარედგინება საქართველოს პარლამენტს განსახილველად პროექტი, რომლის მიხედვით:
  - ქართული წარმოების ნატურალური რძე და რძის ნაწარმი სრულად გათავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან ჩათვლის უფლებით.
  - დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდება ფარმაცევტული საწარმოს მიერ წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის მიწოდება.
  - შეიქმნება სპეციალური საგადასახადო რეჟიმები მულტინაციონალური კომპანიებისათვის საქართველოში რეგიონული ოფისების დაფუძნებისათვის.
- მომზადდა და პარლამენტის მიერ დამტკიცდა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რომლის მიხედვით, გადამხდელებს, რომელთაც აქტივობები არ უფიქსირდებათ, სრულად ჩამოეწერებათ 2013 წლის 1 იანვრამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანების თანხა. კანონის მიღებიდან 1 სექტემბრამდე უკვე განხორციელდა 225 მლნ ლარზე მეტი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა 10 ათასზე მეტი გადამხდელისათვის.
- მომზადდა ახალი საბაჟო კოდექსის პროექტი, რომელიც შემუშავებულია ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. პროექტის პრეზენტაცია და საჯარო განხილვა იგეგმება მიმდინარე წლის სექტემბერში. ახალი კანონის ამოქმედება მოხდება 2019 წლის 1 იანვრიდან.
- ფინანსთა სამინისტროს ინიციირებით, 2018 წლის იანვრიდან დაწყებულია უმნიშვნელოვანესი რეფორმა, რაც ბიზნესისთვის დღგ-ის ზედმეტობების, პირველ ეტაპზე გამარტივებულ, ხოლო 2018 წლის ბოლოდან ავტომატურ რეჟიმში დაბრუნებას

გულისხმობს. რეფორმის ფარგლებში საგადასახადო ზედმეტობები გარდაიქმნება ლიკვიდურ აქტივად და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ბიზნესისთვის ფინანსურ რესურსზე წვდომას. რეფორმის ფარგლებში 1,5-2,0 მილიარდი ლარი დაუბრუნდება ბიზნესს 3 წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვან სტიმულს ქმნის ეკონომიკური განვითარებისთვის. 2018 წელს რეფორმის პირველ ეტაპზე, წინა წელთან შედარებით 2-ჯერ მეტი თანხის დაბრუნება განხორციელდება ბიზნესისთვის, რაც ნომინალურ გამოხატულებაში 500 მილიონი ლარის ფარგლებშია. 2018 წლის 8 თვეში დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა 267 მილიონ ლარზე მეტი.

- აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ამ პროცესის სრული ელექტრონიზაციის მიმართულებით და 2018 წლის ბოლოდან ბიზნესისთვის საგადასახადო ზედმეტობები სრულად იქნება ხელმისაწვდომი სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ადამიანური რესურსისა და ბიუროკრატიული მექანიზმების ჩართულობის გარეშე.
- მიმდინარეობს მუშაობა ახალი ინოვაციური საგადასახადო ადმინისტრირების სისტემების შემუშავებაზე. ამ მიზნით, იგეგმება ავტომატური დეკლარირების პროექტზე მუშაობა.
- განხორციელდა საგადასახადო კოდექსში ცვლილებები, რომლის საფუძველზეც დაინერგება ერთიანი საგადასახადო დოკუმენტი, რაც კიდევ უფრო მეტად გაამარტივებს საგადასახადო ორგანოებთან გადამხდელების ურთიერთობასა და გადასახადების ადმინისტრირებას.
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, შემუშავდა კანონპროექტი იურიდიული პირების გადახდისუუნარობის შესახებ. ამავდროულად, დაიწყო მუშაობა ფიზიკური პირების გადახდისუნარიანობის კანონპროექტზე.
- შემუშავდა „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონპროექტი, რომელიც სამეწარმეო ურთიერთობებში კანონის როლისა და დანიშნულების გაძლიერების მიზანს ემსახურება. ახალი კანონპროექტის მიდგომით მხარეები შეძლებენ, უკეთ მოაწესრიგონ კორპორაციული ურთიერთობები, ხოლო ცალკეული საკითხის წესდებით მოუწესრიგებლობის შემთხვევებისთვის იარსებებს შესაბამისი ნორმატიული ბაზა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის საკანონმდებლო ვაკუუმი, რომელიც დღეისათვის ხელს უშლის, ერთი მხრივ, ამ ურთიერთობის მონაწილეებსა და, მეორე მხრივ, სასამართლოს სადავო საკითხების სათანადოდ განხილვასა და გადაწყვეტაში. კანონპროექტზე შესრულებულია რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA). აუცილებელი საფეხურების გავლის, მათ შორის, საჯარო კონსულტაციების გამართვისა და მათი შედეგების გაანალიზების შემდეგ, ის განსახილველად წარედგინება საქართველოს მთავრობასა (ოქტომბრის ბოლომდე) და პარლამენტს.
- მომზადდა საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში კომერციული პალატების შექმნის შესახებ რეფორმის პროექტი. მოსამართლეთა კორპუსთან კონსულტაციებისა და საჯარო განხილვების შემდეგ, რეფორმის პროექტი წარმოედგინება საქართველოს მთავრობას საკანონმდებლო ინიციატივად ქცევის მიზნით. რეფორმის თანახმად, კომერციული პალატები სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო დავების სწრაფად და ეფექტიანად განხილვასა და გადაწყვეტაზე. შედეგად, კომერციულ დავებთან დაკავშირებით, გაიზრდება მართლმსაჯულების სისწრაფე და ხარისხი, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას. რეფორმის მეორე მნიშვნელოვანი შედეგი იქნება სამოქალაქო სასამართლოების განტვირთვა და საქმეთა

დაგროვილი მოცულობის შემცირება. კომერციულ პალატებს ექნებათ დამოუკიდებელი ელექტრონული საქმისწარმოება, ასევე საქმის განხილვის სპეციალური პროცესუალური წესები.

- საქართველოს პარლამენტს სექტემბერში განსახილველად წარედგინება მრავალმხრივი კონსულტაციების შედეგად მომზადებული კანონპროექტი „მედიაციის შესახებ“. ამ საკანონმდებლო და სხვა ინსტიტუციონალური მექანიზმების მეშვეობით, ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებასა და განვითარებას. კანონპროექტის თანახმად, მედიაციის პროცესში სათანადოდ მომზადებული, მიუკერძოებელი მესამე პირი დაეხმარება მოქალაქეებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს სამოქალაქო დავების ხანგრძლივი და ძვირადღირებული სასამართლო პროცესის გარეშე, ურთიერთშეთანხმებით, სწრაფად და ეფექტიანად მოგვარებაში.
- ხორციელდება პროექტი „ბიზნეს სახლი“, რაც „my.gov.ge“-ის პორტალის მეშვეობით, აღნიშნულ პორტალზე რეგისტრირებულ ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს მისცემს საშუალებას, სახლიდან გაუსვლელად, დისტანციურად ისარგებლოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ყველა სერვისით, მათ შორის, ელექტრონულად შეიტანონ განცხადებები სუბიექტის რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების, სუბიექტის რეორგანიზაციისა და რეგისტრაციის გაუქმების, ამონაწერის განახლებისა და ინფორმაციის მიღების მოთხოვნებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომზადდა და ფუნქციონირებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დამატებით 20 სერვისი, მათ შორის, ბიზნესის რეგისტრაციისთვის მიმართვა, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებებისთვის მიმართვა და სხვა.
- დაწყებულია მუშაობა და უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნება ისეთი სერვისის შეთავაზება, რომელიც მეწარმე სუბიექტებს მისცემს კრებების ელექტრონულად ჩატარების შესაძლებლობას ონლაინრეჟიმში.
- გაუმჯობესებული ონლაინსერვისების მეშვეობით, არარეზიდენტ პირებს შესაძლებლობა გაუჩნდებათ, საქართველოში განახორციელონ კომპანიების ონლაინრეგისტრაცია. აღნიშნული პროცესი საშუალებას მისცემს უცხოელ პირებს, გახდნენ საქართველოს ელექტრონული რეზიდენტები საქართველოში ჩამოუსვლელად, ასევე გახსნან ანგარიშები ქართულ ბანკებში და სრულად ისარგებლონ საქართველოში არსებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმებით. საშემოდგომო სესიაზე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

საერთაშორისო რეიტინგები

მსოფლიოს ბიზნეს სკოლის (INSEAD) „გლობალური ინოვაციის ინდექსი 2018“-ის მიხედვით, რომელიც ივლისის თვეში გამოქვეყნდა, ქვეყნის სარეიტინგო მდგომარეობა წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 9 პოზიციით გაუმჯობესდა და საქართველომ 2018 წელს 59-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის. წინა წელთან შედარებით, ასევე გაუმჯობესდა ქვეყნის სარეიტინგო ქულა და 35.05 შეადგინა. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის 7 ინდიკატორიდან

საქართველოს მდგომარეობა 5 ინდიკატორში გაუმჯობესდა, კერძოდ, ინსტიტუტები (39-ე ადგილი, გაუმჯობესდა 8 პოზიციით), ადამიანური კაპიტალი და კვლევა (67-ე ადგილი, გაუმჯობესდა 22 პოზიციით), ინფრასტრუქტურა (71-ე ადგილი, გაუმჯობესდა 3 პოზიციით), ბაზრის განვითარება (39-ე ადგილი, გაუმჯობესდა 14 პოზიციით), ბიზნესის განვითარება (91-ე ადგილი, გაუმჯობესდა 10 პოზიციით).

მსოფლიო ბანკის 2018 წლის ლოგისტიკის ინდექსის მიხედვით, საქართველო მსოფლიო რეიტინგში 160 ქვეყანას შორის 2.44 ქულით 119-ე ადგილს იკავებს. გასულ წელთან შედარებით, ქვეყანამ პოზიცია 11 ადგილით გაიუმჯობესა. გაუმჯობესება შეინიშნება თითქმის ყველა კომპონენტში: საბაჟო (2.42 ქულა), ინფრასტრუქტურა (2.38 ქულა), საერთაშორისო გადაზიდვები (2.38 ქულა), ლოგისტიკური შესაძლებლობები (2.26 ქულა), დრო (2.95 ქულა).

ევროპის პალატის მიერ აგვისტოს თვეში გამოქვეყნებული „ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისთვის 2018“ რეიტინგის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით 2 ადგილით გაუმჯობესდა და მე-20 ადგილიდან მე-18 ადგილზე გადაინაცვლა ევროპის 46 ქვეყანას შორის. 2018 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა გაუმჯობესდა 0.42 პუნქტით და შეადგინა 69.02 ქულა.

საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის სარეიტინგო პოზიციების გაუმჯობესების მიზნით, აგვისტოს თვეში დასრულდა მუშაობა მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების სტრატეგიის (2019-2023 წ.წ.) პროექტზე. დაწყებულია მუშაობა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტზე. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდას არაერთი მიმართულებით და შესაბამისად, უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მიღწეული შედეგების პოზიტიურ ასახვას საერთაშორისო რეიტინგებში.

2.5 მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, პირველი ივლისიდან ამოქმედდა მცირე ბიზნესისათვის უპრეცედენტო მეგობრული დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, რაც გულისხმობს მინიმალური საგადასახადო განაკვეთის დაწესებას მცირე მეწარმეებისათვის. მცირე ბიზნესისთვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდა ხუთჯერ - 5%-იდან 1%-მდე. ასევე, ხუთჯერ გაიზარდა მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა – 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე. 30 აგვისტოს მონაცემებით, მცირე ბიზნესის სტატუსი და შესაბამისად 1%-იანი დაბეგვრის რეჟიმი აქვს 68 ათასამდე გადამხდელს.

საექსპორტო პოტენციალის სრულად ასათვისებლად, კერძო სექტორის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს ექსპორტის დაზღვევის მექანიზმების ჩამოყალიბება. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს გარკვეული რაოდენობრივი მოდელი, რომელიც დაეფუძნება საერთაშორისო და ადგილობრივი ინდუსტრიების გამოცდილებას, გაითვალისწინებს

სახელმწიფოს პრიორიტეტებსა და განსაზღვრავს ექსპორტიორს, მზღვეველსა და სახელმწიფოს შორის რისკის გადანაწილების წესს, ქვეყნების, პროდუქტებისა და ექსპორტიორის მიხედვით.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის არსებული **„აწარმოე საქართველოში“** პროექტის ფარგლებში, **საანგარიშო პერიოდის მონაცემებით:**

- ინდუსტრიული კომპონენტით (21 ივნისი – 31 ივლისი): მხარდაჭერილია **8** პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს **12** მლნ ლარს, საიდანაც კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში **10** მლნ ლარია. სულ შეიქმნება 200-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

- სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტში (21 ივნისი – 31 ივლისი) მხარდაჭერილია **3** პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა **8** მლნ ლარამდეა, ხოლო კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში აღემატება **6.7** მლნ ლარს. აღნიშნული სასტუმროები შექმნიან **100-ზე** მეტ ახალ სამუშაო ადგილს.

კინოინდუსტრიის განვითარების პროგრამის ფარგლებში ამ პერიოდში მიმდინარეობს 6 პროექტი. განსახორციელებელი პროექტების ინვესტიცია **12** მლნ ლარამდეა, ხოლო მთლიანი კვალიფიციური ხარჯის მოცულობა **8** მლნ ლარზე მეტია. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების საშუალებით დასაქმდება **250**-ზე მეტი ადამიანი.

წარმატებით ხორციელდება აგრეთვე **მიკრო და მცირე ბიზნესის განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები** საქართველოს რეგიონებში, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე სამეწარმეო აქტივობების ხელშეწყობას როგორც ბიზნესისთვის საჭირო ფინანსური რესურსის მიწოდებით, ისე ბიზნესის ეფექტიანად მართვისთვის აუცილებელი ცოდნის მიწოდებით, აგრეთვე ტრენინგ-სემინარებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების მეშვეობით. 2018 წელს პროგრამა 20 აგვისტოდან ახალი პირობებით განახლდა. ცვლილებების შესაბამისად, საგრანტო თანხა ერთ მეწარმე სუბიექტზე 20 000 ლარამდე გაიზარდა და ასევე შესაძლებელია არსებული, 2015-2017 წლებში დაფინანსებული ბენეფიციარების (სტარტაპების) განმეორებით დაფინანსება. წლის ბოლომდე იგეგმება მინიმუმ 880 ბენეფიციარის დაფინანსება და მინიმუმ 1800 ბენეფიციარის გადამზადება. პროგრამის ფარგლებში, სუბსიდიის სახით გაიცემა 8 300 000 ლარი.

ეკონომიკური რეფორმები

2.5.1 კაპიტალის ბაზრის რეფორმა

აზიის განვითარების ბანკსა და მსოფლიო ბანკთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებაც სამოქმედო გეგმით გაწერილი ვადების შესაბამისად მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფინანსური სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასა და ევროდირექტივებთან. 2018 წლის ივლისში შემუშავდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონის პროექტი.

2.5.2 საპენსიო რეფორმა

საპენსიო უზრუნველყოფის მე-2 სვეტის ფარგლებში, რაც გულისხმობს ნახევრადსავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო უზრუნველყოფის სისტემის შექმნას, შემუშავებული კანონის პროექტი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ ივლისში მიიღო საქართველოს პარლამენტმა და აგვისტოში გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე. 2018 წლის 15 აგვისტოს დამტკიცდა დებულება საპენსიო სააგენტოს შესახებ. პარალელურად, მიმდინარეობს IT ინფრასტრუქტურის შემუშავება. ამასთანავე, მიმდინარეობს მუშაობა მე-3 სვეტის „კერძო დაგროვებითი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის პროექტზე, რომელიც 2018 წლის საშემოდგომო სესიაზე წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

2.5.3 საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება და სახელმწიფო ინვესტიციების მართვა

აქტიურ ფაზაშია საჯარო და კერძო თანამშრომლობის რეფორმის განხორციელება. კანონი საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ პარლამენტმა მიიღო 2018 წლის მაისში. საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიქმნა სსიპ – საჯარო და კერძო პარტნიორობის თანამშრომლობის სააგენტო, შემუშავდა ამ ტიპის პროექტების შემუშავებისა და განხორციელების წესი. მიმდინარეობს მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის დანერგვასა და საჯარო და კერძო პარტნიორობის თანამშრომლობის ტიპის პროექტების მართვის ჰარმონიზებაზე, საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემასთან ინტეგრირების მიზნით.

2.5.4 პასუხისმგებლიანი დაკრედიტების რეფორმა

მიმდინარე წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის საფუძველზეც საქართველოში ჭარბვალიანობასთან დაკავშირებით განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები. კანონით დადგენილი რეგულაციები სრულად შედის ძალაში 2018 წლის 1 სექტემბრიდან და ითვალისწინებს მთელ რიგ მნიშვნელოვან რეგულაციებს, მათ შორის:

- 50%-ით შემცირდა (განახევრდა) სესხის წლიური ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა. აღნიშნული ლიმიტი თანაბრად გავრცელდება ყველა სახის, მათ შორის, იპოთეკურ სესხებზე.
- ეფექტიანი საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებაში შემავალი ხარჯების გარდა, დაწესდა ლიმიტი სესხის ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული ნებისმიერი ხარჯის (ჯარიმა, ნებისმიერი საკომისიო, ფინანსური ხარჯი, პირგასამტეხლო და სხვა) ოდენობაზე, რაც წლიურად შეადგენს 98.55%-ს. აღსანიშნავია, რომ ცვლილებამდე მოქმედი რედაქციით, აღნიშნული ხარჯების/საკომისიოების/სანქციების ლიმიტი წლიურად შეადგენდა 150%-ს.
- დაწესდა ლიმიტი სესხის ვადაგადაცილებისას მსესხებელზე დაკისრებული ნებისმიერი საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან სხვა სახის ფინანსური ხარჯების ჯამურ ოდენობაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ გამსესხებელი (ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ლომბარდი, ონლაინსესხების კომპანია, კერძო გამსესხებელი) მსესხებელს ვერ მოსთხოვს სესხის

მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობაზე მეტ თანხას, მიუხედავად ვადაგადაცილების ხანგრძლივობისა.

- ფიზიკურ პირებზე (მათ შორის, ინდმეწარმეებზე) გაცემული სესხის უზრუნველყოფის მიზნით, შეიზღუდა სატრანსპორტო საშუალებებისა და უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვა, თუ სესხის გამცემი არ არის საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობას დაქვემდებარებული სუბიექტები, ასევე ის ფიზიკური პირები, რომლებიც უძრავ ქონებას გაცემული სესხის უზრუნველყოფის საგნად იღებენ მხოლოდ საცხოვრებელი მიზნით და ის იურიდიული პირები, რომლებიც უძრავ ქონებას გაცემული სესხის უზრუნველყოფის საგნად იღებენ იურიდიულ მისამართად გამოყენების მიზნით.

2.5.5 ლარიზაცია

ლარიზაციის გეგმის ფარგლებში გაგრძელდა მუშაობა მასტიმულირებელი ღონისძიებების განვითარებაზე, რაც მნიშვნელოვანია ლარიზაციის შეუქცევადი პროცესის უზრუნველყოფისათვის. ამ მიმართულებით მზადდება ცვლილებები კანონმდებლობაში, რომლის თანახმადაც, უცხოურ ვალუტაში სესხების გაცემა შეიზღუდება 200 ათას ლარამდე (მიმდინარე შეზღუდვა – 100.0 ათას ლარამდე სესხების შემთხვევაში).

2.5.6 ხარისხობრივი და ტექნოლოგიების ტრანსფერზე ორიენტირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა

2018 წლის 12 ივლისს, ქალაქ ვარშავაში ჩატარდა საქართველო-პოლონეთის ბიზნესფორუმი, სადაც ქართველ და პოლონელ ბიზნესმენებს მიეცათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ ორი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. ფორუმში 150-ზე მეტმა ქართულმა და პოლონურმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

ასევე 2018 წლის 17 ივლისს, ქ. თბილისში საქართველო-იტალიის ბიზნესფორუმი გაიმართა, რომელშიც 23-მა იტალიურმა და 120-ზე მეტი ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.

2.5.7 ინდუსტრიალიზაცია

ინდუსტრიული განვითარების მიზნით, მიმდინარეობს საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა, რომლის ანალიზის საფუძველზეც მოხდება კონკურენტული უპირატესობის მქონე დარგების განვითარებისა და ინდუსტრიალიზაციის ხელშემწყობი ინიციატივებისა და ღონისძიებების შემუშავება.

2.6 საქართველო – რეგიონალური ჰაბი

საქართველო-ჩინეთის საავტომობილო შეთანხმება

პირველ-3 აგვისტოს, ქ. პეკინში გაიმართა მოლაპარაკებები „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთის საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმების პროექტზე. შეთანხმების ხელმოწერა დაგეგმილია 13-14 სექტემბერს, ქ. ბათუმში დაგეგმილი საერთაშორისო საზღვაო ფორუმის

ფარგლებში.

ახალი ავიაკომპანიების შემოსვლა ქართულ საავიაციო ბაზარზე

მიმდინარე წლის ივლისიდან თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ფრენები დაიწყეს შემდეგმა უცხოურმა ავიაკომპანიებმა: Salaman Air (ომანი), Flynac (საუდის არაბეთი), Kuwait Airways (ქუვეითი).

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოება

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის გაფართოების მიზნით, დაგეგმილი გრაფიკით მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი, უწყვეტად და შეფერხებების გარეშე. ამ ეტაპზე დასრულებულია საძირკვლისა და „0“ ნიშნულის მოწყობის სამუშაოები და მუშაობა მიმდინარეობს სვეტებისა და კედლების მზიდი კონსტრუქციების მოწყობის მიმართულებით.

საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება

საქართველოს მთავრობა განაგრძობს ძალისხმევას საქართველოს საარბიტრაჟო წესით დავების გადაწყვეტის ისეთ რეგიონულ ცენტრად ტრანსფორმაციისათვის, მაგალითად, როგორიცაა: სტოკჰოლმის სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტი, დუბაის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრი, სინგაპურის საერთაშორისო არბიტრაჟის ცენტრი და სხვა. ამ მიზნით, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო სასამართლოსთან (ICC) წარმოებული მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და განზრახულია, მიმდინარე წლის ბოლომდე ხელი მოეწეროს თანამშრომლობის მემორანდუმს.

სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა: პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა

ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, რომლის ფარგლებშიც, 2018 წლის 1 იანვრიდან, ეტაპობრივად ხდება სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ამოქმედება, ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

2018 წლის 1 ივლისიდან სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ამოქმედდა საქართველოში რეგისტრირებული სახელმწიფო უწყებებისა და იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის. დარჩენილი კატეგორიის ავტომობილებისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება ამოქმედდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 2018 წლის 1 ოქტომბრიდან – M1 (მსუბუქი), 3000 კუბური სანტიმეტრის ან მეტი ძრავის მუშა მოცულობის მქონე ავტომობილები;
- 2019 წლის 1 იანვრიდან – M1 (მსუბუქი), საქართველოში რეგისტრირებული ყველა ავტომობილი.

2018 წლის აპრილში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებული „ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შექმნის/მოწყობის და აკრედიტაციის მიღების მიზნით შერჩევის პროცესში წინადადებათა წარმოდგენის შესახებ“ მოწვევა, აღნიშნულ შერჩევის პროცესში მონაწილეობა მიიღო

მხოლოდ შპს „პრემიუმ რეზიდესნმა“, რომელმაც სრულად დააკმაყოფილა ინტერესთა გამოხატვით დადგენილი მოთხოვნები და განაცხადთა განმხილველი უწყებათაშორისი კომისიის მიერ გამოცხადდა გამარჯვებულად. შედეგად, 2018 წლის ივნისში აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება, რის შედეგადაც, კომპანიამ იკისრა ვალდებულება, 2018 წლის ბოლომდე, საქართველოში მოაწყოს და აკრედიტაცია მიიღოს ჯამში 51 ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ხაზზე.

2.7 საგარეო სავაჭრო ურთიერთობები

საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონთან – ჰონკონგთან 2018 წლის 28 ივნისს ხელმოწერილი თავისუფალი ვაჭრობის სამართლებრივად გამართული შეთანხმების ქართულენოვანი ტექსტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს, რატიფიკაციის მიზნით.

2018 წლის ივლისის თვეში დიდი ბრიტანეთის დელეგაციის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, გაიმართა კონსულტაციები ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების ასპექტებთან დაკავშირებით.

2018 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით, ექსპორტირებულია 563.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 35.9%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. აღნიშნულ პერიოდში აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში 23.6 მლნ აშშ დოლარით (34.3%) გაიზარდა.

2018 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით, იმპორტირებულია 829.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 22.1%-ით მეტია 2017 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

2.8 სივრცითი მოწყობა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის მიმართულებით, საანგარიშო პერიოდში:

- დასრულდა მესტიის მუნიციპალიტეტისა და მულახის თემის 11 სოფლის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავება.
- დასრულდა ონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავების მესამე ეტაპი.
- დასრულდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის შემუშავების მესამე ეტაპი.
- დასრულდა კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების პირველი ეტაპი.
- დასრულდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმისა და 12 სოფლის განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების მესამე ეტაპი.
- დასრულდა ქ. ფოთში მალთაყვის უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავება.

- მიმდინარეობს სოფლების: ნიკორწმინდის, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების მეოთხე ეტაპი.
- მიმდინარეობს სოფლების: უწერის, მრავალძალისა და კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების მეოთხე ეტაპი.
- მიმდინარეობს ქალაქ თელავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და ცენტრალური მოედნის განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების მესამე ეტაპი.
- მიმდინარეობს უშგულის თემის 4 სოფლის – ჟიბიანის, ჩვიბიანის, მურყმელის, ჩაჟაშის განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების მესამე ეტაპი.

წარმატებით მიმდინარეობს ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნისა და განვითარების პროექტი. პროექტის მიზანია ეროვნული სანავიგაციო სისტემის ჩამოყალიბება, საქართველოს სანავიგაციო გეოგრაფიული მონაცემების ინტეგრაცია ამ სფეროში მსოფლიო ბაზარზე არსებული ლიდერი სანავიგაციო კომპანიების პროდუქტებში (ელექტრონული რუკების მობილური და ვებაპლიკაციები, ავტომობილების ბორტკომპიუტერები, სანავიგაციო სისტემები და სხვ.).

სანავიგაციო პროდუქტების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია როგორც სანავიგაციო-საბაზისო მონაცემების, ისე ზოგადგეოგრაფიული მონაცემების არსებობა, რომელთა აღწერაც ხორციელდება საველე ოპერატორების მიერ საინვენტარიზაციო სამუშაოების წარმოების გზით.

დღევანდელი მდგომარეობით, დასრულებულია: ქ. თბილისის, ასევე შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, აჭარის, გურიის, იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მხარეების ქალაქისა და დაბის ტიპის დასახლებული პუნქტების ინვენტარიზაცია. სამუშაოები მიმდინარეობს კახეთის მხარეში.

ჯამურად აღწერილია:

- დასახლებული პუნქტი 111
- სამუშაო არეალი 1 589 კვ. კმ
- შენობა-ნაგებობა 178 077
- საავტომობილო გზა 17 181 კმ
- ინტერესის ობიექტი (PoI) 104 178
- საგზაო ნიშანი 74 503.

2.9 ინფრასტრუქტურული განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია

21 ივნისი – 1 სექტემბრის პერიოდის მდგომარეობით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით მიმდინარეობდა საერთო ჯამში – 2 303 051.7 ათასი ლარის ღირებულების 136 პროექტი. ამასთანავე, 2018 წლის ამავე პერიოდში გამოცხადდა 21 ტენდერი საგზაო სამუშაოების შესყიდვაზე (სავარაუდო ღირებულება ჯამში – 3 961 697.9 ათასი ლარი), რომელთაგანაც მასშტაბურობით გამოირჩევა:

- ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა;

- ქვეშეთი-კობის გზის მონაკვეთის მშენებლობა (გვირაბი);
- შოროპანი-არგვეთის, ხევი-უბისისა და უბისა-შოროპნის გზის მონაკვეთების მშენებლობა;
- ზუგდიდი-ანაკლიის 10 კმ-იანი მონაკვეთი;
- პანტიანი-მანგლისის 10 კმ-იანი მონაკვეთი;
- შიდა ქართლსა და იმერეთში საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესების ღონისძიებები;

ამასთან, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე სისტემატურად მიმდინარეობდა მოვლა-შენახვის სამუშაოები.

წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა რეაბილიტაცია

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაფინანსებით, მიმდინარეობდა საერთო ჯამში 710 მილიონი ლარის ღირებულების 13 პროექტი. ამასთანავე 2018 წელს გამოცხადდა 4 ტენდერი სამშენებლო მომსახურების შესყიდვაზე (სავარაუდო ღირებულება ჯამში – 260 მილიონი ლარი), რომელთაგანაც მასშტაბურობით გამოირჩევა მარნეულის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების, ბოლნისის წყალარინების სისტემის მშენებლობის ტენდერი. დამატებით 2018 წელს კომპანიამ გამოაცხადა ტენდერები ქუთაისის წყალარინების სისტემისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის პროექტირების მომსახურების შესყიდვაზე. ასევე ტენდერი გამოცხადდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესყიდვაზე სამტრედიის, ბაღდათის, ვანისა და სტეფანწმინდის წყალმომარაგების/წყალარინების ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების მიზნით.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდები

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2018 წელს დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტებიდან ამ ეტაპისთვის დასრულებულია 54,6 მლნ ლარის ღირებულების 161 ინფრასტრუქტურული პროექტი. სამუშაოები მიმდინარეობს 109,5 მლნ ლარის ღირებულების 259 პროექტზე. ტენდერი გამოცხადებულია 52,9 მლნ ლარის ღირებულების 161 პროექტზე, ხოლო ტენდერი გამოსაცხადებელია 54,6 მლნ ლარის ღირებულების 157 პროექტზე.

წყნეთი-ბეთანიის გზის (წყნეთის ბოლოდან მეწყრის ზონამდე და მეწყრის ზონიდან კოჯორი-სამადლოს გზის კვეთამდე) რეაბილიტაცია. ღირებულება – 2,901,541 ლარი. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა წყნეთი-ბეთანიის გზის 2.9 კმ-იან მონაკვეთს.

მოეწყო ქობულეთის ნაპირდაცვა და სანაპირო ზოლი. ღირებულება – 1,347,875 ლარი. პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქობულეთის სანაპირო ზოლის 350-მეტრიან მონაკვეთს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიმდინარეა 14 ინფრასტრუქტურული პროექტი, მთლიანი ღირებულებით – 59,7 მლნ ლარი, საიდანაც საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებულია 57,3 მლნ ლარის ღირებულების პროექტები, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან კი – 2,3 მლნ ლარის.

მიმდინარე პროექტები:

- ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ გერგეთში მისასვლელი გზისა და გერგეთის სამებასთან მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია. ღირებულება – 1,412,312 ლარი.
- ღვანკითის წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია. ღირებულება – 3,367,650 ლარი.

- ვანის ქვაბებთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება. ღირებულება – 615,230 ლარი.
- 2015 წლის 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული წყნეთი-სამადლოსა და წყნეთი-ახალდაბის გზის რეაბილიტაცია (დიზაინი და მშენებლობა). ღირებულება – 25,699,353 ლარი.
- ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ მირაშხანამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. ღირებულება – 916,326 ლარი.
- თაინეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ნადოკრა-ხევსურთსოფლის გზის რეაბილიტაცია. ღირებულება – 3,585,835 ლარი.
- ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილების შენობის მშენებლობა. ღირებულება – 1,777,792 ლარი.
- ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ეშტიაში მიმავალი გზის რეაბილიტაცია. ღირებულება – 1,545,783 ლარი.
- აბასთუმანში ასტროფიზიკური ობსერვატორიის რეაბილიტაცია. ღირებულება – 3,422,554 ლარი.
- საჩხერის მუნიციპალიტეტში სოფელი ხვანის გადასახვევიდან სოფელი ლიჩის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება – 4,388,307 ლარი.
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტში წალენჯიხა-ნაკიფუ-ლეწურწუმე-ჩხოროწუს გზის რეაბილიტაცია (ფაზა II). ღირებულება – 2,083,962 ლარი.
- ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფელ გომის პოლიციის შენობის მშენებლობა. ღირებულება – 557,079 ლარი.
- ზედაზენის მონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, ავტოსადგომისა და ეკლესიამდე მისასვლელი ბილიკის მოწყობა. ღირებულება – 2,495,028 ლარი.
- ქ. თბილისში „მზიურის პარკის“ დიზაინი და მშენებლობა. ღირებულება – 7,799,505 ლარი.

ინტერნეტიზაცია

მთის განვითარების ეროვნულმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ხეობის ინტერნეტიზაციაზე. მიმდინარე წელს დაიწყება ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი. პროექტის ფარგლებში დაიფარება: ფშავის, უკანა ფშავის, პირაქეთა ხევსურეთის, არხოტის, პირიქითა ხევსურეთის, არდოტისა და გუდამაყრის ხეობები.

2.10 დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა

2.10.1 ენერგეტიკა

იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება ხდება ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისების გზით. ამისთვის, 2018 წლის ივნისიდან 1 სექტემბრის ჩათვლით, ექსპლუატაციაში შევიდა ხეორიჰესი (დადგმული სიმძლავრე 1,37 მგვტ), ხოლო უახლოეს პერიოდში ექსპლუატაციაში შევა სკურდიდიჰესი (დადგმული სიმძლავრე 1,33 მგვტ) და კასლეთიჰესი (დადგმული სიმძლავრე 8,1 მგვტ). უახლოეს მომავალში იგეგმება კირნათი ჰესის

ექსპლუატაციაში მიღება.

ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობის მხრივ გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

- ამჟამად ლიცენზირებისა და მშენებლობის ეტაპზეა 52 ელექტროსადგურის პროექტი, რომლის სავარაუდო ჯამური დადგმული სიმძლავრე 1,562 მგვტ-ია, ხოლო სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება 2,7 მლრდ დოლარს აღწევს. გარდა ამისა, კვლევის ეტაპზეა 109 პროექტი, რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 3860 მგვტ-ია, ხოლო ჯამური სავარაუდო საინვესტიციო ღირებულება თითქმის 6 მლრდ დოლარს აჭარბებს.
- ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე იმყოფება: 19 ქარის მემორანდუმი (დადგმული სიმძლავრე – 1219 მგვტ, ინვესტიცია – 1,9 მლრდ აშშ დოლარი) და მზის 15 ობიექტი (დადგმული სიმძლავრე – 543 მგვტ, ინვესტიცია – 539 მლნ აშშ დოლარი).
- აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 5 მგვტ-იან მზის ელექტროსადგურზე გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის გარეშე.

დამატებითი რესურსები გამოიყოფა რეგიონებში მოსახლეობის გაზიფიცირების უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც 2020 წლის ბოლოსთვის გაზმომარაგებაზე წვდომა ექნება 1,3 მლნ აბონენტს. გრძელდება მთავრობის 2017 და 2018 წლების განკარგულებებით გათვალისწინებული დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების სამუშაოები. დაწყებულია გოდერძის უღელტეხილის გაზიფიცირების პროექტის შემადგენელი სატრანსპორტო მილსადენის (პირობითად, „ახალციხე-გოდერძის უღელტეხილის მილსადენი“) საპროექტო სამუშაოები, კერძოდ, ამჟამად მიმდინარეობს წინასწარ შერჩეული ტრასის გეოდეზიური აგეგმვის სამუშაოები. სულ, ქვეყნის მასშტაბით, 2018 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრის პერიოდისათვის გაზიფიცირებულია 11 ათასზე მეტი აბონენტი 53 დასახლებულ პუნქტში.

მაღალმთიან რეგიონებში უშუქო სოფლების (დაახლოებით, 400 აბონენტი) ელენერგიით მომარაგებასთან დაკავშირებით, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), რათა მათი დახმარებით მოძიებულ იქნეს 75%-იანი გრანტი, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

ენერგეტიკის სფეროში საქართველოს სატრანზიტო როლის გაზრდა:

შაჰ-დენიზის პროექტის მე-2 ფაზის ფარგლებში, ივნისში დასრულდა სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოების სამუშაოები. აღნიშნული განხორციელებული პროექტი გაზრდის საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხს, ასევე მიზნად ისახავს მილსადენის გამტარიანობის გაზრდასა და წელიწადში დამატებით 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის ტრანსპორტირებას კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ-დენიზ 2-ის საბადოდან ევროპის ქვეყნებამდე.

მნიშვნელოვანი მიღწევები ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ

გრძელდება მუშაობა საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის ფარგლებში მიმდინარე პროექტებზე:

- „ჯვარი-ხორგა“
- „ქსანი-სტეფანწმინდა“
- „ახალციხე-ბათუმი“

გაზის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის (500მმ) 45 კმ-იანი განშტოების მშენებლობის პროექტი;
- გორი-ქარელის მაგისტრალური გაზსადენის „ფცა-ჩორჩანას“ 17 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტი;
- გორი-ქარელის (ნატახტარი-ლეხურა) მაგისტრალური გაზსადენის, ქსანი-ლეხურის 14 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის პროექტი;
- „რუსთავი-თელავი-ჟინვალის“ უმოქმედო 500 მმ დიამეტრის მაგისტრალური გაზსადენის საგარეჯო-გურჯაანის მონაკვეთის ჰაერით გამოცდის მომსახურება – პროექტის ჯამური ღირებულებაა 199 863 ლარი.

ანგელა მერკელის ვიზიტის ფარგლებში, 24 აგვისტოს, სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასა“ და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის „სამგორის სამხრეთ თაღის საბადოზე მიწისქვეშა გაზსაცავის მოწყობის თაობაზე“ შეთანხმება გაფორმდა. „სესხის ხელშეკრულების პროექტის“ მიხედვით, სესხის თანხა შეადგენს 150 მლნ ევროს, რომელთაგან პირველი 15 მლნ ევრო მოხმარდება „გაზსაცავის პროექტის“ პირველი ფაზის სამუშაოების დაფინანსებას, ხოლო 135 მლნ ევრო – „გაზსაცავის პროექტის“ მე-2 ფაზის სამუშაოებს. გაზის მიწისქვეშა საცავის მშენებლობა განხორციელდება თბილისთან ახლოს, სამგორის სამხრეთ თაღის გამომუშავებულ ნავთობის საბადოზე. პროექტის ღირებულება, წინასწარი შეფასებებით, 250 მილიონ ევროს შეადგენს და მასში 250 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზის შენახვა იქნება შესაძლებელი.

ენერგეტიკის სფეროს დაახლოება ევროპულ კანონმდებლობასთან

ენერგეტიკული ბაზრის გახსნის მიზნიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 1 მაისიდან განხორციელდა – შპს „ცეხი“ 1-ის, შპს „ჯორჯიან ინკორპორაიშენისა“ და შპს „ბი ეფ დი სი ჯორჯიას“ თავისუფალ ბაზარზე დაშვება და ამით თავისუფალი ბაზრის პირველი ეტაპის რეალიზაცია. მიმდინარეობს ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონპროექტის საბოლოო ვერსიის დამუშავება.

ასევე მომზადდა:

- განახლებადი ენერგიების შესახებ საკანონმდებლო ბაზის მიმართულებით კანონპროექტი.
- განახლებადი ენერგიების ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტი.
- ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონის პირველადი პროექტი.
- საყოფაცხოვრებო მოწყობილობების ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონის პროექტი.
- ენერგოეფექტიანობის სამშენებლო სექტორში კანონის პროექტი.

ელექტროენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი გეგმა „2030“

ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ამაღლებისა და იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირების მიზნით, შემუშავდა **ელექტროენერგეტიკის განვითარების გრძელვადიანი გეგმა „2030“,** რომელიც მოიცავს შიდა გენერაციის ზრდისა და სტრუქტურირების გრძელვადიან გეგმას, რეგიონალური ჰაბის ფუნქციონალის პერსპექტიული უზრუნველყოფის გეგმას, ელექტროენერგეტიკული სისტემის გრძელვადიანი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომებს, ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტის ბალანსის გრძელვადიანი გაუმჯობესების გეგმას, ეკონომიკური ზრდის და ელენერგიის მოხმარების ზრდის კორელაციის განსაზღვრას. აღნიშნული სტრატეგიის მიღების შედეგად გამოიკვეთება: დასაგეგმი გენერაციის ობიექტების პრიორიტეტულობა, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის სხვადასხვა შესაძლებლობები და 2020-2030 წლებისთვის ქვეყნის გენერაციის მიქსის შემადგენლობის დადგენა.

2.10.2 მშენებლობა

საქართველოს პარლამენტმა 20 ივლისს მიიღო **საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი** და კოდექსიდან გამომდინარე 29 კანონი. კოდექსის უმეტესი მუხლები ამოქმედდება 2019 წლის 3 ივნისიდან. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა 7 კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტზე, რომელიც მოაწესრიგებს მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების, მშენებლობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, არქიტექტორთა და ინჟინერ-მშენებელთა სერტიფიცირებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. ასევე მიმდინარეობდა მუშაობა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს ბაზარზე სამშენებლო პროდუქტების განთავსების პირობებს, მათი ძირითადი თვისებების განსაზღვრისა და ნიშანდების წესის შემუშავების გზით.

ჩართულობით მომზადდა „შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც 21 ივნისს წარედგინა საქართველოს პარლამენტს განსახილველად.

2.10.3 მწვანე ეკონომიკა

გრძელდება მუშაობა „მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის დოკუმენტის“ პროექტზე, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების ხელშეწყობა, მდგრადი და მწვანე განვითარების საფუძვლის შექმნა. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა „მწვანე ზრდის ეროვნულ სტრატეგიაზე“, რომელიც აქცენტს გააკეთებს მხოლოდ წინასწარ შერჩეულ რამდენიმე სექტორზე, კერძოდ ტურიზმზე, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაზე. ამჟამად მომზადდა აღნიშნული სექტორების მაკროეკონომიკური ანალიზი.

ხორციელდება პროექტი – „სათბური გაზების გამოყოფის შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებით“. პროექტი ეხმარება წინასწარ შერჩეულ საწარმოებს/კომპანიებს (ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ, თბილისის სატრანსპორტო კომპანია, რუსთავის აზოტი და საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის კომპანიები: საქინვესტი, საქნახშირი

და ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა) ენერგომენეჯმენტის სისტემებისა და მოტორების სისტემების ოპტიმიზაციის საკითხსა და ინდუსტრიული ენერგოეფექტიანობისა და ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებში ინვესტირების ფინანსური მექანიზმების განვითარებაში.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა რეგულაციის 3 პროექტზე, კერძოდ: 1. „ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები შენობებისთვის“, რომელიც ადგენს შენობის ელემენტებისა და მისი ტექნიკური სისტემებისთვის მინიმალურ ენერგეტიკული მახასიათებლების მოთხოვნებს, რომლებიც სავალდებულო იქნება ყველა ახალი შენობებისა და შენობის ნაწილისათვის. 2. „შენობების ენერგოეფექტიანობის გამოთვლის ეროვნული მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს კლიმატური პირობებიდან გამომდინარე ზონებად დაყოფილი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული შენობებისთვის ენერგოეფექტიანობის გამოთვლის მეთოდოლოგიის შემუშავებას. 3. შენობების ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული ევროსტანდარტების შესაბამისი დამხმარე ეროვნული სტანდარტების შერჩევა.

ენერგოეტიკეტირების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე საყოფაცხოვრებო მოწყობილობების ენერგომარკირების შესახებ, აგრეთვე მისგან გამომდინარე ტექნიკური რეგლამენტების შემუშავებაზე, რომლებიც ეხება 12 სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო ტექნიკას. ამ ეტაპისთვის მომზადებულია 9 ტექნიკური რეგლამენტის პროექტი.

2.10.4 გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და კლიმატის ცვლილების შერბილება

გაძლიერდა მუშაობა ტყის ხანძრების რისკების შესამცირებლად. საერთაშორისო დონორებიდან დაფინანსების მოსაპოვებლად მომზადდა პროექტი „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის ეკოსისტემების მედეგობისა და ეროვნული უნარის გაზრდა ხანძრების რისკის შემცირების მიზნით“.

პარიზის კლიმატის ცვლილების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დახმარებით, მიმდინარე წლის ივნისში დაიწყო გამჭვირვალობის მექანიზმის პროგრამის შემუშავება.

კლიმატგონივრული სოფლის მეურნობის განვითარების მიზნით, მომზადდა „მერძევეობის მოდერნიზაციისა და ბაზართან წვდომის პროგრამა“.

ქვეყანაში აზოტმჟავის წარმოებიდან სათბურის გაზის (N2O) გაფრქვევის შემცირების მიზნით, დაიგეგმა აღნიშნული წარმოების კლიმატგონივრული ტექნოლოგიით აღჭურვა. კერძოდ, რუსთავის აზოტის ქარხანა აღიჭურვება კატალიზატორით, რომელიც შთანთქავს წარმოებისას წარმოქმნილ აზოტის ქვეჟანგს (N2O).

გარემოსდაცვითი ომბუდსმენი

გარემოსდაცვით ომბუდსმენთან დაკავშირებით, სხვა ქვეყნებში არსებული გამოცდილების შესწავლის შედეგად, შემუშავდა შესაბამისი მოდელი. გარემოსდაცვითი ომბუდსმენის არჩევის

წესი, უფლებამოსილებები და დაფინანსების წყარო განისაზღვრება კანონის საფუძველზე. ამჟამად გარემოსდაცვითი ომბუდსმენის შესახებ კანონი შემუშავების პროცესშია, რომელიც განსაზღვრავს ომბუდსმენის ძირითად უფლებამოსილებას.

სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და ბრენდირების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში მოხდება კოოპერატივებში საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემისა და ბრენდირების დანერგვა. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამით დაინტერესებული სამიზნე ჯგუფის რეგისტრაცია, რომელიც 2019 წლის 1 მარტამდე გაგრძელდება. საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მეფუტკრეობის მომთაბარეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“.

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია დასრულებულია. ხელშეკრულება გაუფორმდა 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს და განესაზღვრათ 4-თვიანი ვადა საწარმოს შენობა-ნაგებობების ასაშენებლად, რის შემდეგაც, მოხდება მათთვის აღჭურვილობის გადაცემა.

ფერმერთა რეესტრის შექმნა

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ განხორციელების პროცედურა, რის შემდგომაც დაიწყო პროექტის განხორციელების აქტიური ფაზა. დარეგისტრირების დინამიკის გათვალისწინებით, აგვისტოს ბოლომდე, დაახლეობით დარეგისტრირდება არანაკლებ 20,000 ფერმერი/ფერმერული მეურნეობისა.

ერთიანი აგროპროექტი

<u>შეღავათიანი აგროკრედიტი</u>
პროექტის განხორციელებით მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში გაიცა: საბრუნავი საშუალების მიზნობრიობით 135,515 აშშ დოლარის ღირებულების 1 სესხი, ხოლო ძირითადი საშუალების მიზნობრიობით 29,469,080 ლარის ღირებულების 431 სესხი.

<u>აგროდაზღვევის პროგრამა</u>
აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 2,515 პოლისი, დაზღვეულია 8,240,446 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. ამ ეტაპზე დაზღვეულია 1,236 ჰა მიწის ფართობი.

<u>პროგრამა „დანერგე მომავალი “</u>
პროგრამის ფარგლებში, დამტკიცდა ბაღების 1 განაცხადი. ბაღების კომპონენტში გაშენებული ფართობი შეადგენს 20 ჰა-ს.

<u>სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი</u>

დამტკიცებულია 1 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში – ჯამური საინვესტიციო ღირებულებით – 941,090 ლარი.

<u>აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა</u>
პირველადი წარმოების კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 52 პროექტი, ჯამური ინვესტიციით – 2,991,285 ლარი.

<u>სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა – „ახალგაზრდა მეწარმე“</u>
საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 36 ხელშეკრულება, ჯამური თანხით – 3,897,610 ლარი, საიდანაც თანადაფინანსების მოცულობაა 1,558,652 ლარი.

სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემების გაუმჯობესება

საანგარიშო პერიოდში სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციის მიზნით, დასრულდა შემდეგი პროექტები:

- „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში დილისკა-პტენა ჩუნჩხას სატუმბი სადგურის გარე ელექტრომომარაგების აღდგენის სამუშაოები“, რაც უზრუნველყოფს, სატუმბი სადგურის მეშვეობით, სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხებში წყლის მიწოდებასა და სისტემის დაქვემდებარებაში არსებული 1,384 ჰექტარი მიწის ფართობის წყალუზრუნველყოფას.
- „სოფლების ხანდაკის, სასირეთისა და მეტეხის მექანიკური აწევის სარწყავი სისტემის, სატუმბი სადგურისა და სადაწნეო მილსადენის მოწყობა“; პროექტის განხორციელების შედეგი: 1,180 ჰექტარზე წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

ამასთან, საექსპლუატაციო ღონისძიებების გატარების შედეგად გაწმენდილია დაახლოებით 307 კილომეტრის სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი; შეკეთებულია 47 კმ მილსადენი; შეკეთებულია მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა – 13 ერთეული.

დეგრადირებული ნიადაგების კვლევა და აღდგენა

მიწის დეგრადაციის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „მიწის დეგრადაციის ეროვნული ინდიკატორები და მათი განსაზღვრის მეთოდოლოგია“.

გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება

გარემოსდაცვითი განათლების, ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის მიზნით, კახეთის რეგიონის 9 მუნიციპალიტეტის 233 ბაღში გადამზადდა 246 აღმზრდელი და მეთოდისტი და დაინერგა დამხმარე სახელმძღვანელო – „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“;
- პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა მოდული – „გარემოსდაცვითი საფუძვლები“.
- საქართველოს ხუთ დაცულ ტერიტორიაზე (ლაგოდეხი, ბორჯომი, მტირალა, თუშეთი, მარტვილი) პირველი კურსის სტუდენტების მოხალისეთა პროგრამა მოეწყო. დაცული ტერიტორიების სააგენტო, სტუდენტებთან თანამშრომლობით, საფუძველს უყრის პრაქტიკული განათლების ინოვაციურ მიდგომას. პროგრამა უზრუნველყოფს

ახალგაზრდების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასა და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

ექსტენციის მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება

მობილური ექსტენცია ჩატარდა:

- სამეგრელო-ზემო სვანეთის ჯამში 26 სოფელში.
- გურიის რეგიონში ჯამში 16 სოფელში.
- იმერეთის რეგიონში ჯამში 38 სოფელში.
- შიდა ქართლის რეგიონში ჯამში 12 სოფელში.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა აგროფესტივალი.

ქარსაფარი ზოლები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტთან ერთად, მუშაობს საქართველოს კანონის პროექტზე „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების შესახებ“, რომელიც დაარეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციასთან, სტატუსის მინიჭებასთან, რეგისტრაციასთან, აღდგენა-გაშენებასთან, მართვასა და სარგებლობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა.

დღეისათვის ცალკეულ მუნიციპალიტეტებში, დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში, მიმდინარეობს და დაგეგმილია ქარსაფარი ზოლების გაშენება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაშენდა 6,5 კმ ქარსაფარი ზოლი.

სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია, მცენარეთა დაცვა

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა სამეგრელოს, გურიის, იმერეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მავნებლის გავრცელება მონიტორინგის შედეგებით დაფიქსირდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, სპეციალიზებული ტექნიკის მეშვეობით, 27 მუნიციპალიტეტის 600-მდე სოფელში ჩატარდა შეწამვლითი სამუშაოები.

ივნის-აგვისტოს პერიოდში აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტოებში, ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში გაშუქდა 900 საინფორმაციო მასალა. ცენტრალურ და რეგიონულ ტელევიზიებში განთავსდა საინფორმაციო ვიდეორგოლი. ამასთან მუდმივ რეჟიმში ხდებოდა სასწავლო ვიდეორგოლების განთავსება ინტერნეტსივრცესა და სოციალურ ქსელში.

DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოება

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის რეგულაციის საფუძველზე, დამტკიცდა „მოთხოვნები სურსათთან შეხებისთვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“.

ასევე მომზადდა და დამტკიცდა შემდეგი პროექტები:

- ბლუთანგის აღმოფხვრასა და კონტროლთან დაკავშირებული სპეციალური წესის შესახებ.
- ვაზის ვეგეტატიური გამრავლებისთვის საჭირო მასალების ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე.
- მოხმარებისათვის განკუთვნილი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციასა და შემოტანასთან დაკავშირებული ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის წესების შესახებ.
- შინაური ცხოველების არაკომერციული გადაადგილებისას ცხოველის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნების შესახებ.
- გენმოდიფიცირებული სურსათისა და ცხოველის საკვების შესახებ;
- დირექტივა, რომელიც ეხება ბოსტნეულის გასამრავლებელი და სარგავი მასალით ვაჭრობის საკითხებს, გარდა თესლისა;
- ნიმუშების აღების მეთოდებს მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში პესტიციდების ნარჩენების სახელმწიფო კონტროლის განხორციელების შესახებ.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა

2018 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება.

შემუშავდა კანონპროექტი „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც წარმოედგინება საქართველოს მთავრობას.

ბიომრავალფეროვნება

შემუშავდა კანონპროექტი „ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ“. კანონპროექტი ახლებურად აწესრიგებს სახეობების, ჰაბიტატების, ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების ეფექტიანად დაცვის, ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს ობიექტებით მდგრადი სარგებლობისა და საერთაშორისო ვაჭრობის, გენეტიკური რესურსებისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის ხელმისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანი განაწილების სფეროებში. იგი მოიცავს ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის კომპენსაციის მარეგულირებელ მუხლებსაც.

ეკოტურიზმი

2018 წლის ივლისის თვეში დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 197 377 ვიზიტორი (48% ქართველი, 52% უცხოელი), რაც 2017 წლის ანალოგიურ პერიოდთან (176 903 ვიზიტორი) შედარებით გაზრდილია 12%-ით.

სატყეო სექტორი

მომზადებულია სატყეო სფეროს მარეგულირებელი ძირითადი კანონი – ტყის კოდექსი, რომლის განხილვაც იგეგმება საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე. ახალი ტყის კოდექსი დაფუძნებულია ეროვნულ საჭიროებებსა და ტყის მდგრადი მართვის საერთაშორისო

პრინციპებზე. დაიწყო პირველი ეროვნული დონის ინვენტარიზაციის პროცესი, ასევე გრძელდება სატყეო უბნების დონეზე დეტალური ტყის ინვენტარიზაციები.

ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა

მდინარე ლეღვთახევზე განხორციელებული პროექტის ფარგლებში, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ჩაატარეს ჰიდრომეტრული სამუშაოები, განხორციელდა წყალდიდობა-წყალმოვარდნების რისკების შეფასება და მოდელების ადაპტირება მდ. ლეღვთახევის აუზისათვის, რაც ხელს შეუწყობს ადრეული გაფრთხილების სისტემების შექმნას.

ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

დამტკიცდა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“, რის საფუძველზეც, ქვეყანა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ევროპულ სტანდარტებზე გადავიდა. შედეგად, 2018 წლის 1 აგვისტოდან ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება ევროპული სტანდარტების შესაბამისად ხორციელდება. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გამონაბოლქვის ევროპული ზღვრული ნორმების დადგენის მიზნით, შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ტექნიკური რეგლამენტის „ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სხვადასხვა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებიდან გაფრქვევების (გამონაბოლქვის) ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმების საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“.

დიზელის საწვავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მომზადდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 დეკემბრის №238 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. პროექტის თანახმად, 2018 წლის 1 ოქტომბრიდან ქვეყანაში დიზელის საწვავის ხარისხის ევრო 4 სტანდარტამდე გაიზრდება, ხოლო 2020 წლიდან კი – ის ევრო 5 სტანდარტს მიაღწევს.

ნიადაგის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ნიადაგის დაბინძურების ხარისხის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ნიადაგების დაცვის ჰიგიენურ მოთხოვნებს სხვადასხვა სახის საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რამაც შესაძლებელია, გამოიწვიოს მათი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის გამოყენების შეზღუდვა და/ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე. ტექნიკური რეგლამენტი აგრეთვე განსაზღვრავს ნიადაგის ხარისხის კონტროლის წესს. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი, ბათუმისა და ფოთის საზღვაო ნავსადგურებში, დამონტაჟდა და გაიმართა 2 ერთეული ავტომატური საზღვაო მეტეოროლოგიური სადგური, ხოლო 4 ერთეული ავტომატური ჰიდროლოგიური საგუშაგო განთავსდა მდინარეებზე.

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე გადასვლა

შემუშავებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც დაფუძნებულია წყლის რესურსების სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებსა და მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში აპრობირებულ და საერთაშორისოდ აღიარებულ თანამედროვე მოთხოვნებზე. კანონპროექტი გაგზავნილია შესაბამის სამინისტროებსა და

უწყებებში განსახილველად და განთავსებულია სამინისტროს ვებგვერდზე. კანონპროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენა დაგეგმილია მიმდინარე წლის ოქტომბერში.

2018 წლის ივლისიდან დაიწყო ორი სააუზო უბნისთვის (ალაზანი-იორი და ხრამი-დებედა) სააუზო მართვის გეგმების შემუშავება, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების ხარისხი

საქართველოს მთავრობამ მოიწონა თანამშრომლობის ოქმი – „ბირთვული უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობა“, რომლიც გაფორმდა სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოსა და შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელ ორგანოს შორის. გაფორმებული თანამშრომლობის ოქმი მიზნად ისახავს რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის ობეიქტების: რადიოაქტიური ნარჩენების საცავის, რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავების ობიექტისა და რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ერთ ლოკაციაზე განთავსებისათვის შესაბამისი მოსამზადებელი ღონისძიებების განხორციელებას.

2018 წლის 24 – 30 ივნისს ანასეულში ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტომ აღმოაჩინა უპატრონო რადიოაქტიური წყაროები. შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის შედეგად, ამოღებულ იქნა აღმოჩენილი აღნიშნული რადიოაქტიური წყაროები და მოხდა მათი უსაფრთხო განთავსება რადიოაქტიური ნარჩენების საცავში.

2018 წლის ივლისში განხორციელდა სოფელ საკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე განთავსებული რადიუმის შემცველი თხევადი რადიოაქტიური ნარჩენის გადამუშავება. მოხდა თხევადი რადიოაქტიური ნარჩენის გამყარება. გადამუშავებული რადიოაქტიური ნარჩენი უსაფრთხოდ განთავსდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში.

ნარჩენების მართვა

2018 წლის 21 ივნისი – პირველი სექტემბრის მდგომარეობით, ნარჩენების მართვის კუთხით, ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა თელავისა და ლაგოდეხის ნაგავსაყრელებს. ასევე მიმდინარეობს საჩხერის, ფოთისა და თერჯოლის ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ განხორციელდა 10 000 (ათი ათასი) ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების შესყიდვა, რომელიც შემდგომ გადაეცათ მუნიციპალიტეტებს საქართველოს რეგიონების მასშტაბით (ქ. თბილისისა და აჭარის გარდა).

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მიმდინარეობს შემდეგი პროექტები:

- **ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი:** ითვალისწინებს მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვას იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში. პროექტი მოიცავს იმერეთის რეგიონში ახალი რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელის მოწყობას, ქ. ქუთაისის მოქმედი ძველი ნაგავსაყრელის დახურვას, ნარჩენების შეგროვების, ასევე ქუჩების დასუფთავების სისტემის გაფართოებასა და გაუმჯობესებას, ნარჩენების გადაზიდვის განახლებული სისტემის დანერგვასა და გადამუშავებას დაქვემდებარებული ნარჩენების აღმდგენი საწარმოს მოწყობას. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 26 მილიონ ევროს.

მოცემულ ეტაპზე, საერთაშორისო სატენდერო პროცედურების საფუძველზე, შერჩეულია სამშენებლო კომპანია და მიმდინარეობს მოლაპარაკებები კონტრაქტის გასაფორმებლად.

- **ქვემო ქართლის მყარი ნარჩენების მართვის პროექტი:** გულისხმობს მყარი ნარჩენების მართვის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო ინტეგრირებული სისტემის განვითარების ხელშეწყობას ქვემო ქართლის რეგიონში. პროექტის მიზანია ქვემო ქართლის ახალი რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელის მშენებლობა. ახალი ნაგავსაყრელი მოემსახურება ქვემო ქართლის 5 მუნიციპალიტეტს (წალკა, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული, ბოლნისი) და აღიჭურვება აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით. პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 12,4 მილიონ ევროს. მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტის ხელშეკრულებების ცვლილება და დასრულებისთანავე დაიწყება ახალი შერჩეული ტერიტორიის ტექნიკური კვლევები.
- **კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი:** მოიცავს რეგიონებში ახალი რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელების მოწყობას, ქუჩების დასუფთავებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობის გაუმჯობესებას, ნარჩენების გადამტვირთი სადგურების მოწყობას, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესებასა და რეგიონებში არსებული ნაგავსაყრელების დახურვას.
- **კომპოსტირების საპილოტე პროგრამის განხორციელება:** პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 34,8 მლნ ევროს. მოცემულ ეტაპზე, პროექტის განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს საკონსულტაციო კომპანიების შერჩევის სატენდერო პროცედურები.
- **მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტი:** მოიცავს რეგიონებში ახალი რეგიონული სანიტარიული ნაგავსაყრელების მოწყობას, ქუჩების დასუფთავებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობის გაუმჯობესებას, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემის გაუმჯობესებასა და რეგიონებში არსებული ნაგავსაყრელების დახურვას. მოცემულ ეტაპზე, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელების მიზნით, მიმდინარეობს საერთაშორისო სატენდერო პროცედურები საკონსულტაციო კომპანიების შესარჩევად.

მიმდინარე წელს შემუშავდა ტექნიკური რეგლამენტი „პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესი“. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს კონკრეტულ შეზღუდვებს/აკრძალვებს, გარკვეული სისქის პლასტიკის პარკების წარმოების/რეალიზაციის/იმპორტის მიმართ, ასევე აწესებს მოთხოვნებს ბიოდეგრადირებად და კომპოსტირებად პარკებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, რეგლამენტის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები პლასტიკის პარკების მწარმოებლები და ასევე ქსელური მარკეტების ხელმძღვანელები.

2.10.5 ტურიზმი

21 ივნისიდან პირველი სექტემბრის ჩათვლით, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების პოპულარიზაციისა და მისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა შემდეგი მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტები: ხევსურეთის ყველაზე მონახულებად ადგილებში განთავსდა საინფორმაციო დაფები და ტურისტულად საინტერესო ობიექტების მიმართულების მანიშნებლები, რომლებიც დაეხმარება ვიზიტორს ღირსშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის მიღებასა და გზის დაკვალიანებაში.

საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს, პოპულარიზაციისა და მაღალგადახდისუნარიანი ტურისტების მოზიდვის მიზნით, ხორციელდება პროექტი „ღვინის გზა“. პროექტის ფარგლებში ხდება ღვინის ტურიზმში ჩართული ობიექტების იდენტიფიცირება და მათთვის საგზაო მიმართულების მანიშნებლების მონტაჟი.

21 ივნისიდან – პირველ სექტემბრამდე 41 მარანთან დამონტაჟდა საგზაო მანიშნებელი, რაც ეხმარება ტურისტს მარნის მიკვლევაში. პროექტის ფარგლებში, ასევე მუდმივად ახლდება ღვინის ტურისტული რუკა.
ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა რიგი მარკეტინგული აქტივობები: ინტერნეტკამპანიები, მიზნობრივ ბაზრებზე მარკეტინგული ღონისძიებები/პრეზენტაციები, სატელევიზიო კამპანიები.

შიდა ტურიზმის სტიმულირებისთვის, პროექტ „გაიცანი საქართველოს“ ფარგლებში, მოეწყო სამი პრესტური, რომლების ფარგლებშიც პრესის წარმომადგენლებმა მოინახულეს სამეგრელო, სვანეთი და ხევსურეთი.

პროექტის – Check in Georgia ფარგლებში ჩატარდა 50-ზე მეტი კონცერტი სხვადასხვა რეგიონში, რომელსაც დაესწრნენ როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ტურისტები.

საქართველოში მულტიფუნქციური საკონგრესო და საგამოფენო ცენტრის შექმნის თვალსაზრისით, მომზადდა მიმოხილვის დოკუმენტი ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის ტენდენციებისა და განვითარების მიმართულებების შესახებ, რომელიც საქართველოს საქმიანი ტურიზმის სტრატეგიასთან ერთად, შემდგომი განხილვისათვის და პოტენციურ ინვესტორებთან გავრცელების მიზნით გადაეცა შესაბამის უწყებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს, როგორც ოთხი სეზონის ტურისტული ადგილის, პოპულარიზაციის მიზნით, ადმინისტრაციის ორგანიზებით სულ გაიმართა 29 პრესტური, რომლის ფარგლებში ქვეყანას 199 ჟურნალისტი ეწვია.

2.11 რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა „2018-2021 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა“. პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, განსაზღვრავს ქვეყნის რეგიონული და ტერიტორიული განვითარების ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, სამოქმედო პრიორიტეტებსა და განვითარების შესაბამის ღონისძიებებს.

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. საერთო მიზანი მიიღწევა პროგრამის სამი სპეციფიკური მიზნის მიღწევით:

1. სწრაფი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, დინამიკურ საერთაშორისო კონტექსტში საქართველოს შედარებითი უპირატესობების სისტემური გამოყენების,

მმართველობის სხვადასხვა დონეზე შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების პოტენციალის გამოყენებისა და განვითარების ხელისშემშლელი ბარიერების აღმოფხვრის გზით.

2. ინფრასტრუქტურის, ენერგო და საკომუნიკაციო ქსელებისა და კომუნალური მომსახურების მდგრადი განვითარება, რეაბილიტაცია და გაფართოება უსაფრთხო გზებით.

3. სოციალური და ტერიტორიული უთანაბრობების დაძლევის ხელშეწყობა – თანაბარი შესაძლებლობების შექმნა ყველა მოქალაქისათვის, განურჩევლად მათი სოციალური კუთვნილებისა და საცხოვრებელი ადგილისა.

2.12 ბუნებრივი რესურსების მართვა

რესურსებით სარგებლობის სრულყოფილი სამართლებრივი ჩარჩოს ფორმირების მიმართულებით აღსანიშნავია პროგრესი შემდეგი რეფორმების მიმართულებით:

- **წიაღის სექტორის პოლიტიკის შემუშავება:** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით დაიწყო წიაღის სექტორის ფართომასშტაბიანი რეფორმის განხორციელება.
- **სასარგებლო წიაღისეულის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა – მონაცემების გაციფრულება:** აქტიურად მიმდინარეობს არსებული საინფორმაციო ბაზის დაზუსტება და გაფართოება, რაც, თავის მხრივ, შექმნის დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას და გაზრდის წიაღისეული რესურსების პოტენციურ მოსარგებლეთა დაინტერესებას. საქართველოს რეგიონების მასშტაბით მომზადდა მყარი და თხევადი სასარგებლო წიაღისეულის საბადოების რუკა, რომელიც გამოქვეყნდა პროაქტიულად და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.
- **საბადოების დამუშავების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვა:** საბადოთა დამუშავების ახალი მოთხოვნების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტის პროექტი დამუშავების პროცესშია.
- **მარაგების კომისიის რეფორმა:** სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის რეფორმის ფარგლებში განხორციელდა კომისიისათვის დამატებითი ფუნქციის დაკისრება, როგორიც არის რესურსების ანგარიშის განხილვა.
- **სასარგებლო წიაღისეულის მარაგების გამოთვლის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა:** კანონმდებლობის დონეზე განისაზღვრა ლიცენზიის მფლობელის მიერ, მადნეულ საბადოებზე მარაგების დამტკიცების მიზნით, ანგარიშის წარდგენისას Joint Ore Reserves Committee (JORC) კოდექსით ან სხვა აღიარებული საერთაშორისო სტანდარტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის ვალდებულება.
- **სასარგებლო წიაღისეულის შესწავლის სტიმულირება:** მიმდინარე რეფორმის ფარგლებში გადაიხედა შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის საწყისი სააუქციონო ფასი და შემცირდა ჰექტარზე 50 ლარამდე (ცვლილებამდე ფასი შეადგენდა 500 ლარს).

3. მცირე მთავრობა

სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები

მცირე მთავრობის კონცეფციის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მთავრობის სტრუქტურული და ფუნქციური ცვლილებები. საქართველოს მთავრობის განახლებული სტრუქტურის თანახმად, 14-იდან 11-მდე შემცირდა მთავრობის სამინისტროების/სახელმწიფო მინისტრის აპარატის რაოდენობა. დასრულდა უწყებების გაერთიანების პროცედურები და სფეროების უფრო ეფექტიანი მართვის მოდელის შექმნის მიზნით ამჟამად მიმდინარეობს შიდაუწყებრივი შერწყმის პროცესი.

დამატებით, მიმდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფუნქციების ანალიზი. კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან კონსულტაციების საფუძველზე, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა საჯარო სამართლის იურიდიული პირების კატეგორიზაციის წინადადებები, რომლის საფუძველზეც მომზადდება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი და შემუშავდება კონკრეტული საჯარო სამართლის იურიდიული პირების გაერთიანება-ოპტიმიზაციასთან დაკავშირებული კონცეფცია.

საქართველოს მთავრობა მუშაობს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ზრდაზე ფისკალური დეცენტრალიზაციის გზით. შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა და დეცენტრალიზაციის სამთავრობო კომისია, რომელმაც უნდა მოამზადოს და საქართველოს მთავრობას წარმოუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის საშუალოვადიანი (8 წლიანი) სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის (2-წლიანი) შემუშავება. სტრატეგიის შექმნის ძირითადი მიზანია, სუბსიდირების პრინციპის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების გაზრდა, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებსა და რესურსებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, თვითმმართველ ერთეულთა ფინანსურ-მატერიალური გაძლიერება და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებისა და საექსპერტო წრეების ჩართულობით შედგა თემატური 3 სამუშაო ჯგუფი შემდეგი მიმართულებებით: უფლებამოსილებათა გაზრდის მიმართულებით; ფინანსური დეცენტრალიზაციის მიმართულებითა და ჩართულობისა და გამჭვირვალობის მიმართულებით. სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე.

საჯარო მმართველობის რეფორმა

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში გრძელდება მუშაობა პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის კომპონენტზე. საანგარიშო პერიოდში დასრულდა მუშაობა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების განახლებულ სტანდარტსა და სახელმძღვანელოზე, რომელიც დამყარებული არის შედეგებზე ორიენტირებულ მართვაზე და აძლიერებს ცენტრალურ კოორდინაციას სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას შორის.

სამთავრობო უწყებების საქმიანობის კოორდინაციისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაწყებულია მუშაობა სამთავრობო ზედამხედველობისა და მონიტორინგის მექანიზმის

შესამუშავებლად. აღნიშნული მექანიზმი დაინერგება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ფარგლებში და უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაციას, სამთავრობო პოლიტიკის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული უწყებების, ასევე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცალკეული გადაწყვეტილების აღსრულების ზედამხედველობას.

ამასთან, დასრულდა პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების ერთიანი ელექტრონული სისტემის კონცეფციაზე მუშაობა. ელექტრონული სისტემის მიზანია პოლიტიკისა და რეფორმების ეფექტიანი და კოორდინირებული დაგეგმვა, სახელმწიფო უწყებებში დუბლირებების გამორიცხვა, პროცესების დაჩქარება და შედეგებზე ორიენტირებული მოქნილი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

კორუფციის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების მონიტორინგი და შეფასება უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების პროცესის შესრულებისა და შედეგების ეფექტიანობის გასაზომად. ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების არსებობასა და შემუშავების პროცესზე, არამედ მათი შესრულების ხარისხსა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით მიღწეულ შედეგებზე.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ პასუხისმგებელი უწყებების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობითა და სამოქალაქო და საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობით, 2017-2018 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის 2017 წელსა და 2018 წლის პირველ ნახევარში გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესი დაასრულა.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) მიერ საქართველოს შეფასების მეოთხე რაუნდი. მეოთხე რაუნდის ფარგლებში საქართველო ფასდება შემდეგი თემატიკის მიხედვით: ანტიკორუფციული პოლიტიკა და ინსტიტუტები, ანტიკორუფციული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა და მათი პრაქტიკაში იმპლემენტაცია, კორუფციული დანაშაულის წინასასამართლო გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლოს გადაწყვეტილება, საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა, საჯარო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების, ბიზნესის, მართლმსაჯულების, პროკურატურისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების კეთილსინდისიერება და სხვა.

რეკომენდაციების შესრულების თაობაზე პროგრესის შესახებ ანგარიში საქართველომ OECD-ACN-ის სამდივნოს 2018 წლის ივნისში მიაწოდა, რომლის განხილვაც მოხდა პლენარულ სხდომაზე ივლისში. ამ დროისათვის გაცემული 22 რეკომენდაციიდან 18 რეკომენდაციაზე პროგრესი დაფიქსირდა.

ელექტრონული მმართველობა და სახელმწიფო სერვისები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2018 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევის მიხედვით, საქართველო ელმმართველობის განვითარების ინდექსით როგორც რეგიონის, ისე ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს და უახლესი, 2018 წლის კვლევის მიხედვით, მე-60 ადგილზეა მსოფლიოს ქვეყნებს შორის (გაუმჯობესებულია წინა კვლევასთან შედარებით).

იგეგმება ერთიანი, ცენტრალიზებული მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამორიცხავს დუბლირებებსა და გადაფარვებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობამ საანგარიშო პერიოდში შეიმუშავა სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის საჯარო მმართველობის პრინციპებს. სტრატეგიის მიზანია ჩამოაყალიბოს ერთიანი სტანდარტი სახელმწიფო სერვისების მიწოდების პროცესში, შექმნას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სერვისების დიზაინი გახდეს უფრო მეტად მომხმარებელზე ორიენტირებული. ასევე შემუშავდა სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც დეტალურად აღწერს მთავრობისა და სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელი უწყებების მიერ განსახორციელებელ აქტივობებს.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტის შესაბამისად, სტრატეგიაში მნიშვნელოვანი აქცენტი გაკეთდა ელექტრონული ფორმით სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით. იგეგმება ამ მიმართულებით სერვისების მიწოდების უფრო მეტად გამარტივება და ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) განახლებულ ვერსიაზე, რომელიც სექტემბრის დასაწყისში იქნება ხელმისაწვდომი და განკუთვნილია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. „ბიზნესსახლის“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება ახალი ელექტრონული სერვისების ინტეგრაცია ამავე პორტალზე (My.gov.ge). 2018 წლის სექტემბერში პორტალზე ხელმისაწვდომი იქნება 100-მდე ელექტრონული სერვისი.

ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო სერვისების განვითარების ხელშეწყობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, გრძელდება საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა.

საანგარიშო პერიოდში მშენებლობა დასრულდა და ფუნქციონირება დაიწყო აწყურისა და სანიორეს საზოგადოებრივმა ცენტრებმა. არსებული 54 საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით გაიცა 60 755 სერვისი, საზოგადოებრივ ცენტრებში ორგანიზებული შეხვედრების რაოდენობამ კი შეადგინა 153, სადაც მონაწილეობა მიიღო 2220-მდე ადამიანმა. მიმდინარე წელს დამატებით გაიხსნება 10 საზოგადოებრივი ცენტრი, რომელთა მშენებლობაც ამჟამად ინტენსიურად მიმდინარეობს.

გრძელდება აქტიური მუშაობა იუსტიციის სახლების მშენებლობის კუთხით. 2018 წელს იუსტიციის სახლი გაიხსნება შემდეგ ქალაქებში: ახალქალაქი, მარტვილი, სენაკი; 2019 წელს კი – ხონში, ბოლნისსა და გარდაბანში.

ელექტრონული სერვისების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა 2018 წლის 28 ივნისის №343 დადგენილება „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“.
- დაინერგა პირადობის ელექტრონული მოწმობის დაკარგული PIN და PUK კოდების აღდგენის სერვისი, რომლითაც უკვე ისარგებლა 1500-ზე მეტმა პირმა. მომხმარებელთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.
- დაიწყო კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატების გაცემა მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც კანონის ძალით გათანაბრებულია ე.წ. სველ ბეჭედთან, შედეგად, გაიცა 2427 კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სერტიფიკატი.
- ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემა დანერგილია სატესტო რეჟიმში და მიმდინარეობს მუშაობა რეალურ რეჟიმში დასანერგად.
- დასრულდა ტენდერი მობილური იდენტიფიკაციისა და ხელმოწერის სისტემის შესასყიდად და მიმდინარეობს სატენდერო შემოთავაზებების განხილვა.

ღია მმართველობა

2018 წლის 17-19 ივლისს ქ. თბილისში „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) მე-5 გლობალური სამიტი გაიმართა. ღონისძიებას, რომელსაც 115-მდე ქვეყნიდან 2500-მდე მონაწილე დაესწრო, საქართველომ „OGP“-ის თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსით უმასპინძლა. ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გახსნა. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენი ქვეყანა მაღალი რანგის საერთაშორისო პარტნიორობას ხელმძღვანელობს, რომელიც მსოფლიოს 76 სახელმწიფოს აერთიანებს.

2018 წლის 13 ივლისს ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული ფორუმის მიერ მოწონებულ იქნა საქართველოს „ღია მმართველობა – საქართველოს“ მეოთხე (2018-2019 წ.წ.) ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელზეც საქართველოს მთავრობა, არასამთავრობო სექტორთან ერთად, რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა.

საჯარო რესურსების უკეთ მართვა, მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის განმტკიცება, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების უკეთ გამოყენება ღია მმართველობისთვის – ეს ის საკითხებია, რომელთაც 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს. ამ კუთხით სამოქმედო გეგმაში აისახა ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა: სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ერთიანი ავთენტიფიკაციის სისტემის დანერგვით; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად ელექტრონული პორტალის ამოქმედება; საკანონმდებლო აქტების შემუშავება მოქალაქეთა ჩართულობითა და მონაცემთა ანალიზის საფუძველზე; სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა; საჯარო ფინანსების ზედამხედველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა; საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება; სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობის მქონე საწარმოების ღიაობა და ანგარიშვალდებულება; მუნიციპალიტეტების ვალდებულებები და სხვა.

შემუშავდა „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დასამტკიცებლად საჭირო დოკუმენტები და საქართველოს მთავრობას მიმდინარე წლის

სექტემბერში წარმოედგინება. „OGP“-ის რეგულაციების თანახმად, დამტკიცებული სამოქმედო გეგმა „OGP“-ის სამდივნოში სექტემბრის ბოლომდე უნდა გაიგზავნოს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის რეპუტაციას როგორც ელექტრონული და ღია მმართველობის სფეროში რეგიონისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა.

4. განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

4.1 განათლება, მეცნიერება და ახალგაზრდობა

4.1.1 ადრეული და სკოლამდელი განათლება

ადრეული და სკოლამდელი განათლების რეფორმის ფარგლებში, 2018 წლის 29 ივნისს დამტკიცდა აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული. 2018 წლის ბოლომდე გადამზადდება 602 მეთოდისტი.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროფესიული განვითარების 4-კრედიტიანი სატრენინგო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი. ზემოხსენებული პროგრამა ჩაუტარდა სკოლამდელი აღზრდისა და განვითარების შესაბამისი დაწესებულებების 70-მდე წარმომადგენელს.

4.1.2 ზოგადი განათლება

ინკლუზიური განათლების ხარისხისა და მასშტაბების გაძლიერების, ასევე სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცვლილებები შევიდა ზოგადი განათლებისა და პროფესიული განათლების კანონებში, რომლის თანახმად შეიცვალა სპეციალური მასწავლებლის სტატუსი და იგი გაუთანაბრდა საგნის მასწავლებელს, გაფართოვდა სპეციალიზებული სკოლების (სკოლა-პანსიონები) ფუნქციები (გარდაიქმნა რესურსსკოლებად). „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების საფუძველზე, დაწყებულია რესურსსკოლების განვითარების პროცესი.

ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების პროცესის ორგანიზაციული საკითხების დარეგულირების მიზნით, 2018 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები“, აგრეთვე „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიცირების მექანიზმი“.

სკოლებში უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს შექმნის მიზნით, ასევე მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მოწესრიგდა არსებული კანონმდებლობა.

ცვლილებები შევიდა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, გაიზარდა სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფლება-მოვალეობები და ამოცანები.

2018 წლის ივლისიდან მანდატურის სამსახურში შეიქმნა კრიზისული ინტერვენციის ჯგუფი, რომლის მიზანია დაუყოვნებელი და მოკლევადიანი ფსიქოსოციალური დახმარება, ჯგუფი შექმნილია საქართველოს ორ დიდ ქალაქში – თბილისსა და ქუთაისში.

სააზროვნო, შემოქმედებითი, ტექნოლოგიური და შრომითი უნარების განვითარების, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ პროგრამის ფარგლებში, განხორციელდა საზაფხულო სკოლები სხვადასხვა მიმართულებით, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1900-მდე მოსწავლემ, მათ შორის, სოფლის მცირეკონტიგენტიანი და მაღალმთიანი სკოლების, ასევე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებმა, იძულებით გადაადგილებული ოჯახების მოსწავლეებმა და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელმა მოსწავლეებმა.

არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, 2017-2018 სასწავლო წელს მივლენილია მასწავლებელთა სამი ჯგუფი (117 კონსულტანტ-მასწავლებელი, 111 დამხმარე მასწავლებელი და 50 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი). ამ ეტაპზე მიმდინარეობს შერჩევის პროცესი აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველი პირებისათვის, რომლებიც 2018-2019 სასწავლო წლისათვის შეუდგებიან საქმიანობას.

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების განვითარებისა და დანერგვის ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს, 21-ე საუკუნის უნარების კონცეფციაზე დაყრდნობით, სატრენინგო პროგრამების შემუშავება. მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კონფერენციის დაგეგმვაზე.

დასრულდა მუშაობა დისტანციური სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის, პროგრამის შემუშავებაზე და ჩატარდა შესაბამისი ტრენინგები.

„საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო მოსწავლეების მიერ სხვადასხვა საგნობრივ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოპოვებულ იქნა 1 ოქროს, 4 ვერცხლის, 11 ბრინჯაოს მედალი და 4 საპატიო სიგელი.

მოსწავლეების ხარისხიანი სახელმძღვანელოებითა და საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით, გრიფირების პროცესში, დასრულდა განახლებული კრიტერიუმებით (შინაარსობრივი, ტექნიკური) რეცენზირებული I-VI კლასების სასკოლო

სახელმძღვანელოებისათვის/სერიებისათვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ეტაპი. ამჟამად მიმდინარეობს გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების/სერიების ბეჭდვა, რათა 2018-2019 სასწავლო წლისათვის განხორციელდეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების განახლებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა.

სასკოლო საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ახალი სკოლების მშენებლობის მიმართულებით, დასრულდა 4 სკოლის მშენებლობა და 12 სკოლისა და საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს არქივის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარეობს და ახალი სასწავლო წლისთვის დასრულდება 25 სკოლის მშენებლობა, 2 სკოლის სრული რეაბილიტაცია, 8 სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 12 სკოლის MCC-ამერიკული პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია.

პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერის“ ფარგლებში, პირველკლასელებისა და მათი დამრიგებლებისთვის დასრულდა ჯამში 51 545 პორტაბელური კომპიუტერის (ბუკი) დარიგების პროცესი.

საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის ინიციატივის ფარგლებში, 2018-2019 სასწავლო წლისათვის შერჩეული აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენელი 30-იდან შერჩეულმა 16-17 ასაკის 27 სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ევროკავშირი-საქართველოს ერთობლივ აღმოსავლეთ პარტნიორობის საერთაშორისო ევროპულ ბანაკში. დაიწყო მუშაობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან, ევროპული სკოლისთვის მიწის გადაცემასთან დაკავშირებით. ევროკომისიასთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის მე-2 ფაზის განხორციელებაზე.

4.1.3 პროფესიული განათლება

გრძელდება პროფესიული განათლების სისტემაში დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომის დანერგვა: დუალური მიდგომით ხორციელდება 18 საგანმანათლებლო პროგრამა 9 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. 2018 წლის საშემოდგომო მიღებიდან დაგეგმილია დამატებით 7 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დუალური მიდგომით, რისთვისაც მიმდინარე წლის ივნის-აგვისტოს პერიოდში განხორციელდა ავტორიზაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით, პედაგოგიური კურსის შემადგენელ მოდულებში ტრენინგი გაიარა 265-მა, ხოლო ტრენინგი მოდულურ სწავლებაში – 69 პროფესიულმა მასწავლებელმა.

პროფესიული განათლების იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობესების მიმართულებით, შემუშავებულ იქნა პროფესიული განათლების პოპულარიზაციის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია.

მიმდინარეობს მოლაპარაკება ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ახალი საბიუჯეტო დახმარების პროგრამის დაწყებასთან დაკავშირებით. ახალ ხელშეკრულებაზე ხელმოწერა დაგეგმილია უახლოეს მომავალში.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკთან (KfW), ახალი სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში, „ექსელენს ცენტრების“ განვითარების შესახებ.

საქართველოს მთავრობისა და ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლობის შედეგად, კარგი მმართველობის ფონდის (Good Governance Fund) დაფინანსებით, აგვისტოს თვეში დამტკიცდა ახალი პროექტები, რომელთა მიზანია პროფესიული განათლების სისტემაში საჯარო-კერძო პარტნიორობის გაუმჯობესება (management outsource), ასევე ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება პროფესიულ კოლეჯებში და მეხუთე საფეხურის „მოკლე ციკლის“ პროგრამების დანერგვაში ტექნიკური დახმარება.

4.1.4 უმაღლესი განათლება

განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ამოქმედდა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG – 2015) თავსებადი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და პროგრამების შეფასებაში, ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ როგორც საერთაშორისო ექსპერტები, ასევე დამსაქმებლები და სტუდენტები.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპის ერთიან უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, გაკეთდა განაცხადი ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) წევრობაზე. ოქტომბერში საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს შეაფასებენ სააგენტოს ექსპერტები. ასოციაციის წევრობა ხელს შეუწყობს საქართველოში მიღებული განათლების მიმართ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ნდობის ამაღლებას, სტუდენტთა საერთაშორისო მობილობასა და განათლების აღიარების პროცესის გამარტივებას.

სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მიმდინარეობს თანამშრომლობა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME). ფედერაციის მიერ ივნისში შეფასდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა, რომლის საბოლოო შედეგები ცნობილი გახდება ოქტომბრის ბოლომდე. ფედერაციიდან მიღებული შეფასების წინასწარი ანგარიშის საფუძველზე,

ავტორიზაციის/აკრედიტაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის მოთხოვნებთან.

უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელების შემუშავებისა და დანერგვის კუთხით, მსოფლიო ბანკის ჩართულობით, მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალ მოდელზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება და მორგებული იქნება როგორც ქვეყნის, აგრეთვე უნივერსიტეტისა და სტუდენტის საჭიროებებზე, რაც მისცემს მათ საშუალებას, დააფინანსონ სამეცნიერო კვლევები და გადაჭრან ინფრასტრუქტურული პრობლემები. ამ მხრივ, 2018 წელი არის გარდამავალი წელი, ხოლო 2019 წლიდან, მსოფლიო ბანკის ექსპერტების დასკვნის საფუძველზე, დაიწყება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი სისტემის იმპლემენტაცია.

შემუშავდა, აკრედიტაცია მიიღო და გამოცხადდა მიღება მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამებზე 8 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. უნივერსიტეტის მოთხოვნის შესაბამისად, ამ პროგრამების ნაწილი შევიდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაკალავრო პროგრამების ნუსხაში.

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 2018-2019 სასწავლო წლისათვის მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა განისაზღვრა 1,498,500 ლარის ოდენობით.

გამოცხადდა 2018 წლის Erasmus+ პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგები. დაფინანსდა ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/ex-Tempus) ხუთი (5) ახალი პროექტი; Jean Monnet ერთი ახალი პროექტი. 21 სტუდენტმა მიიღო ერთობლივ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის სტიპენდია, ხოლო ორი ქართული უნივერსიტეტი გახდა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების ასოცირებული პარტნიორი.

Erasmus+ პროექტში საქართველოს წარმატებული მონაწილეობის შედეგად, ევროკავშირის მიერ 2019–2020 წლებისთვის ე.წ. სპეციალური დაფინანსების ფანჯრის ფარგლებში გამოყოფილი 6 მლნ ევროს ოდენობის დამატებითი ფინანსური რესურსი გათვალისწინებული იქნება 2018 წლის სექტემბერში გამოცხადებულ კონკურსებში.

საქართველოს Erasmus+-ის პროგრამულ ქვეყნად გახდომის მიზნით, ევროკავშირის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტის ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს განათლების სისტემის მოსამზადებლად 1 მლნ ევროს ოდენობის ტექნიკური დახმარების პროექტზე.

4.1.5 მეცნიერება

ქვეყანაში მეცნიერებისა და ინოვაციების პოპულარიზაციის მიზნით, უკვე ტრადიციად იქცა შემოდგომაზე მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალის გამართვა, რომელიც

მიმდინარეობს 2018 წლის 22 სექტემბერ – პირველი ოქტომბრის პერიოდში, ფესტივალის ჩატარების მოსამზადებელი სამუშაოები: განაცხადი შემოსულია 40 ორგანიზაციიდან და დაგეგმილია 200-მდე ღონისძიების ჩატარება. მზადდება ფესტივალის პროგრამა და შემდგომი აქტივობების დეტალები.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე საქართველოს, როგორც საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსის კონტექსტში, უცხოურ გამომცემლობებში გამოსაცემად მზადდება და იბეჭდება უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, ცალკეული მეცნიერებისა და მეცნიერთა ჯგუფების მიერ წარმოდგენილი ლიტერატურა, ასევე საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა.

ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნების, საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით და ქვეყნის ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი აგრძელებს ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსების ადმინისტრირებას.

„საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის“ სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგად დაფინანსდა 6 პროექტი.

საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, ასევე საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა და ქართველოლოგიის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერების მიზნით, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის ფარგლებში, 2018 წლის ივლისის თვეში გამოვლინდა სამი გამარჯვებული ახალგაზრდა მეცნიერი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ფონდის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია.

7 ევროპულ უნივერსიტეტთან (Eötvös Loránd University, University of Bremen, Friedrich-Schiller-Universität Jena, Leiden University, Vilnius University, University of Tartu, Ca' Foscari University of Venice) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, გაგრძელდა მუშაობა ფონდისა და ევროპული უნივერსიტეტების საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსზე. ხელი მოეწერა შესაბამის ხელშეკრულებებსა და შემუშავდა ერთობლივი კვლევითი პროგრამის დებულება. შესაბამისი კონკურსის გამოცხადება იგეგმება მიმდინარე წლის შემოდგომაზე.

2018 წლის 16 ივლისს ხელი მოეწერა იტალიის კვლევების ეროვნულ საბჭოსა და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის მეცნიერების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ განახლებულ შეთანხმებას. ახალი შეთანხმების მიზანია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავება კვლევისა და ინოვაციების სფეროში. ყოველწლიურად

მხარეების მიერ შეირჩევა 10 ერთობლივი კვლევითი პროექტი, ორივე მხარის მეცნიერების ჩართულობით. ერთობლივი კვლევითი პროექტის საშუალო ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 წლით.

ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის ჩარჩოპროგრამა ჰორიზონტი 2020-ში გამოცხადებულ კონკურსებში საქართველოს მონაწილეობით შეტანილი 24 საპროექტო წინადადებიდან დაფინანსება მოიპოვა 1 პროექტმა, ჯამური ბიუჯეტით – 26, 250.00 ევროს ოდენობით.

4.1.6 ახალგაზრდული პოლიტიკა და ინოვაციები

ახალგაზრდული პოლიტიკა

ახალგაზრდობის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით და ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერის მიმართულებით, გრძელდება პროგრამის – „საქართველოს მოხალისე“ განხორციელება. ივნისის თვიდან განხორციელდა პროგრამის საკოორდინაციო 10 არასამთავრობო ორგანიზაციისა და მოხალისეების შერჩევა. სულ შეირჩა საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან და ქ. თბილისიდან 148 მოხალისე (2 მოხალისე თითო მუნიციპალიტეტიდან).

დაგეგმილია კვლევის ჩატარება „ნარკოტიკების მოხმარებისა და სხვა პრობლემური ქცევების რისკ და დამცავი ფაქტორების შესახებ საქართველოს მოზარდებსა და ახალგაზრდებში“. ამ ეტაპზე (აგვისტოს თვეში) მიმდინარეობს კვლევის მოსამზადებელი ტექნიკური საკითხების ფორმირება ტენდერის უზრუნველყოფის მიზნით. კვლევის დასრულების ეტაპად განსაზღვრულია 2019 წლის თებერვალი.

მიმდინარეობს „Erasmus+“-ის პროგრამით დაფინანსებული პროექტის „საქართველოში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალურ დონეზე“ (150 000 ევრო) განხორციელება.

EU4Youth programmes-ის ფარგლებში ხორციელდება 1,5 მლნ ევროს ბიუჯეტის მქონე „სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის პროექტი“.

ინოვაციები

საერთაშორისო ვენჩურულ და ენჯელ ინვესტორების მიერ შერჩეულ იქნა 17 მაღალტექნოლოგიური და გლობალური პოტენციალის მქონე სტარტაპი, რომლებიც 100 000 ლარამდე დააფინანსა სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ (მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 1,631,896.12).

- რეგიონებში ინოვაციების ინფრასტრუქტურის მიმართულებით გარემონტდა თელავის ტექნოპარკი, ახმეტისა და რუხის ინოვაციების ცენტრები. ამჟამად მიმდინარეობს ავეჯისა და აპარატურის შეტანა და სამივე ცენტრი გაიხსნება სექტემბერში.
- მომზადდა პროექტი უნივერსიტეტებში პრე-აქსელერატორების გასაკეთებლად და სექტემბერში შეირჩევა ის 10 უნივერსიტეტი, სადაც პირველ ეტაპზე მოეწყობა პრე-

აქსელერატორის პროგრამა სტუდენტებში ინოვაციური იდეების წახალისებასა და მხარდაჭერისათვის.

- 23 ივლისს ქალაქ ბრიუსელში სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ევროპის ბიზნეს ენჯელთა ქსელის (European Business Angels Network – EBAN) სრულფასოვანი წევრი გახდა.

4.2 კულტურა და სპორტი

4.2.1 კულტურა

გრძელდება მუშაობა კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსზე, მომზადდა „მუზეუმების შესახებ“, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილებების პროექტები.

გაფორმდა ხელშეკრულებები 39 ძეგლის რესტავრაცია-რეაბილიტაციის, კონსერვაციისა და არქეოლოგიური შესწავლისთვის და ამავე მიზნით 7 ძეგლზე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი.

72 ობიექტს მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია – 11 ძეგლს.

გრძელდება ქართული წარმომავლობის მემკვიდრეობის არქეოლოგიური კვლევა და შემდგომი კონსერვაციის მრავალწლიანი პროექტი კვიპროსში.

გრძელდება მუშაობა ახალი ნომინაციების კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შესატანად, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარული ნუსხის განახლებაზე.

ევროკავშირის ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე, **გაგრძელდა მუშაობა კულტურის მართვის ეფექტიანი მოდელის შემუშავების მიმართულებით**. ასევე, გაგრძელდა მუშაობა კულტურის სფეროში საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოპტიმიზაციის მიზნით. დაიწყო კულტურის ობიექტების აღრიცხვა-პასპორტიზაცია ქვეყნის მასშტაბით.

2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის – „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირებული შემოქმედებითი აქტივობების (კონცერტი, გამოფენა, დადგმა) ხელშეწყობა“ – ფარგლებში განხორციელდა 2 პროექტი:

- ჩატარდა შშმ ბავშვების მონაწილეობით მუსიკალური ფესტივალი.
- გაიმართა გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო შშმ მოზარდების ნამუშევრები შექმნილი პროექტის – „ინკლუზიური განათლება საქართველოს მუზეუმებში“ – ფარგლებში. პროექტში ჩართული იყო 24 მუზეუმი.

სამინისტროს მხარდაჭერით, ჩატარდა კონკურსი „საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა ტრადიციული სახალხო დღესასწაულებისა და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 5 ღონისძიება (გამოფენები, კონცერტები) ხოლო, 6 არის მიმდინარე.

კულტურული დიპლომატიის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, 2018 წელს ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, საქართველომ, საპატიო სტუმარი ქვეყნის სტატუსით, მ.წ. 24 – 26 აგვისტოს ფრანკფურტის მდინარის ფესტივალზე ევროპელ ტურისტებს უმასპინძლა.

მიმდინარეობს 2018 წლის ოქტომბრისთვის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ფარგლებში ჩასატარებელი ღონისძიებების მომზადება.

საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიზნით, ხელი მოეწერა 4 დოკუმენტს:

– „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტროს შორის პროექტის – „იტალია-საქართველოს-გაცვლითი პროგრამა ხელოვანებისათვის. რეზიდენციები ახალგაზრდა იტალიელი და ქართველი ხელოვანებისათვის“ თაობაზე“ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

– „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უკრაინის კულტურის სამინისტროს შორის 2019-2023 წლებისათვის თანამშრომლობის“ პროგრამა.

– „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კორეის რესპუბლიკის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს შორის სპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

– „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კვიპროსის რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინიტროს შორის კულტურის სფეროში 2018-2022 წლებისთვის თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი.

მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები 34 ქვეყანასთან თანამშრომლობის შესახებ გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე კულტურისა და სპორტის სფეროში.

მიმდინარეობს საქართველოს ჩართვის პროცესი ევროპის საბჭოს შემდეგ კულტურულ მარშრუტებში: „ტოტალიტარული რეჟიმების არქიტექტურა მე-20 საუკუნის ევროპის ურბანულ მეხსიერებაში“ (ATRIUM), „კერამიკის ევროპული მარშრუტი“ (European Route of Ceramics), „არტ ნუვოს ქსელი“ (The Reseau Art Nouveau Network).

EPA-ის წევრი ქვეყნების ხელშეწყობისა და ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამის ეროვნულ დონეზე განხორციელების მიზნით, დაიწყო საქართველოში კულტურული მარშრუტების რუკის შემუშავების“ (Cultural Routes National Country Mapping) პროცესი.

შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება

გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება ბრიტანეთის საბჭოსთან, შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროში ერთობლივი აქტივობების განხორციელების მიზნით.

სსიპ – შემოქმედებითი საქართველო ჩაერთო ბრიტანეთის საბჭოს ინიციირებულ პროექტში – „შემოქმედებითი ნაპერწკალი“, რომელიც გულისხმობს შემოქმედებითი მეწარმეობის მიმართულებით ბრიტანული გამოცდილების გაზიარებას ქართული საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ორგანიზაციებისთვის.

სახელოვნებო/სასპორტო განათლების განვითარება

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში მ.წ. 5 ივლისს შესული ცვლილების თანახმად, ერთმანეთისგან გაიმიჯნა სახელოვნებო-შემოქმედებითი/სასპორტო სფეროს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ზოგადად, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ცნებები (მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები), რაც სამომავლოდ, კანონმდებლობის დახვეწის შემდგომ ეტაპზე, აღნიშნული სფეროს სპეციფიკის გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

4.2.2 სპორტი

მიმდინარეობს მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიისა და სპორტისა და ფიზიკური აღზრდის შესახებ კანონის შემუშავების პროცესი. ასევე, მიმდინარეობს მუშაობა ახალ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დამატებაზე, ასევე სასპორტო განათლების მიმართულებით უფასო ფაკულტეტების შემოღებაზე.

სამინისტროს მიერ ხორციელდება, საქართველოს მასშტაბით, სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელების გადამზადების პროგრამა. მიმდინარე წელს (მეორე კვარტალში) საქართველოს მასშტაბით უკვე გადამზადებულია სამასამდე მწვრთნელი.

მიმდინარეობს ფიზიკური აღზრდის პედაგოგების სპორტის შესაბამის სახეობაში გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები (ფეხბურთი, რაგბი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი).

სრულდება ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტების, ორდარბაზიანი, მულტიფუნქციური სპორტის სასახლეების მშენებლობა რეგიონებში (ბათუმი, გორი და თელავი). ქ. თბილისში გრძელდება 7 სტანდარტული მოედნის, ხოლო ქ. ქუთაისში – 3 სტანდარტული მოედნის მშენებლობა, აქედან 5 ბუნებრივი და 4 ხელოვნური საფარით, რომლებიც რაგბისა და ფეხბურთის სახეობებისათვის იქნება გამოყენებული.

შემუშავდა სპორტული ტურიზმის განვითარების სტრატეგიის პროექტი. დაწყებულია საჭირო პროცედურების განხორციელება, „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის რატიფიკაციის მიზნით. შესაბამისი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში, შემუშავდა კანონპროექტი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დახვეწის მიმართულებით.

„ფეხბურთის მატჩებსა და სხვა სპორტულ ღონისძიებებზე დაცულობის, უსაფრთხოებისა და მომსახურების ერთიანი მიდგომების შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის დანერგვის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტზე, რომლითაც დარეგულირდება სპორტულ შეჯიბრებებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის კოორდინირებული მექანიზმები.

5. ადამიანი და მასზე ზრუნვა

5.1 ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა

სისხლის სამართლის რეფორმა

სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის, მოდერნიზაციისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, მიმდინარეობს **სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა**. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შექმნილი ექსპერტთა სამუშაო ჯგუფების ინტენსიური შეხვედრებისა და მუშაობის შედეგად, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის ჩართულობით მომზადებული ფართომასშტაბიანი სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების პროექტი კიდევ ერთხელ გადაიხედა საანგარიშო პერიოდში.

მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, შეიცვალა მიდგომები ისეთ კონცეპტუალურ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: სასჯელის დანიშვნის პრინციპები, სასჯელის სახეები, პირობითი მსჯავრი, გამოსაცდელი ვადა, ჯარიმა და სხვა. ასევე გადაიხედა კონკრეტულ დანაშაულთა შემადგენლობები და დაზუსტდა დამამძიმებელი გარემოებები. ცვლილებები განხორციელდა სანქციების ნაწილშიც.

სისხლის სამართლის კოდექსის ფართომასშტაბიანი ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადებულია ახალი კანონის პროექტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ შესახებ, რომელიც ეხმიანება გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ძირითად პრინციპებს, ამასთან, მაქსიმალურად ითვალისწინებს დაინტერესებული სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. კანონპროექტის მიზანია, ერთიანი საკანონმდებლო აქტის მიღების გზით, საქართველოს კანონმდებლობაში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ სრულფასოვანი იმპლემენტაცია და მისი პრაქტიკული აღსრულებადობის უზრუნველყოფა.

გარდა ამისა, კანონპროექტი მიზნად ისახავს საქართველოს მიერ საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხელშეწყობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების დამკვიდრებისა და განვითარების თაობაზე, რითაც ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების რეალიზებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება განათლების, სამოქალაქო ინტეგრაციის, დასაქმებისა და სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მიმართულებებით, აგრეთვე საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული ინტეგრაცია და მათთვის ყველა სახის მომსახურების მისაწვდომობა თანასწორობის

უნივერსალური პრინციპის დაცვით. ამჟამად მიმდინარეობს კანონპროექტის ფინანსური შეფასების პროცესი ამ უკანასკნელის სახელმწიფო ბიუჯეტზე მოსალოდნელი ზეგავლენის დასადგენად.

სასჯელაღსრულების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება

დაგეგმილია ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი საკანონმდებლო აქტების გადახედვა, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება არსებული უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ამასთან, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, დაიწყო ინტენსიური მუშაობა მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის 2-წლიან მასშტაბურ გეგმაზე, რომლის მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია დანაშაულის პრევენციისა და პრობაციის მიმართულებები. პატიმართა პირობითი მსჯავრის აღსრულებაში უნდა გაიზარდოს სოციალური მუშაობის როლი და მნიშვნელობა. მიმდინარე წლის დეკემბრის დასაწყისში დაგეგმილია სასჯელაღსრულების სისტემის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციასა და დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული 2019-2020 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება ევროკავშირთან თანამშრომლობით, რაც გააჩენს კონკრეტული ინიციატივების წარდგენის შესაძლებლობებს.

სამთავრობო პროგრამის ვადების გათვალისწინებით, მიმდინარეობს შიდა მოსამზადებელი სამუშაოები დიდი ზომის პენიტენციური დაწესებულებების შედარებით მცირე ზომის დაწესებულებებად გარდაქმნისა და ახალი, მცირე ზომის, მაქსიმუმ 500 პატიმარზე გათვლილი დაწესებულებების მშენებლობის მიზნით.

აღნიშნული ამოცანის განხორციელება უზრუნველყოფს როგორც დაწესებულების სწორად მართვასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვას, ისე მსჯავრდებულთა განთავსებას ღირსეულ საცხოვრებელ პირობებში. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა.

საკუთრების უფლება

<u>მიწის რეგისტრაციის რეფორმა</u>

მიმდინარე მიწის რეგისტრაციის რეფორმით დასახული მიზნის სრულად განხორციელებისა და ამ დროისათვის უკვე აპრობირებული, ქმედითი და ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ხელშეწყობისთვის, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) მოქმედების ვადა გაგრძელდა 2019 წლის პირველ იანვრამდე.

აღნიშნული კანონით მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა, მოიხსნა ბარიერები, რომლებიც მესაკუთრეს ექმნებოდა, ხოლო რეგისტრაციის პროცედურა წახალისდა.

რეფორმის ფარგლებში, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის მოძიებასა და სისტემატიზაციას ახდენს სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. კანონის თანახმად, სააგენტო რეგისტრაციის პროცესს უშუალოდ თვითონ წარმართავს, რაც დაინტერესებული პირებისათვის საკუთრების/

სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის, მათ შორის, საარქივო დოკუმენტაციის მოძიებასაც მოიცავს.

მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, სარეგისტრაციო პროცესში დამკვიდრდა დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალება – მედიაცია, რამაც დროში დააჩქარა კერძო პირებს შორის დავების გადაწყვეტა და განტვირთა სასამართლო სისტემა, შემოღებულ იქნა ფაქტების კონსტატაცია. 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, 1233 მეტი დავა დასრულდა მორიგებით, შესაბამისად, მედიაციის ინსტიტუტის დახმარებით, ამავე რაოდენობის სასამართლო დავა იქნა აცილებული.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, სააგენტოში სახელმწიფო პროექტის ფარგლებში სპორადული წესით წარდგენილი 532 910-ზე მეტი სარეგისტრაციო განცხადება დასრულდა წარმატებით და ეს რიცხვი მუდმივად იზრდება.

ახალი ტექნოლოგიები

საკუთრების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით, სახელმწიფო სერვისებში ბლოკჩეინ ტექნოლოგიის გამოყენება დაიწყო. ამ ეტაპზე ტექნოლოგიური სიახლე გამოიყენება უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის. ბლოკჩეინ ტექნოლოგიის დანერგვის საპილოტო პროექტი წარმატებით დასრულდა 2017 წლის თებერვალში და მას შემდეგ 1.5 მილიონი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაგზავნილია ბლოკჩეინის სისტემაში.

მთავრობის მიზანია საკუთრების რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესება გონიერი კონტრაქტების დანერგვის გზითაც. გონიერი კონტრაქტის ამოქმედების პირობებში საჭირო აღარ იქნება სერტიფიცირებული ნოტარიულად ან სხვაგვარად დამოწმებული დოკუმენტები და ბეჭდები. რეგისტრაციის პროცესის უსაფრთხოებისთვის მოქალაქეს აღარ მოუწევს სხვადასხვა ორგანიზაციისთვის (მაგ., სანოტარო ბიუროებისთვის, ბანკებისთვის ან სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის) მიმართვა. გონიერი კონტრაქტების მეშვეობით, ერთი ტრანზაქციით განხორციელდება ორი მოქმედება – საკუთრების რეგისტრაცია და თანხის გადარიცხვა.

სამომავლოდ იგეგმება საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გონიერი კონტრაქტების სისტემის კიდევ უფრო გამარტივება. პროექტის ახალი ფაზა გულისხმობს მოქალაქეების ონლაინაუთენტიფიკაციას, რათა სახლიდან გაუსვლელად გახდეს შესაძლებელი საკუთრების უფლების საგნის განკარგვა (ყიდვა/გაყიდვა).

სამოქალაქო ინტეგრაცია და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უფლებების დაცვა

საანგარიშო პერიოდის სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელდა არაერთი პროექტი/პროგრამა და ღონისძიება, რომელიც ემსახურებოდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა ჩართულობის გაზრდას/გაუმჯობესებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი კულტურის მხარდაჭერას, ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფასა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობას.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით კომპაქტურად დასახლებულ ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში გააქტიურდა საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა, რის შედეგადაც, ხელი შეეწყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი ეთნიკური

უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის მიღებას. გაუმჯობესდა ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტებისა და სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განისაზღვრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის საჯარო უწყებებში სტაჟირების გავლის პროცედურები. პროგრამის ფარგლებში შერჩეულმა „1+4“ საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე 87-მა ახალგაზრდამ სტაჟირება გაიარა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში, მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. უზრუნველყოფილია ასევე ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებლობა (აზერბაიჯანული, სომხური, რუსული). განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებლების დეფიციტის შევსების მიზნით, გაიგზავნა მასწავლებელთა სამი ჯგუფი: 117 კონსულტანტ-მასწავლებელი, 111 დამხმარე მასწავლებელი და 50 ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის უმაღლესი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, გაგრძელდა საგანმანათლებლო – ე.წ. „1+4“ პროგრამა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელთან (როდესაც პროგრამა ამოქმედდა) შედარებით, ამ პროგრამით ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გაზრდილია ხუთჯერ.

განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომლებიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებას. საანგარიშო პერიოდში:

- სსიპ – ზურაბ ჟვანიას სახელობის საჯარო ადმინისტრირების სკოლის 10 რეგიონულ სასწავლო ცენტრში განხორციელდა სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამა;
- სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში ჩაირიცხა ეთნიკური უმცირესობის 1564 წარმომადგენელი;
- შეიქმნა 126 სასწავლო ჯგუფი, საიდანაც 43 სოფელში ჩამოყალიბდა 81 მობილური ჯგუფი, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას უტარებენ ტრენინგებს.

საერთო ჯამში, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით რეგიონულ სასწავლო ცენტრებსა და მობილურ ჯგუფებში ქართული ენის სწავლებას გადის ეთნიკური უმცირესობის 1255 წარმომადგენელი. ქართული ენის შემსწავლელი კურსები დამატებით გაიხსნა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სურბ სარქისის ეკლესიაში.

სახელმწიფოს მხრიდან გაგრძელდა არაქართულენოვანი ბეჭდვითი მედიის მხარდაჭერა. სომხურენოვანი გაზეთი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი გაზეთი „გურჯისტანი“ ვრცელდება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ასევე სპეციალურ პენიტენციური სამსახურის დაწესებულებებში.

ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს

მიეწოდათ ინფორმაცია სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, მათ შორის, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის, ეკონომიკური და ფინანსური პროგრამებისა და სიახლეების შესახებ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთა

ივნისში, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისო კომისიის მიერ დამტკიცდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ გასატარებელ საკომუნიკაციო ღონისძიებათა 2018-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავების მიზანს წარმოადგენდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საქართველოს მთავრობის ერთიანი საკომუნიკაციო ჩარჩოს შექმნა, რომლის ფარგლებშიც, კომისიაში შემავალი დარგობრივი უწყებები დაგეგმავენ და განახორციელებენ თემატურ საკომუნიკაციო ღონისძიებებს. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე კომუნიკაციის ერთიანი სახელმწიფო ხედვისა და მიდგომების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს სახელმწიფო უწყებების მიერ კოორდინირებულ, შედეგებზე ორიენტირებულ მუშაობასა და უფრო ეფექტიანს გახდის ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებულ საკომუნიკაციო ძალისხმევას.

საკომუნიკაციო სტრატეგია განხორციელდება 2018-2020 წლების პერიოდში, მთელი საქართველოს მასშტაბით და მის განხორციელებას უზრუნველყოფენ კომისიის წევრი დარგობრივი უწყებები.

სსიპ – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 25 ივნისს, ქ. თელავში ჩატარდა ძალადობის წინააღმდეგ მიმართული აქცია საკონსულტაციო ცხელი ხაზის (116 006) პოპულარიზაციისთვის, გავრცელდა საინფორმაციო მასალა ცხელი ხაზის გამოსახულებით.
- 16 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, დაბა ბაკურიანში ჩატარდა, სოციალური მუშაკების გაძლიერების მიზნით, ტრენინგი თემაზე: „სოციალური მუშაობის პასუხი გენდერის ნიშნით ძალადობაზე“.
- 29 და 30 აგვისტოს, ჩატარდა ძალადობისგან დაცვის საკონსულტაციო ცხელი ხაზის პოპულარიზაციის ხელშემწყობი საინფორმაციო აქცია.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელებას მოწმობს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე აშშ-ის 2018 წლის ანგარიშიც, რომელიც გამოქვეყნდა 2018 წლის 28 ივნისს. ანგარიშის თანახმად, საქართველომ ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოს გვერდით კვლავ დაიკავა მოწინავე პოზიცია ე.წ. პირველ კალათაში. 2018 წლის ანგარიშით შეფასდა მსოფლიოს 200-მდე სახელმწიფო და საქართველო საუკეთესო 39-ს შორის მოხვდა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით, საქართველოს ხელისუფლება ეფექტიანად ებრძვის ადამიანით ვაჭრობას. ტრეფიკინგთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკა აკმაყოფილებს ამ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან

ბრძოლის სტანდარტებს და იგი შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან. საგულისხმოა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, მეზობელი და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო იკავებს ადგილს პირველ კალათაში.

აღსანიშნავია, რომ ამავე ანგარიშში წარმატებულ პრაქტიკად ფასდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგრანტო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს ტრეფიკინგთან ბრძოლის პოლიტიკისა და პრევენციული ღონისძიებების ეფექტიან განხორციელებაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას. ამ მიზნით, 2018 წელს გაგრძელდა საგრანტო პროგრამები. 2018 წლის 14 აგვისტოს მოეწყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის საგრანტო პროექტის შედეგების პრეზენტაცია. განმახორციელებელმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, სამინისტროს გრანტის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით არსებულ 10 დიდ ქალაქში განახორციელა საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანიც იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია არასრულწლოვნების ქუჩაში ცხოვრებასთან ან/და მუშაობასთან, მათთვის მოწყალების გაცემით ბავშვების ქუჩაში ყოფნის წახალისებასთან, ასევე მიუსაფარი ბავშვების დაცვის მიზნით არსებულ სახელწიფო მექანიზმებსა და სერვისებზე. საგრანტო პროგრამის ფარგლებში ასევე მომზადდა და ვრცელდება ბროშურები 6 ენაზე (ქართულ, ინგლისურ, აზერბაიჯანულ, თურქულ, სომხურ და რუსულ ენებზე); შემუშავდა ანიმაციური ვიდეოკლიპი სახელწოდებით – „არ შეუწყო ხელი დანაშაულს!“

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში – საბჭო) ეფექტიანი მუშაობის შედეგად, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2018 წლის 12 ივნისიდან ამოქმედდა საბჭოს ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. შედეგად დანაშაულად გამოცხადდა პირის დაყოლიება პროსტიტუციაზე ან/და სხვა ისეთი არაძალადობრივი ქმედების განხორციელება, რომელიც ხელს უწყობს პირის მონაწილეობას პროსტიტუციაში.
- შსს-ის ინსპექტირების მობილური ჯგუფებისა და სპეციალისტების ჯგუფის (Task Force) ეფექტიანი მუშაობის შედეგად, რომლებიც სისტემატურად ახორციელებენ მაღალი რისკის მქონე ადგილების შემოწმებას, საანგარიშო პერიოდში პროაქტიულად დაიწყო გამოძიება ტრეფიკინგის სავარაუდო 5 ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, დაზარალებულად იქნა ცნობილი 3 პირი.
- საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას სამართალდამცავები აქტიურად იყენებენ უწყებათაშორისი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელო პრინციპებსა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტს – სპეციალურ ოპერაციულ პროცედურებს (S.O.P-ს); დოკუმენტები ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში შექმნილი შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი აგრძელებს კერძო კომპანიებისა და ორგანიზაციების შემოწმებას, რომლის უმთავრეს ფუნქციად განისაზღვრა საწარმოებში იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის ნიშნების გამოვლენა; ეჭვის გაჩენის

შემთხვევაში, ტრეფიკინგის სავარაუდო შეთხვევა დაუყოვნებლივ ეცნობება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

2018 წლის 30 ივლისს, ტრეფიკინგთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან (უწყებათაშორის საბჭოსთან) და სსიპ – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან თანამშრომლობით გამართა მრგვალი მაგიდა სამთავრობო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით და გახსნა კამპანია სახელწოდებით – „უხილავნი ჩვენს შორის“. კამპანია არის საჯარო არტ-ინსტალაცია, რომელიც წარმოადგენს ტრეფიკინგის მსხვერპლთა რეალურ ისტორიებს.

5.2 ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციონალური მექანიზმები

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი პრიორიტეტია დანაშაულთან ბრძოლის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის მიღების გაძლიერება. გაგრძელდა მუშაობა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფის მიმართულებით „საზოგადოებრივი პროკურატურისა“ და „ადგილობრივი საბჭოს“ პროექტებზე, რომელთა მიზანია ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების გაზრდა და პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.

პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში, 2018 წლის იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ჩატარდა 691 ღონისძიება (მათ შორის, 542 – საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 65 – კულტურული, 38 – სოციალური, 46 – სპორტული), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 35 000-მდე პირმა. პარალელურად, ტარდება საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა გავრცელებულ დანაშაულზე, მათ შორის, ოჯახში ძალადობის თემაზე, ნარკოტიკულ დანაშაულზე, სატრანსპორტო დანაშაულზე, ცივი იარაღის ტარებასთან დაკავშირებით, ტრეფიკინგზე, სამოხელეო დანაშაულზე, მიწის თაღლითობებზე, ქურდობაზე, ტერორიზმზე, ადევნებასა და სკოლებში გავრცელებულ მოზარდებს შორის ჩაგვრაზე, ე.წ. „ბულინგის“ შესახებ.

აღნიშნული ღონისძიებები ტარდება საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტისთვის, მათ შორის, სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, საჯარო მოხელეებისთვის, განრიდებული, პრობაციონერი, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდებისთვის, სოფლად მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის, მათ შორის, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის.

შიდა ინსტიტუციური გაძლიერების მიმართულებით, საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურორის 27 აგვისტოს №129-მ ბრძანების შესაბამისად, ჩამოყალიბდა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც იმუშავებს პროკურატურის განვითარებისთვის საჭირო მნიშვნელოვან საკითხებზე და განიხილავს პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და დისციპლინურ საკითხებს. დამატებით, დამტკიცებულია პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების სისტემა, რომლის განხორციელება იგეგმება მიმდინარე წლის ბოლომდე.

გრძელდება პროკურორთა **გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების** პროგრამები. 2018 წლის 8 თვის მონაცემებით, პროკურორებისა და პროკურატურის სისტემის გამომძიებლების პროფესიული

განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, განხორციელდა 94 სასწავლო აქტივობა, რომელშიც 1184 მსმენელი იღებდა მონაწილეობას. პროკურორებისა და სისტემის გამომძიებლებისათვის ინტენსიური კურსები განხორციელდა: სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი), დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული სტანდარტების, პროფესიული ეთიკის, ინტერესთა შეუთავსებლობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის, სამართლებრივი მართლწერის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევებისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებით. სპეციალიზაციის კურსები ჩატარდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ამასთან, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, გადამზადების კურსები განხორციელდა: ადამიანით უკანონო ვაჭრობის (ტრეფიკინგი), საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის, კორუფციის, კიბერდანაშაულის, ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოდანაშაულის, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა პრიორიტეტული მიმართულებებით. 2018 წელს პროკურორები ჩაერთვნენ სამართალდამცავთა სწავლების ევროკავშირის სააგენტოს (CEPOL) გაცვლით პროგრამებში. ახალი კადრების/სისტემის სტაჟიორების ადაპტაციისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დაინერგა მენტორობის პროგრამა.

სამართლიანობის აღდგენის პროცესის მიმართულებით, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2018 წლებში გამოვლენილ იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 78 ფაქტი და მხილებულ იქნა 43 საჯარო მოხელე, რომელთაგან 27-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებულ იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება; 4 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება, მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 12 პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა.

დაზარალებულად იქნა ცნობილი 159 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ დაახლოებით **44 910 145 ლარის** ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის: 80 ერთეულამდე ა/მანქანა, საერთო ჯამში – 1 557, 554 კვ.მ მიწის ნაკვეთი, 6 საცხოვრებელი ბინა, 2 აგარაკი, საოფისე და კომერციული ფართები და სხვა.

სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მიერ ჩადენილი სავარაუდო წამების/არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიების ხელშეწყობის მიზნით, მიღებულ იქნა **„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი** და ამით შეიქმნა ერთიანი, დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებაზე იქნება პასუხისმგებელი.

საკანონმდებლო ცვლილებებმა შედეგად უნდა მოიტანოს საერთაშორისო ვალდებულებების სათანადოდ შესრულება, სხვადასხვა საერთაშორისო სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტის, აგრეთვე საქართველოს შიდა კანონმდებლობით დამტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების აღსრულებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და ერთიანი, დამოუკიდებელი ინსტიტუციის შექმნა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის მიუკერძოებელ და ეფექტიან გამოძიებას,

აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული საქმიანობის კონტროლს უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნული პრინციპების ამსახველი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი და თანმდევ ცვლილებათა პაკეტი მიღებული და გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ (გამოქვეყნების თარიღი: 09.08.2018). ცვლილებები ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

კრიმინალური პოლიციის სტრუქტურული რეფორმა

მიმდინარეობს ქვეყნის კრიმინალური პოლიციის სტრუქტურული გარდაქმნა. ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების გამიჯვნასთან დაკავშირებით, შესწავლილია ზემოხსენებული საქმიანობის განმახორციელებელი პირების სამუშაო დატვირთვა, ბიზნესპროცესები, მომზადებულია საპოლიციო დანაყოფების ახალი სტრუქტურა, პროფესიული ტესტირება გაიარა ყველა მოქმედმა გამომძიებელმა მთელი ქვეყნის მასშტაბით, მზადების პროცესშია ნორმატიული ბაზის ცვლილების პროექტები, სამუშაო აღწერილობის დოკუმენტების პროექტები.

მოქმედი გამომძიებლების გადამზადების მიზნით, ორეტაპიანი კონკურსის შედეგად, კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოქმედი თანამშრომლებისგან შეირჩა კვალიფიციურ გამომძიებელთა ჯგუფი, რომლებიც პროკურორებსა და აკადემიის ტრენერებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დანაყოფებში დასაქმებულ სხვა გამომძიებლებს გადაამზადებენ. ტრენერი გამომძიებლები თავად გაივლიან გადამზადებას როგორც სამართლებრივ საკითხებში, ისე ტრენერის უნარ-ჩვევებში და კვალიფიკაციას აშშ-ში აიმაღლებენ. გადამზადების პირველი ეტაპი ტრენერებმა უკვე გაიარეს.

დამატებით შემუშავდა გამომძიებლების გადამზადების სასწავლო პროგრამა, რომელიც ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად საერთაშორისო პრინციპების სწავლებასაც მოიცავს და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული პროგრამის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დანაყოფებში დასაქმებული ყველა გამომძიებელი ეტაპობრივად გაივლის გადამზადებას.

მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი

25 ივნისიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო განცხადებების მიღება მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე. განცხადებების მიღება სპეციალურად მართლწესრიგის ოფიცრებისათვის შექმნილი საკომუნიკაციო არხის (www.officer.ge-ს) საშუალებით განხორციელდა, შემოსულია 3000-ზე მეტი განცხადება. 25 ივლისიდან მიმდინარეობს კანდიდატების შერჩევა (გასაუბრება, ტესტირება). მართლწესრიგის პირველი ოფიცრები თავდაპირველად რამდენიმე რაიონში გამოჩნდებიან და ეტაპობრივად მთელ საქართველოს მოიცავენ.

მიმდინარეობს მართლწესრიგის ოფიცრის სტანდარტული სამოქმედო პროცედურებისა და მართლწესრიგის ოფიცრის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, რომელიც მორგებული

იქნება მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობაზე, კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების ფარგლებში, პორტატული მოწყობილობების გამოყენებით.

2018 წლის ივნის-ივლისში სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის ჩამოყალიბებაში. დამატებით, წარმატებით განხორციელდა მარკეტინგული კამპანია (ღია კარის დღეები, საიმიჯო ვიდეორგოლი, განცხადებები და ა.შ.), მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის საზოგადოებისთვის გაცნობისა და ოფიცრების რეკრუტირების მიმართულებით.

სასაზღვრო პოლიციის განვითარება

საქართველოს სასაზღვრო პოლიცია თანამშრომლობს აშშ-სთან სასაზღვრო უსაფრთხოების გაძლიერების მიმართულებით, როგორც აშშ-ის მეორე ხაზის თავდაცვის პრიორიტეტული ქვეყანა ტერორიზმის, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული აგენტებისგან გამოწვეული საფრთხეების შემცირებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის კუთხით.

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს სასაზღვრო პოლიცია აქტიურად თანამშრომლობს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან (ნატო). ამ მიმართულებით ერთობლივი საზღვაო ოპერაციების მართვის ცენტრსა (JMOC) და ნატოს სამოქალაქო და საზღვაო კომერციულ სუბიექტებთან თანამშრომლობის ცენტრს (NATO Shipping Centre) შორის მიმდინარეობს კონსულტაციები ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმის დახვეწის მიმართულებით.

დამატებით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ალიანსის მუდმივმოქმედი საზღვაო შენაერთების, ასევე ნატოს ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდებისთვის საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და პორტებში შემოსვლის დიპლომატიური ნებართვების გამარტივებაზე.

საპატრულო პოლიციის რეფორმა

მიმდინარე წლის ივლისში საქართველოს შს სამინისტროში შეიქმნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის ხარისხის მონიტორინგის ახალი მექანიზმი – სამხრე და „ბორტ-კამერების“ მონიტორინგის ოფიცერი, რომელიც ახორციელებს საპატრულო პოლიციის ეკიპაჟების საქმიანობის მონიტორინგს სამხრე და „ბორტ-კამერების“ ჩანაწერების ცენტრალიზებული მონაცემთა ბაზის საშუალებით. მონიტორინგის ოფიცერი ახორციელებს როგორც სარეკომენდაციო, ასევე სავალდებულოდ შესასრულებელი ანგარიშებისა და დირექტივების შემუშავებას, საპატრულო პოლიციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა საპატრულო პოლიციის შვიდი სტანდარტული სამოქმედო პროცედურის (SOP) დოკუმენტები და პარალელურად მიმდინარეობს ხუთი სტანდარტული სამოქმედო პროცედურის შემუშავება.

საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების აღმოჩენის მექანიზმის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, დაიგეგმა საპატრულო პოლიციის 10 ეკიპაჟის აღჭურვა მობილური ნომრის ამომცნობი სისტემით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში იდენტიფიცირებულია საჭირო ინფრასტრუქტურის ტექნიკური სპეციფიკაციები და უკვე განხორციელდა ბაზრის კვლევის პროცედურები. მათი განთავსება მოხდება ისეთ ლოკაციებზე, სადაც განსაკუთრებით ხშირად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები.

ქვეით პატრულ-ინსპექტორთა კორპუსი

გაფართოვდა ქვეით პატრულ-ინსპექტორთა კორპუსი, კერძოდ, მიმდინარე წლის ივნის-სექტემბრის პერიოდში, ქვეით პატრულ-ინსპექტორთა კორპუსის სამოქმედო ტერიტორიას დაემატა ისეთი მნიშვნელოვანი ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურით დატვირთული ადგილები, როგორიცაა: რიყის პარკი, გორგასლის მოედანი, პუშკინის ქუჩა, ვერის ბაღი, კუს ტბა, ლისის ტბა.

სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში 2018 წელს შემუშავდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ტურისტული უსაფრთხოების ქვეით პატრულთა საბაზისო მომზადების სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული კურსის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში მომზადება გაიარა 36-მა როგორც მოქმედმა, ისე მომავალმა პოლიციელმა.

ერთიანი მომსახურების ცენტრი

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა დაიწყო ერთიანი მომსახურების ცენტრის კონცეფციის დანერგვა რეგიონებში. კერძოდ, ქვემო ქართლის, აჭარისა და სამეგრელოსა და ზემო სვანეთის რეგიონებში ცენტრის გახსნისთვის დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ითვალისწინებს ხალხის ნაკადის კვლევასა და ინფრასტრუქტურის ცვლილებას.

განხორციელდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სატელეფონო მომსახურების ცენტრის ოპერატორთა სამეტაპიანი გადამზადება. ტრენინგი ჩაუტარდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ოცამდე ოპერატორს ქ. თბილისსა და რეგიონებში. სწავლების პროგრამა სპეციალურად შეიქმნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის „ქოლ ცენტრისთვის“ და მოიცავდა ეფექტიანი კომუნიკაციისა და სერვის+ კომპონენტებს.

შემუშავდა პროექტი უცხო ქვეყნის მოქალაქეების იდენტიფიცირებისათვის ვიდეოზარების პრაქტიკის დასანერგად.

ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლება

რეგულარულად მიმდინარეობს პოლიციელთა გადამზადება, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ადამიანის უფლებების საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამები და კურსები მხოლოდ საანგარიშო პერიოდში გაიარა ჯამში 238-მა პოლიციის თანამშრომელმა.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ფარგლებში, სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში 2017 წლიდან უბნის ინსპექტორთა მომზადების სპეციალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში დაინერგა ახალი მოდული „დისკრიმინაციის დაუშვებლობა და გენდერული თანასწორობა“. პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასევე იკითხება საგანი – „გენდერული თანასწორობა“. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული პროგრამები გაიარა 18-მა მსმენელმა.

მიმდინარეობს მუშაობა ოჯახური ძალადობის თემაზე მონაცემების მიმოცვლის, დამუშავებისა და პრევენციის ხელშეწყობის პროექტზე. პროექტი მოიცავს ოჯახში ძალადობის თაობაზე მონაცემების დამუშავების დახვეწას, დუბლირებული ზარების იდენტიფიცირებასა და განმეორებით შემთხვევებზე „განგაშის“ გამოყენებას, ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით.

დამატებით, შსს-ის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ სექტემბერში დაინერგა შიდა და გარე მონიტორინგისა და რისკის შეფასების სისტემები.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა

მიმდინარეობს მუშაობა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის ახალ კონცეპტუალურ ჩარჩოზე, სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის მოდელსა და ანალიტიკოსის სამუშაო აღწერილობაზე. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა ანალიტიკოსთა მომზადების განახლებულ მოდულზე, რომლის საფუძველზეც, ანალიტიკოსების მომზადება სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მოხდება. პარალელურად, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის პროგრამაში ჩართული თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შსს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში მიმდინარეობს პროგრამაში ჩართული თანამშრომლების გადამზადება.

დასრულებულია ინციდენტების აღრიცხვის ერთიანი ინფორმაციული სისტემის (e-Police) პირველ ფაზაზე მუშაობა. სრულყოფილი მოდელის უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობს პროცესების შემდგომი ანალიზი და დეტალურ ტექნიკურ დავალებაზე მუშაობა. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს ინტერაქციული რუკის განვითარება.

საგზაო უსაფრთხოება და ერთობლივი ოპერაციების ცენტრის განვითარება

საზოგადოებრივი და საგზაო უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, მნიშვნელოვანად გაიზარდა ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მოცვის არეალი. ერთობლივი ოპერაციების ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ქალაქებსა და ავტოსაგზაო მონაკვეთებზე საანგარიშო პერიოდში ამოქმედდა სხვადასხვა ტიპის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერა:

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის მიმართულებით, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებაში შევიდა 160 ზოგადი ხედვის კამერა.
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ავტომატური ადმინისტრირების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა 228 ჭკვიანი კამერა.
- სიჩქარის კონტროლისა და საგზაო უსაფრთხოების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებაში შევიდა 36 სიჩქარის კონტროლის სექცია.

დამატებით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ცვლილებების პაკეტი, რომლის ფარგლებშიც, გამკაცრდა საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე არსებული სანქციის ზომები. ასევე ცვლილების

პროექტი ითვალისწინებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მიერ სიჩქარის გადაჭარბების ფაქტის გამოვლენის შემთხვევაზე ქულათა სისტემით გათვალისწინებული სანქციის დაკისრებას.

ე. წ. „შავი წერტილების“ გამოვლენისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფის მიზნით, მომზადდა ავტოსატრანსპორტო შემთხვევების შესახებ საინფორმაციო ბარათი, „CADas“ სტანდარტების შესაბამისად.

ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა მართვის მოწმობის მისაღები გამოცდების რეალურ საგზაო მოძრაობის პირობებში ჩასატარებლად.

თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებსა და პარტნიორ ქვეყნებთან

საქართველოში განხორციელდება ევროპოლის ჯგუფის ვიზიტი და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უსაფრთხო კომუნიკაციის არხის გაშვებასთან დაკავშირებით. არხის ამოქმედების შემდეგ, საქართველო აქტიურად გამოიყენებს ევროპოლის უსაფრთხო არხებს (SIENA) ინფორმაციის გასაცვლელად.

ევროპოლთან სამეკავშირეო შეთანხმება ძალაში შევიდა ხელმოწერის დღიდან და მის საფუძველზე საქართველოს მეკავშირე ოფიცერი უკვე წარიგზავნა ევროპოლის შტაბ-ბინაში.

საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან უფრო ეფექტიანი თანამშრომლობის მიზნით, განხორციელდა შიდა სტრუქტურული ცვლილებები. შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში არსებული საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამშრომლობის ცენტრი გადაკეთდა სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრად და შედეგად ოპერატიულ საერთაშორისო თანამშრომლობაზე პასუხისმგებელი ყველა დანაყოფი, მათ შორის, ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო ერთ ცენტრში გაერთიანდა. ასევე ჩამოყალიბდა ევროპოლის განყოფილება და 24/7 განყოფილება, რომელიც ემსახურება ინტერპოლს, ევროპოლსა და სუამ-ს. საანგარიშო პერიოდში:

1. საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში, უცხოელ კოლეგებთან გაიცვალა 6742 ინფორმაცია (მათ შორის, ინტერპოლის არხებით).
2. გაიმართა 5 ორმხრივი ვიზიტი საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ფარგლებში.
3. უცხოელ კოლეგებთან ერთად, ევროკავშირის ქვეყნებში, კერძოდ: საფრანგეთსა და ესპანეთში ჩატარდა 3 საპოლიციო ღონისძიება, რომელთა ფარგლებში, სხვა ქვეყნის მოქალაქეებთან ერთად, დაკავებულ იქნა საქართველოს 6 მოქალაქე, მათ შორის, 2 „კანონიერი ქურდი“, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების საქმიანობაში.

2018 წლის 21 ივნისიდან საქართველოს, საფრანგეთისა და იტალიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროებთან გაფორმდა მემორანდუმი საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით.

შსს-ის სისტემაში ადამიანური რესურსების ქმედითი სისტემის განვითარება

მიმდინარე წლის ივლისიდან განხორციელდა პოლიციელთა ხელფასების ზრდა, კერძოდ, შსს-ის სისტემაში მომუშავე 13 200 პოლიციელს ყოველთვიური ანაზღაურება გაეზარდა 250 ლარით.

პოლიციელთათვის სოციალური გარანტიების გაზრდის მიზნით, დაიწყო ბინათმშენებლობის პროექტის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც შსს-ის სისტემაში მომუშავე განსაკუთრებული პროფესიონალიზმის ხარისხით გამორჩეულ თანამშრომლებს სამინისტრო აძლევს საშუალებას, რომ მნიშვნელოვნად საშეღავათო პირობებში მიიღონ საცხოვრებელი ბინა.

საქართველოს შს სამინისტროში ადამიანური რესურსების მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გასატარებლად მიმდინარეობს კარიერული განვითარების გამჭვირვალე სისტემის შემოღება, რომელიც მთლიანად დაფუძნებული იქნება დამსახურებაზე (merit-based). ასევე მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს ობიექტური შეფასების სისტემის დანერგვა, რასაც წინ უნდა უძღოდეს თითოეული თანამდებობის მკაფიოდ გაწერილი სამუშაო აღწერილობის შემუშავება. ამ მიმართულებით საანგარიშო პერიოდში:

- სამინისტროს დანაყოფების 31 მოსამსახურე გადამზადდა სამუშაოს ანალიზის წარმართვისა და სამუშაოს აღწერილობის შედგენის საკითხებში;
- შემუშავდა სამუშაოს ანალიზის კითხვარი, რომელიც შევსებულ იქნა სამინისტროს III და IV რანგის მოსამსახურეების მიერ;
- მომზადდა სამუშაოს აღწერილობის ფორმის პროექტი;
- მიმდინარეობს კითხვარის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის სისტემატიზაცია, დაზუსტება და ანალიზი, რომელიც საბოლოოდ აისახება სამუშაოს აღწერილობის ფორმაში.

სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაუქმდა უმაღლესი განათლების კომპონენტი და გაძლიერდა პროფესიული საგანმანათლებლო მიმართულება შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის კვალიფიციური პერსონალის მოსამზადებლად. სამინისტროში თანამშრომელთა შემდგომი კვალიფიკაციის ამაღლებისა და ახალგაზრდა მოტივირებული ადამიანების მოზიდვის მიზნით, შეიცვალა მომავალი პოლიციის ოფიცრების შერჩევის პროცესი. ახალი რეგულაციების თანახმად, აკადემიაში სწავლის დაწყებამდე კურსანტები გამოსაცდელი ვადით ინიშნებიან მომავალ პოზიციებზე საქართველოს შს სამინისტროში. სწავლის წარმატებულად დასრულებისა და გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ, პირი ინიშნება აღნიშნულ თანამდებობაზე.

2018 წლის 12 ივლისს მიღებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც არსებითად ცვლის პოლიციელთა სამსახურში მიღების, სპეციალური პროფესიული განათლების მიღებისა და პირის თანამდებობაზე დანიშვნის წესებს. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2018 წლის 1 სექტემბრიდან. ცვლილებების ერთ-ერთ მთავარ ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ პოლიციაში მიღების მსურველ კანდიდატს ორი კონკურსის ნაცვლად მოუწევს ერთი ცენტრალიზებული კონკურსის გავლა. ამასთან, სამინისტროში შეიქმნება ერთიანი სპეციალური საკონკურსო კომისია, რომელიც ცენტრალიზებულად ორგანიზებას გაუწევს სამინისტროს ქვედანაყოფებსა და ტერიტორიულ ორგანოებში მოქალაქეთა მიღებას. კონკურსის ცენტრალიზაცია ხელს შეუწყობს კონკურსის

ობიექტურობასა და საქართველოს მოქალაქეთათვის პოლიციაში სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

შრომის უსაფრთხოება

2018 წლის 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“, სადაც განისაზღვრა მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების განმახორციელებელი პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, შრომის უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებები და სხვ.

2018 წლის 27 ივლისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა №381 და №382 დადგენილებები: „მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალის დამტკიცების თაობაზე“ და „მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებისას შერჩევითი კონტროლის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე“. ზემოაღნიშნული დადგენილებებით განისაზღვრა ის სამუშაოები, რომლებზეც მაკონტროლებელი ორგანო ახორციელებს ზედამხედველობას შესაბამისი წესების დაცვით.

აგრეთვე მომზადდა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები: „პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესისა და ფორმის დამტკიცების თაობაზე“, „სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების რეგისტრაციის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების თაობაზე“ და „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“. ამჟამად წარმოებს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან შეთანხმების პროცედურები.

ამასთან, საანგარიშო პერიოდში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემოწმებულია 10 კომპანია (10.08-20.08.2018 პერიოდი), შრომის პირობების ინსპექტირების 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად – 31 კომპანია, ხოლო იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციისა და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობა განხორციელდა 29 ობიექტზე.

საქართველოს პარლამენტის ინიციატივით მიმდინარეობს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის განახლებაზე მუშაობა. პროექტის მიხედვით, შესაბამისი ორგანოს მიერ ზედამხედველობა განხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორზე.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

5.2.1 ჯანმრთელობის დაცვა

2018 წლის აგვისტოს დასაწყისში საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს მთავრობისა და ფარმაცევტული კომპანიების ერთობლივი თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდა მეორე ტიპის დიაბეტის სამკურნალო მედიკამენტების საბაზრო ფასის განახევრება მთელი ქვეყნის მოსახლეობისთვის.

სექტემბრის დასაწყისში იგეგმება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის გაფართოება, რაც ითვალისწინებს საპენსიო ასაკის მოსახლეობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იაფი მედიკამენტებით უზრუნველყოფას. პირველ ეტაპზე ხელმისაწვდომობა შეეხება ყველაზე ფართოდ გავრცელებული – გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს.

2018 წლის ივლისის ბოლოდან დღემდე C ჰეპატიტზე შემოწმებულია 64,811 პირი, მათ შორის, გამოვლენილია დადებითი 1,788 ახალი შემთხვევა (2,75%). სულ, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში, სკრინინგი ჩატარებული აქვს 1,264,606 უნიკალურ ბენეფიციარს (ტესტების რაოდენობა – 1.988.713), მათ შორის გამოვლენილია 114,963 დადებითი შემთხვევა (9,09%). წლის ბოლომდე იგეგმება C ჰეპატიტის სკრინინგის არეალის გაფართოება იუსტიციის სახლებში, სკრინინგის მუდმივმოქმედი კუთხეების მოწყობის გზით, რაც დამატებით გაუადვილებს მოქალაქეებს აღნიშნული მომსახურების მიღების შესაძლებლობას.

ამასთან, C ჰეპატიტზე მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჰეპატიტის მსოფლიო დღის ფარგლებში, 28 ივლისიდან – 4 აგვისტოს განმავლობაში, საქართველოს მასშტაბით „STOP C“ საკომუნიკაციო კამპანიის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება.

„2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 დეკემბრის №592 დადგენილების თანახმად, 2018 წლის იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გრძელდება მოსახლეობის იმუნიზაცია გეგმური ვაქცინებით.

ვაქცინაციის პროცესის უწყვეტად განხორციელების მიზნით, რეგულარულად ხდება ვაქცინებისა და სახარჯი მასალების მიწოდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის მიერ მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურებისათვის, საიდანაც ვაქცინები და ასაცრელი მასალა მიეწოდებათ პირველადი დონის დაწესებულებებს.

გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, აივ ინფექციის/შიდსის პრევენციის მიმართულებით გრძელდება გეგმური პროფილაქტიკური საქმიანობა მაღალი რისკის ჯგუფებში (ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებში, მსმ-ებში, კომერციულ სექსმუშაკებსა და პატიმრებში).

პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება ანტირეტროვირუსულ თერაპიაზე მყოფი 4500 პაციენტის მკურნალობის დამყოლობის მხარდაჭერის აქტივობები, მათ შორის, მობილური ჯგუფების მიერ (4 ასეთი ჯგუფი ფუნქციონირებს).

საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და გამარტივება. ამ მხრივ, გრძელდება სახელმწიფო რეფერალური პროგრამის ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ პირებს ჯანდაცვის მომსახურებას უფასოდ აწვდის. აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც კვეთენ საოკუპაციო ხაზს, შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ სრულფასოვანი, საჭიროებაზე გათვლილი სამედიცინო მომსახურება საქართველოში არსებულ ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებაში. მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების შიგნით და დახმარებას უწევს ადგილობრივ სამედიცინო პუნქტებს.

საქართველოს მთავრობა განაგრძობს აფხაზეთის რეგიონისთვის საჭირო ვაქცინების, მათ შორის, იმუნიზაციის, B ჰეპატიტისა და ვეტერინარიული ვაქცინების, დიაბეტის, C ჰეპატიტის ტესტების, ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ანტიბიოტიკებისა და აივ ინფექციის/შიდსის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიწოდებას, რომელთა თვითღირებულება წელიწადში 500 000 ლარზე მეტს შეადგენს.

მიმდინარეობს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ახალი რეგულაციების დანერგვის მხარდამჭერი საკომუნიკაციო კამპანია: სატელევიზიო მედია ადვოკატირება, ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით. მიმდინარეობს სამიზნე დაწესებულებებში თამბაქოს შესახებ კანონმდებლობის აღსრულებისა და დანერგვის მონიტორინგი, ასევე აღმასრულებელი სტრუქტურების წარმომადგენელთა ტრენინგი. კვირაში 7 დღე ფუნქციონირებს თამბაქოსთვის თავის დანებების ცხელი ხაზი.

5.2.2 სოციალური დაცვა

მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამით მოწყვლადი მოსახლეობის მოცვის გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა რიგი ღონისძიებები. კერძოდ, 2018 წლის ივნისიდან ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილებები და საარსებო მინიმუმად (რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადია) განისაზღვრა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2018 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით არსებული საშუალო მაჩვენებელი – 175 ლარი. ამასთან, მეთოდოლოგიაში აისახება ასაკით პენსიისა და სოციალური პაკეტის რეალური ოდენობა და იმის გათვალისწინებით, რომ უკანასკნელ პერიოდში კომუნალურ გადასახადებზე გაიზარდა ტარიფები, შეფასების ფორმულაში კომუნალური ხარჯების ინდექსის კოეფიციენტი შემცირდა 3%-ით.

ამასთან, 2018 წლის 1 ივნისის შემდეგ, შესაბამის სამართლებრივ აქტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახს გადაუანგარიშდება დანიშნული საარსებო შემწეობა, ოჯახის გარდაცვლილი წევრ(ებ)ის კუთვნილი თანხის გამოკლებით, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების შემდეგ სპეციალური ფორმის დოკუმენტის – ოჯახის დეკლარაციის მონაცემთა ბაზაში განთავსებამდე. თუ გადამოწმების შედეგად მინიჭებული სარეიტინგო ქულა ნაკლებია საარსებო შემწეობის მისაღებ ზღვრულ ქულაზე, ოჯახს საარსებო შემწეობის გაცემა გაუგრძელდება გადამოწმების შედეგად ოჯახის წევრთა რაოდენობიდან და მინიჭებული სარეიტინგო ქულის ოდენობიდან გამომდინარე.

აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა, რათა შემოღებულ იქნეს ისეთი მექანიზმები, რომელიც ხელს შეუწყობს შრომისუნარიანი პირების საარსებო შემწეობაზე დამოკიდებულების შემცირებასა და გააძლიერებს მათ შრომით და სოციალურ აქტივაციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სოციალური დაცვის სხვა მიზნობრივ პროგრამებთან ერთად, უწყვეტად გრძელდება „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“, რომლის ფარგლებშიც მესამე და მომდევნო ბავშვზე დახმარება გაიცემა საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კლებაა, აგრეთვე ფულად დახმარებას იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირები ყოველ ახალშობილზე. 2018 წლის ივლისის მდგომარეობით, დახმარების მიმღებია 11 ათასზე მეტი ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

სოციალური მომსახურებების განვითარება ემყარება ბენეფიციართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ ხარისხიანი მომსახურების ხელმისაწვდომობის პრინციპს, კერძოდ: შშმ პირთათვის გათვალისწინებული მომსახურებები იგეგმება და ხორციელდება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის შესაბამისად, სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დადასტურებული და გამოვლენილი საჭიროებებისა და არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. სახელმწიფო შშმ პირებისათვის ყოველწლიურად ახორციელებს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც, ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა მომსახურებებით. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სერვისები და გარანტიები ხელმისაწვდომია და ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე მოქმედებს ქვეყანაში.

ამ მხრივ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, ზემოაღნიშნული პროგრამის „სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, სიღნაღში ფუნქციონირება დაიწყო ორმა ახალმა ორგანიზაციამ 11 და 8 ბენეფიციარზე, ხოლო დღის ცენტრების ქვეპროგრამის ფარგლებში – ორმა ახალმა ორგანიზაციამ ქარელსა და მცხეთაში 20 და 10 შშმ პირზე. ამასთან, ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ლიმიტები გაზარდა რამდენიმე ორგანიზაციამ.

საქართველოს მთავრობა გეგმავს „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ გაფართოებას.

მიმდინარეობს მუშაობა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის მცირე საოჯახო ტიპის სახლის გახსნისა და ამოქმედების მიზნით.

დევნილების საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის მიზნით, 2018 წლის ივნისიდან დევნილებს გადაეცათ 25 ახალი ბინა (გორში – 22, თბილისში –3), საცხოვრებელი ფართობი საკუთრებაში გადაეცა (დაუკანონდა) 68 ოჯახს, ამასთან ერთად, მიმდინარეობს დევნილი ოჯახებისთვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა: ქ. თბილისი – 200 ბინა, ქ. მცხეთა – 120 ბინა, ქ. წყალტუბო – 140 ბინა, ქ. ქუთაისი – 745 ბინა, ქ. ზუგდიდი – 360 ბინა, ქ. ბათუმი – 164 ბინა. „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა 127 სახლი ოჯახისთვის, ხოლო კერძო მესაკუთრეებისგან გამოსყიდულ იქნა დევნილების მიერ დაკავებული შემდეგი საცხოვრებელი ფართობები: საზოგადოებრივი მაუწყებლობის შენობა (წინამძღვრიანთკარი) 32 ოჯახისა და ინდივიდუალური ბინები ვარკეთილში 2 ოჯახისთვის.

2018-2020 წლების სამთავრობო პროგრამის მიხედვით, დაიხურა სახელმწიფო მნიშვნელობის 1 ნგრევადი ობიექტი (შ. დადიანის №14). სახელმწიფოს მხრიდან დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტებთან ერთად, ბინათმესაკუთრეთა 24 ამხანაგობას გაეწია თანადაფინანსება.

საქართველოს მთავრობამ 2018 წელს შეიმუშავა ორი ახალი პროგრამა, ერთი მხრივ, სოფლად განსახლებით დაკმაყოფილებული დევნილებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, მეწარმე სუბიექტი დევნილებისათვის.

2018 წლის 21 ივნისიდან დღემდე ეკომიგრანტი ოჯახებისთვის შესყიდულია 26 საცხოვრებელი სახლი, 640,300 ლარის ღირებულებით. ამ პერიოდში ეკომიგრანტი ოჯახებისთვის საცხოვრებლად გადაცემული სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონება არ მომხდარა, თუმცა სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში გადაგზავნილია 98 ოჯახის სია, რომლის განხილვა მოხდება საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

შემუშავებულია რეგულაციები, რომლებიც ითვალისწინებს აზარტული თამაშების ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებსა და დამოკიდებულ პირებთან მიმართებით. კანონპროექტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში, ასევე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტის სრულყოფაზე სამუშაო ჯგუფის ფორმატში ყველა დაინტერესებულ მხარესთან და საშემოდგომო სესიაზე მოხდება აღნიშნული კანონპროექტის მიღება.

2018 წლის ივლისიდან საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ დაიწყო მუშაობა 2019-2020 წლების ნარკომანიასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმის პროექტზე. შემუშავებული სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი დაეგზავნა იმ სახელმწიფო უწყებებს, რომლებიც ჩართულნი არიან საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ფორმატში და მუშაობენ ქვეყანაში ნარკოპოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების დახვეწაზე. უწყებებს შორის შეჯერებული სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია შემდგომი რეკომენდაციებისათვის გაზიარებული იქნება სამოქალაქო სექტორისთვისაც.